



ბერძნული ფილოსოფიური კრება  
ფონდი კრესენციალის



von Kirsch.

ჩემი  
მიხიდა  
კავკასიაში

თბილი, მი ღმის 1943



ISBN 99928-53-20-4

ძ

---

„მლინაშვილა“



STAATLICHE A. ZERETELI-UNIVERSITÄT ZU KUTAISSI  
FORSCHUNGSIINSTITUT FÜR  
GESCHICHTE DER STADT KUTAISSI

---

FRIEDRICH FREIHERR KRESS  
VON KRESSENSTEIN

---

# MEINE MISSION IM KAUKASUS

Aus dem Deutschen ins Georgische übertragen,  
eingeleitet und mit Erläuterungen zum Text versehen  
von NODAR MUSCHKUDIANI

Verlag „Mozameta“  
Kutaissi, 2002

გუთაიძის ა. ვარაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტი  
გუთაიძის ისტორიის ინსტიტუტი

---

ბურთნი ფორმულე კრებე ფონ  
კრებე ენდექსინი

---

ჩემი მისა  
კუვალები

ვერმანული ისტორია, ისტორიული  
ნიკვეთი და კომენტარი იურიდიკურ  
ნივროლ მუნიციპალიტეტი

ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი (1870-1948), გერმანიის არმიის გენერალი, გერმანულ სამხედრო-დიპლომატიურ მისიას წელმძღვანელობდა საქართველოში 1918 წელს. თავისი ცხოველის ამ მონაკვეთის თაობაზე მას, მოგვიანებით, მოგონებები დაუწერია, რომელიც ძვირფას წყაროს წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ისტორიის შესახებ, მითუმეტეს, რომ ეს წიგნი, ჯერჯერობით, გერმანულადც კი არაა გამოქვეყნებული. მისი მანქანაზე გადაბეჭდილი დედანი მიუნის სამხედრო არქივში მოიძია და ქართულად თარგმნა ნოდარ მუშკულიანმა. „ჩემი მისია კავკასიაში“ განუდ წელს (2001) ფურნალ „განთიაღში“ დაიბეჭდა გაგრძელებით, ამჯერად კი, მთარგმნელის ისტორიული ნარკვევითა და კომენტარებითურთ, ცალკე წიგნად კონკრეტურ მკითხველს.

### აირვალი გამოსავა

რედაქტორი თავარ აპოლოპა

რეცენზენტები:

ისტორიის მეც. კანდიდატი, დოც. ჭურაბ დათუაშვილი,  
ისტორიის მეც. კანდიდატი, დოც. ტარიელ ჭიდვარია

11242583

წიგნის გამოცემის საქმეში ფინანსური მსარდისტრისათვის  
მთარგმნელი უღრმეს მადლობას მოახხენებს ბატონებს  
გრადიმერ პატარიძეს და გურამ ხმალაძეს

სპეც-2000  
მემორანული

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
გამოცემი  
გიგანტი

მთარგმნელი ამ ვაძლიერებას უძღვნის  
 ანგარ აბჯაძის წხოვნის

## გენერალი ფრიძენის ქადა ფრნ ქართველების და მისი მოგონებები

(მთარგმნელის ღინათშაბა პირველი  
 გართული პუბლიკაციისათვის)\*

კაიშერული გერმანია პირველი დიდი ევროპული სახელმწიფო  
 იყო, რომელმაც არა მარტო აქტიურად შეუწყო ხელი საქართველოს  
 დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას 1918 წლის მაისში, არამედ  
 პირველმა ცნო იგი „დე-ფუქტო“ 28 მაისის ფოთის ხელშეკრულებების  
 საფუძველზე და ენერგიული ღონისძიებების განხორციელებას  
 შეუდგა მისი სახელმწიფო იურიდიკური და სოციალურ-ეკონომიკური  
 სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის.

გერმანიის პოლიტიკური წრეების კავკასიის რეგიონით და, ქრძოდ, საქართველოთი დიდი დაინტერესების უტყუარ დადასტურებას წარმოადგენს აქ სპეციალური სამხედრო-დიპლომატიური მისიის წარმოგზავნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბარონი, გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი (1870-1948). დელეგაციაში სხვადასხვა დარგის (სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური, სარკინიგზო, საზღვაო) სპეციალისტებთან ერთად ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენლებიც (ბარონი ფონ ფრანკენშტაინი და გენერალი სტანციევი) შედიოდნენ, რაც ამ სახელმწიფოთა ინტერესებზეც მოწმობს აღნიშნულ რეგიონში. ასევე თურქეთის, როგორც „ოთხთა კავშირის“ წევრის, წარმომადგენელთა არყოფნა კრესის მისიასთან ხაზს უსვამს ამ ქვეყნის სპეციალური ინტერესების არსებობას საქართველო-კავკასიაში და გვიჩვენებს სერიოზულ განხეთქილებებს მოკავშირეთა კავკასიურ პოლიტიკაში. ეს კარგად გამოჩნდა მისიის საქართველოში ყოფნის პერიოდში.

კრესის სახით გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურმა წრეებმა საქართველოში წარმოსაგზავნად ისეთი პიროვნება შეარჩიეს, რომე-

\* ურნალი „განთადი“, N1-2, 2001



ლიც მანამდეც არ იმყოფებოდა შორს კავკასიიდან და, ამავე დროის, ზემდიწევნით კარგად იცნობდა თურქეთის სამხედრო სტრუქტურას. კრესი შერვე თურქული არმიის სარდალი იყო 1917 წელს პალესტინის ფრონტზე და იქ ინგლისელთა წინააღმდეგ თავდაცვით ბრძოლებს წარმატებით ხელმძღვანელობდა.

იგი წარმომავლობით ნიურნბერგელი პატრიციების ცნობილ საგვარეულოს ეკუთხნოდა, რომელიც საუკუნეების მანძილზე (1349 წლიდან) ქალაქის საბჭოში იყო წარმომავლენილი. ერთ-ერთმა კრესმა, დიპლომატმა კრისტოფო, 1535 წელს იმპერატორ კარლოს V-ისაგან უფლება მიიღო ფონ კრესენშტაინის ტიტული ეტარებინა. 1817 წლიდან კრესები ბავარიის თავადაზნაურობის სახელობით სიაში ბარონთა კლასში შეიყვანეს.

საქართველოში წამოსვლისას ფრიდრიხ ფონ კრესი 40 წლის პოლკოვნიკი იყო და „რუსი გენერლების ახალგაზრდული ასაკის“ გამო უხერხულობა რომ არ შექმნილიყო, მასაც გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა კავკასიაში ყოვნის ვალით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რაიხსკერში სამსახურისას, მან გენერლის ჩინამდე მიაღწია და 1929 წელს რაიხსკერის მე-3 საარმიო ჯგუფის სარდლის პოსტიდან თადარიგში გავიდა.

1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, 73 წლის კრესმა მიუწენის სამხედრო არქივს გადასცა „ჩემი მისია კავკასიაში“. ეს არის „მხოლოდ ოჯახისათვის და არა გამოსაქვეყნებლად დაწერილ მოგონებებზე“ მუშაობისას გაკეთებული კავკასიაში გერმანული მისიის საქმიანობის აღწერა მოკლე ანგარიშის სახით, რომელიც მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ 95 გვერდს. ეს მემუარი სავსებით უცნობი მასალაა ქართულ ისტორიოგრაფიაში და ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანი. ავტორი ობიექტურ სურათს გვაწვდის საქართველოს პირველი რესპუბლიკის შინაგანი და გარეგანი სიმნელეების, პოლიტიკური პარტიების, მათი ლიდერებისა და მთავრობის წევრთა საქმიანობის შესახებ.

კრესი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს უყურებს უცხო კაცის პოზიციიდან, ვინც ქართველ ხალხს თავისი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში დახმარების დიდი სურვილით უდგას გვერდით და ბევრ ისეთ მოქენტზე ამახვილებს უურადღებას, რომელიც ქართული ყოფისა და მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო მაშინ, არამედ ნიშანდობლივია დღესაც.

ცოდალ მუშავდიანი

# საქართველო გერმანის კავკასიის პოლიტიკაზე 1918 წლის მაის-ივნისში და გენერალ ფრე ქარების მიხედვის

## I. კავკასიური პოლიტიკის მიზნები და საზარდოებლი

გერმანიის იმპერიას არსებობის პირველი წლებიდანვე აინტერესებდა კავკასია. კავკასიური პოლიტიკა მისი აღმოსავლური პოლიტიკის\* შემადგენელი ნაწილია და ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა იმპერიის საერთო კოლონიური და ანტირუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ფარგლებში. პირველი მსოფლიო ომის წინ კავკასიურმა პოლიტიკამ,<sup>1</sup> სამხედრო ამოცანებიდან გამომდინარე, უფრო კონკრეტული ხასიათი შეიძინა და მისი მთავარი მიზანი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა გახდა. იგი საკეთით შეესაბამებოდა მეორე რაინის გენერალურ საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას დაპირისპირებული სამხედრო ბლოკის ქვეყნების შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ეროვნების ხალხების ყოველგვარი ცენტრიდანული მოძრაობის წახალისებისა და მხარდაჭერის შესახებ. მტრული სახელმწიფოს მოსახლეობის რევოლუციონიზირებით და მრავალფეროვანი სუბვერსიული მეთოდების გამოყენებით სამხედრო ამოცანების გადაწყვეტა უნდა გაიოლებულიყო.

გერმანულ სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ 1914 წლის შემოღვომიდან, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების სეპარატისტულ-ნაციონალისტური მოძრაობების მხარდაჭერის თვალსაზრისით, გერმანიის ძირგამომთხრელი პოლიტიკის უშუალო სა-

---

\*აღმოსავლური პოლიტიკა (Ostpolitik) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ბალტიისპირეთთან და რუსეთთან მიმართებაში გამოიყენება და უნდა განვასხვაოთ მეორე „აღმოსავლური“ ანუ „Orientpolitik“-ისგან, რომელიც, არსებითად, ახლოსადმოსავლურ მუსულმანურ სამყაროსთან ურთიერთობებს მოიცავს.



მიზნედ საქართველოც გადაიქცა.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ინსტრუმენტები და იდეების გარედან შემოტანას საქართველოში ნაყოფიერობაში წარდგენდა. ე. ცეხლინი მართებულდად მიიჩნევს, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძარობის ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების გვერდით გერმანულ პოლიტიკას აქ, „მენშევიკების“ და სოციალ-ფედერალისტების სახით, მნიშვნელოვანი საყრდენი გამოუჩნდა.<sup>3</sup>

გერმანიის ხელისუფლება დიდი ინტერესით შეხვდა ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს რუსეთის ტყვეობიდან დახსნის მიზნით მის მოწინააღმდეგესთან დაახლოების გზებს ეძებდნენ. რაიხსკანცლერ თ. ფონ ბეტმან-ჰოლვეგის ინიციატივით ბერლინში მიიწვიეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომლის ყველაზე ცნობილი წევრები ლ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი სასურველი სტუმრები იყვნენ გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის.<sup>4</sup>

ქართული ემიგრაციის აქტიური მოღვაწეობის შედეგად გერმანიის კავკასიური პოლიტიკის ეპიცენტრად საქართველო გადაიქცა და ამის გამო გერმანია-თურქეთის ინტერესთა კონფლიქტი მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თანამდევი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.<sup>5</sup> განსაკუთრებული სიმწვავი გერმანულ-თურქელმა დაპირისპირებებმა ბრესტის ზავის (1918 წ. 3 მარტი) შემდეგ შეიძინა. მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობა, ყოველ შემთხვევაში, უარყოფითად აისახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და მისი სახელმწიფოებრიობის განვითარების სამომავლო პერსპექტივაზე. საქართველოსათვის სწორედ იმას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, თუ რამდენად მოახერხებდა დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში თავის-თვის სასარგებლო პოზიცია გამოიწვია და ძლიერ პარტნიორზე დაყრდნობით შედარებით უმტკივნეულოდ ჩართულიყო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, როგორც სუვერენული სუბიექტი.

მოცემულ პერიოდში გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობების რეალური სურათის აღდგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ე. ცეხლინის მართებული დასკვნა, რომ ის პოლიტიკოსები, ვინც გერმანიის ხელისუფლებაში იყვნენ, არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენდნენ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დამცველებს, არა-

მედ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ და ნებისმიერი საშუალება-  
ბით ცდილობდნენ გამარჯვების მოპოვებას.<sup>6</sup>

## II. „მემკვიდრეობის უახტი“, თუ „აქტი ისტორიული აუ- ცილებლობისა“?!

დამოუკიდებელი საქართველოს დაარსებიდან ორი წლის შემდგომ  
გ. ვემაპელი აღნიშნავდა, რომ „სოციალ-დემოკრატებისათვის ეს და-  
მოუკიდებლობა ასე თუ ისე იყო და სამწუხაროდ დღესაც არის შემ-  
თხვევითი ფაქტი, ობიექტური პირობით შექმნილი. ჩვენთვის კი –  
ნაციონალისტებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხ-  
ადება იყო და არის აქტი ისტორიული აუცილებლობისა, აქტი, ნა-  
კარნაზევი იმით, რომ ქართველ ხალხს აქვს სახელმწიფო ტრა-  
დიცია და ამ ტრადიციას იგი ატარებდა მრავალ საუკუნეთა განმავ-  
ლობაში“.<sup>7</sup>

ამგვარი დაფიქრებისა და მსჯელობის საფუძველს ნამდვილად იძ-  
ლევა საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმოშობასთან დაკავ-  
შირებული საშინაო და საგარეო გარემოებების დაწვრილებითი ანა-  
ლიზი.

ბერესტის ზავის შემდეგ თურქეთის ხელში აღმოჩნდა არა მარტო  
ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბათუმის, ყარსისა და არ-  
დაგანის ოლქები (ე. წ. „სამი სანჯაყი“, რომელთა საბოლოო კუთვ-  
ნილების საკითხი პლებისციტით უნდა გადაწყვეტილიყო), არამედ  
ახალციხის, ახალქალაქის მაზრები, ოზურგეთი და პერსპექტივაში  
თბილისზე გაღალაშერებაც იყო გათვალისწინებული. თურქეთის კავ-  
კასიური პოლიტიკის რეალიზაციის შემთხვევაში მინიმუმადე მცირ-  
დებოდა ქართველი ხალხის შანსი საკუთარი სახელმწიფოებრიობის  
რაიმე ფორმით აღდგენასა და შენარჩუნებაზე. აგრესიის პარალელუ-  
რად, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეები მოლაპარაკებებ-  
საც აწარმოებდნენ ამიერკავკასიის მთავრობასთან, რომლის დრო-  
საც თვალშისაცემი იყო მათი ზღვარგადასული პოლიტიკური ამბი-  
ციები და უხეშ ძალაზე დამყარებული დიქტატი. <sup>8</sup> თურქები ამიერკავ-  
კასიის დელეგაციას, ა. ჩხენკელის მეთაურობით, თანასწორუფლე-  
ბიან პარტნიორად არ მიიჩნევდნენ.

ბათუმის მოლაპარაკებანი (ორ ეტაპად – 11-26 მაისი და 31  
მაისი-4 ივნისი) წინამორბედ ტრაპიზონის კონფერენციაზე (14 მარ-



ტი-5 აპრილი) ბევრად უფრო მძიმე ატმოსფეროში მიმღებადგულება. ფაქტთურად, ბათუმში 11 მაისს ერთი პლენარული სხდომა შედგა და, თურქული მხარის დესტრუქციული პოზიციის გამო, ერთიანი შუშაობა ჩაიშალა. ამიერკავკასიის ხალხები სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. რეგიონში ერთმანეთს ეჯახებოდა არა მარტო ცენტრალურ სახელმწიფოთა, თურქეთისა და ანტანტის ქვეყნების ინტერესები, არამედ თვით ამიერკავკასიის სამი მთავარი ხალხის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და ურთიერთისაპირისპირო საგარეო-პოლიტიკური კონცეფციების შეუთავსებლობა არ იძლეოდა საერთო კონსენსუსზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავების საშუალებას. თუ დაშნაკებს არ უნდოდათ „რუსული სამშობლოდან“ (Mutterland) მოწყვეტა და პროანტანტური კურსის მომხრენი იყვნენ, თათრებს\* „დემოკრატიულ-მუსულმანური რელიგიური გრძნობები“ არ აძლევდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის უფლებას.<sup>9</sup>

ამ გადაულახავი კოლიზიების ფონზე თანდათანობით გამოიკვეთა ქართულ-გერმანული ინტერენების დაახლოების პროცესი, ცხადი გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის (22 აპრილი – 26 მაისი) ეფუმერული ხასიათი და ამ „უზარმაზარი მოლუსკის“ (ზ. ავალიშვილი) შენარჩუნება შეუძლებელი შეიქნა.

გერმანული მასალები, რომელთა უდიდესი ნაწილი სრულდად უცნობი ან ნაკლებად ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, უფრო სრულყოფილად წარმოაჩენენ საქართველოს მნიშვნელობასა და ადგილს გერმანიის კავკასიურ პოლიტიკაში, ასევე აშკარად გვიჩვენებენ იმ ურთულეს წინააღმდეგობებს თვით გერმანულ პოლიტიკაში, რაც დამოუკიდებელი საქართველოს წარმოშობას უკავშირდებოდა. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, 1918 წლის მაისიდან უკვე შეიძლება საუბარი გერმანიის აშკარად გამოკვეთილ ქართულ პოლიტიკაზე. ორივე მხარისაგან მომდინარე ურთიერთდახლოების იმპულსებმა ხელი შეუწყო ინტერესთა კონსენსუსის მიღწევას, რაც 1918 წლის ზაფხულში ერთობლივი მოქმედების საფუძველი გახდა. გერმანელი

\*ასე იხსნიება გერმანულ დოკუმენტებსა და ლიტერატურაში აზერბაიჯანულები. „აზერბაიჯანელი“ 1934 წლიდან შემოიღეს ეროვნების აღმნიშვნელად „თურქის“ ნაცვლად. 1929 წ. არაბული აღფავიტი შეცვალა ლათინურმა, 1937 წ. ლათინური – კირილიცამ, ახლა ისევ ლათინური ანბანი იხსმარება.



მკვლევარი ვ. ციურერი არცოუ მცირედი გაკვირვებით აღიქვამს „ინტერესული სიცურობის“ არაათანაბარ სახელმწიფოებს შორის“ ურთიერთობას, როგორც ქაი-ზერული გერმანია და „საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა“ იყვნენ.<sup>10</sup> თავისთავად ფაქტი ასეთი ურთიერთობებისა მიუთითებს მათ მნიშვნელობაზეც. გერმანიისათვის განმსაზღვრული იყო საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ომის წარმატებით დასრულებისათვის დასავლეთში. ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულობის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო მომავალი პოლიტიკური თანამშრომლობა. ამ ინტერესების უსაფრთხოების მიზნით გერმანიამ თურქეთთან კონსტანტინეპოლის საიდუმლო შეთანხმებას მოაწერა ხელი (1918 წ. 27 აპრილი), რომელიც მოკავშირეთა შორის ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების გამიჯვნას ითვალისწინებდა. თურქებს რჩებოდათ მათ მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიები და თბითქმის მთელი სომხეთი, ხოლო რეგიონის დანარჩენი ნაწილი გერმანიის გავლენაში უნდა ყოფილიყო. ეს შეთანხმება მოკლევადიანი (იმავე წლის 31 დეკემბრამდე) იყო, მაგრამ თურქები არ ასრულებდნენ მის მოთხოვნებს და მთელი ამიერკავკასიის ბატონ-პატრონად მიიჩნევდნენ თავს.<sup>11</sup>

ბათუმში გერმანიის დელეგაცია გაბეჭდულად გამოვიდა თურქეთის ამბიციების წინააღმდეგ და ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის ქართულ ნაწილთან ერთად „ქართული პოზიციის“ განხორციელება დაიწყო. ბათუმის მოლაპარაკებათა ორკვირიანი მონაკვეთი – 12-დან 26 მაისამდე – საქართველოს ისტორიის ბედის განმსაზღვრულ უმნიშვნელოვანეს ეტაპად იქცა. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადებას. ეს პერიოდი, შეორე მხრივ, გერმანია-თურქეთის კავშირის სიმტკიცის უმკაცრესი გამოცდაც გახლდათ. მოკავშირეთა ურთიერთობებში კონფრონტაციული მოვლენების ესკალაციამ საქართველოს გამო უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო.

ბათუმში, გერმანიის სახით, საქართველოს ძლიერი მფარველი გამოუჩნდა. იგი თურქეთისათვის „ალიკაპის“ როლს ასრულებდა და საქართველოს დამოუკიდებლობის ინიციატორადაც მოგვევლინა.<sup>12</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობისა და საქართველო გერმანიის ურთიერთობათა პრობლემატიკისადმი მიღვიმა ქართველ მკვლევარ-



თა ბოლოდროინდელი ნაშრომებში<sup>13</sup> აშკარად თავისუფალია ქულები გვარი იდეოლოგიზირებული და რომანტიკული პოლიტიკური წარმოდგენებისაგან. აქედან გამომდინარეობს ის მთავარი პოზიტიური შედეგი, რომ დამოუკიდებლობა გარედან თავს მოხვეული იძულებითი ნაბიჯი იყო, განსაკუთრებით ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც მაშინ მმართველი პოლიტიკური ძალა გახდა. გარეგანი ფაქტორების პრიორიტეტია სწორედ ის, რომ თურქეთთან გართულებულმა ურთიერთობამ ეროვნული საბჭოს ლიდერები დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიიყვანა,<sup>14</sup> თორემ სოციალ-დემოკრატების ეროვნული ნიჰილიზმი საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ. ისინი არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისაგან იდგნენ შორს, არამედ ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიის მომხრეებსაც ებრძოდნენ და ავტონომიის ცნებაში მარტოდენ კულტურულ შინაარსს მოიაზრებდნენ. ამდენად, სოციალ-დემოკრატიის მიზანი სრულებითაც არ იყო ის შედეგი, რასაც გარემოებათა თანხვედრის მეშვეობით მიაღწია. მათ მართლაც რომ „გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნამ“ აფიქრებინათ დამოუკიდებლობა. სწორედ ამიტომ „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური გარემოებების და არამც და არამც მმართველი პარტიის მოღვაწეობის შედეგი აღმოჩნდა“.<sup>15</sup>

საგარეო პოლიტიკური გარემოებების მეოხებით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სწორედ დამოუკიდებლობის თავს მოხვევას ნიშნავს, მაგრამ ეს განსაზღვრება ცალმხრივი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ ერის დამოუკიდებელობისაკენ მისწრაფების მოთხოვნილებას და ალტერნატიული პოლიტიკური ძალების თავდაუზოგავ ბრძოლას მისი რეალიშებისათვის. ეს ძალები დიდი ხნიდანვე ემზადებოდნენ ამ მიზნის მისაღწევად.

ბათუმში საქართველოს მხარდამჭერი ძალის გამოჩენისთანავე ამოქმედდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალების – სოციალისტ-უცდერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა, ემიგრაციაში მოღვაწე „დამკომელების“ და საერთოდ, პროგრენმანული ორიენტაციის ფაქტორები. გ. ლასნიშვილს ცნობით, ქუთაისისა და თბილისის მოსახლეობის „უმრავლესობა... გერმანი-



ას ემსრობოდა და დარწმუნებული იყო გერმანიის გამარჯვებაში<sup>16</sup>. მონაცემის პოლიტიკოსთა პოზიციების დახსროებაში ის ფსტ გერმანიის ქოლოგიური ფაქტორიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური კაპიტალის დატვირთვას იძნდა, რომ საქართველოში არ არსებობდა მტრული განწყობა გერმანელების მიმართ, პირიქით, მათში „ხედავდნენ ევროპული კულტურის, ევროპული ცოდნისა და უნარის რიგიან წარმომადგენლებს, ბრწყინვალე მეომრებს...“<sup>17</sup>

ამიერკავკასიის დელეგაციის მთავარი დიპლომატი ა. ჩხენკელი რეალურად აფასებდა შექმნილ ვითარებას, „... რომ გერმანიის იმპერიალიზმი... უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი ძღვომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვისწნა, მხოლოდ თავისი იმპერიალისტური მადის დასაკმაყოფილებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზი თვალებისათვის“<sup>18</sup>.

აქ უკვე ყველაფერი ანათქვამი: ჩხენკელი არჩევანს აკეთებს „უკეთესი იმპერიალიზმის“ სასარგებლოდ და მიუთითებს გამოუვალ მდგომარეობაზე, რომელიც „აიძულებს“ ქართულ დელეგაციას, მიიღოს გერმანიის მხარისაგან წამოსული დამოუკიდებლობის წინადაღება. ჩხენკელი მერყეობს, მან, მართალია, 12 მაისს დააფიქსირა, რომ „საქართველო დარჩება ცალკე“,<sup>19</sup> მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება საჭიროდ არ მიაჩნია. 14 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასკომიც გ. გვაზავას (ეროვნულ-დემოკრატი) ინციდუტივით დებულობს გადაწყვეტილებას, რომ მფარველობა თხოვოს გერმანიას. ოთხპუნქტიან თხოვნაში ლოსოვისადმი საუბარია „საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხების“ შედარებით უმტკივნეულო გადაწყვეტაში გერმანიის მხრიდან ხელშეწყობაზე და არა უშუალოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე.<sup>20</sup> ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა ჯერჯერობით თავს იკავებდა ამ საკითხის დაყენებისაგან.

მაღლე ჩხენკელისა და ეროვნული საბჭოს მერყეობასაც წერტილი დაუსვა ო. ფონ ლოსოვმა. მან „...კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთადერთი გზა – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“ – იტყობინებოდა ჩხენკელი უკვე 22 მაისის წერილში.<sup>21</sup> 17-დან 21 მაისამდე ნ. ფორდანიას კონფიდენციალური საუბრები ჰქონდა ბათუმში გერმანიის დელეგაციის მეთაურთან, რომლის შუამდგომლობის მცდელობებმა თურქეთის დელეგაციასთან არავი-



თარი შედეგი არ მოიტანა.<sup>22</sup> ცხადია, ნ. ქორდანიასათვისაც დღეს ვით ნათელი იყო თურქებთან მორიგების და ამიერკავკაზიურის ნობის შენარჩუნების უპერსპექტივობა, მაგრამ მისი პოზიცია დამოუკიდებლობის საკითხში მტკიცე და თანმიმდევრული არ ყოფილა. ეს გამოჩენდა ეროვნული საბჭოს 26 მაისის სხდომაზე, სადაც მან განაცხადა: „მოქალაქენ! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავთ ერთი ისტორიულის, იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოქვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“.<sup>23</sup> ნ. ქორდანიას სინაზულს, ამიერკავკასიის ფედერაციის აღსასრულის „ტრაგიკული აქტის“ გამო, იმის მიედი ანელებდა, რომ მომავალში, უფრო უკეთეს პირობებში, კვლავ შეიქვრებოდა ეს კავშირი. იგრძნობა, რომ იგი დიდი ხალისით არ მისულა „მეორე სახელმწიფოს“ – დამოუკიდებელი საქართველოს საფუძველის ჩაყრამდე, რასაც, სხვათა შორის, მისი შემოქმედნი, „გრაფი შელენბურგი გერმანელი ოფიცირებითურთ“,<sup>24</sup> იქვე, დარბაზში ესწრებოდნენ.

### III. ო. ვონ ლოსოვის დიალოგათია ბათუმი

დელეგაციის წარგზავნა ბათუმის კონფერენციაზე გერმანიის კავკასიური პოლიტიკის გააქტიურებას ნიშნავდა და არც ის იყო შემთხვევითი, რომ ხელმძღვანელად გენერალი ოტო ფონ ლოსოვი დაინიშნა. იგი კონსტანტინეპოლში გერმანიის სამხედრო რწმუნებული გახლდათ და გერმანიის იქაური ელჩის ი. – პ. ბერნსტორფის სურვილით და რეკომენდაციით მოხვდა მისთვის ერთი შეხედვით უჩვეულო თანამდებობაზე, დიპლომატის რანგში. ა. ოპანჯანიანის მიხედვით, იგი საელჩოს მრჩევლის – გრაფ ვალდებურგის ნაცვლად დაინიშნა, რადგან „თურქებთან თავისი ხანგრძლივი პიროვნული ურთიერთობის გამო უკეთესად შეეძლო მათთვის მოლაპარაკებისას გადამეტებული მოთხოვნების დაყენებაში ხელის შეშლა“.<sup>25</sup> ბერნსტორფის არჩევანი სამხედრო პირზე იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ 1916 წლის ზაფხულიდან გერმანიაში ცნობილი სამხედრო მოღვაწეების პ. ფონ პინდენბურგისა და ე. ლუდენდორფის ტანდემი ფაქტიურ სამხედრო დიქტატურას ამყარებს და აქტიურად ერევა პოლიტიკაში.

ლოსოვის ამ პოსტზე დანიშვნა უფრო სასარგებლოც კი აღმოჩნდა ბათუმში „ქართული საქმის“ ენერგიულად და დაჩქარებული ტე-



გენერალი ფონ ლოსოვი  
(აღებულია ი. პომიანქოვსკის 1997  
წელს სტამბოლში თურქულ ენაზე  
გამოცემული წიგნიდან „ოსმალეთის  
იმპერიის დაცემა“)

„ახალი ყაიდის დიპლომატი“ უწოდებს, რომელმაც გერმანიის კავკასიურ პოლიტიკაში ავსტრია-უნგრეთის კონსტანტინოპოლის ელჩის, მარკგრაფ ი. ფონ პალავიჩინის აზრით, „კომიკური“ ნოტი შეიტანა. ლოსოვი თავს თურქ ოფიცირებზე ბევრად მაღლა აყენებდა, ხშირად ჩხუბობდა მათთან, პოლიტიკას საკუთარ რისკზე აგებდა და გამოკვეთილ ანტითურქულ პოზიციაზე იდგა.<sup>26</sup> გ. რიტტერი სინაულით აღნიშნავს, რომ ბათუმში „სამწუხაროდ, ჯარისკაცი“ მიავლინეს და არა პროფესიონალი დიპლომატი, რომელიც კონფლიქტური იყო თურქებთან და კავკასიაში ჯარების გავზავნაც მოითხოვა.<sup>27</sup> საქართველოსადმი თურქეთის აგრესიული პოზიციის გაუთვალისწინებლობის გამო, რამდენადმე ცალმხრივია რიტტერის მოსაზრება, თუმცა გასაგებია მისი დამოკიდებულება ლოსოვისადმი, რომელიც უფრო უძალლესი მთავარსარდლობის მითითებებით მოქმედებდა და ამდენად, ეწინააღმდეგებოდა „აუსენამტის“ (საგარეო საქმეთა სამინისტრო) „სამშვიდობო პოლიტიკას“. რაიხსმინისტრი რ. ფონ კიულმანი, კაიზერული დიპლომატიური კორპუსის „ცივი პროფესიონა-

მპით წარმართვისათვის. უკავშირობისა ან და გაბედულ პიროვნებად წარმოგვიდგება, საჭირო შემთხვევაში შეეძლო დიდი პასუხისმგებლობა აერო თავზე და ზოგჯერ გულმოდგინეობაში გადაეჭარბებინა კიდეც. „თავისი უბრალოებითა და რაინდობით“ (ზ. ავალიშვილი) იგი მაღებართველთა მხრიდან საყოველთაო პატივისცემისა და ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

გერმანელი მკვლევარები განსხვავებულად აფასებენ მის პიროვნებასა და საქმიანობას. ვ. ბაუმგარტი მას

ლი” წარმომადგენელი, საქმეში თავდაჭერილი, უაღრესად წინდაზე-  
დული დიპლომატი, არ იშიარებდა თუნდაც მცირერიცხოვდებოდა გა-  
გზავნის იდეას, ვინაიდან საფუძლიანად შიშობდა, რომ ეს გააჭია-  
ნურებდა ომის პროცესს.

გენერალ ფონ ლოსოვს რაიხსკანცლერმა გ. ფონ პერტლინგმა  
უმაღლეს მთავარსარდლობასთან (OHL) შეთანხმებით მიანიჭა „ბა-  
თუმში მოლაპარაკებების წარმოებისათვის“ სრული უფლებამოსი-  
ლებანი.<sup>28</sup>

ლოსოვის ბათუმური პოლიტიკის არსის სიცხადისათვის საჭი-  
როა, სქემატურად მაინც წარმოვიდინოთ გერმანიის კავკასიური პო-  
ლიტიკის წინააღმდეგობრივი მიმართულებები ამ პერიოდში.

მაისის დასაწყისში გერმანიის კავკასურ პოლიტიკაში, პირობი-  
თად, ორი ხაზი გამოიყოფა. პირველი ტრადიციულია, ომის დასაწ-  
ყისიდანვე შეძლებისდაგვარად ხორციელდებოდა და აქაური ხალხე-  
ბის ანტიცარისტულ და ანტირუსულ ბრძოლას უკავშირდებოდა, მე-  
ორე კი 1917 წლის ბოლოს გამოიკვეთა და თურქეთის ექსპანსიო-  
ნისტური პოლიტიკის წახალისებას გულისხმობდა. ეს უკანასკნე-  
ლი, ავსტრიელის მკვლევრის ვ. ბილის აზრით, მიზნად ისახავდა თურ-  
ქეთისათვის თურანისტული გეგმების ნაწილობრივ განხორციელე-  
ბის შესაძლებლობის მიცემას, სხვაგან განცდილი წარუმატებლობე-  
ბის საკომპენსაციოდ. მაშინ პროთურქულად განწყობილი ლოსოვიც  
მიიჩნევდა, რომ ე. წ. „სამი სანჯაყის“ დაუფლება დადგებით მორა-  
ლურ ზემოქმედებას იქონიებდა თურქებზე.<sup>29</sup> თურქული ექსპანსიის  
ამ მიმართულებით წახალისების პოლიტიკა საქართველოსთვის იყო  
პირველ რიგში საზიანო.

გერმანული პოლიტიკა თითქმის დაუძლეველი დილემის წინაშე  
იდგა: ერთი მხრივ, მოკავშირისთვის კავკასიაში თავისუფალი მოქ-  
მედების საშუალების მიცემა და მეორე მხრივ – „სრული გაგება და  
თანაგრძნობა“ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. ორივე მიმარ-  
თულებით წარმატებული მოქმედება შეუძლებელი ჩანდა ისევ საკუ-  
თარი ინტერესებიდან გამომდინარე. გერმანულ დიპლომატიას დანის  
პირზე უნდა გაევლო, თურქების ამბიციები მოეთოვა ისე, რომ არც  
მოკავშირე დაეკარგა და არც საკუთარი ინტერესები დაეთმო საქარ-  
თველოს მიმართ. გენერალმა ლოსოვმა ბათუმში ამ ამოცანის გადაჭ-  
რა შეძლო.

გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა აპრილში, დიდი შინაგანი წინააღმდეგობების მიუხედავად, თავის უზრუნველყოფის კასიურ გეგმებში საქართველოს საწინააღმდეგო ნაბიჯებს არ დგამს – პირიქით, გერმანია თავის მოქავშირეზე ზემოქმედებას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც მეტ-ნაკლები წარმატებით. ბრესტის ზავამდე გერმანული პოლიტიკისათვის გაურკვეველი იყო, თუ რამდენად შორს უნდა წასულიყვნენ თურქები საქართველოსა და კავკასიის წინააღმდეგ „პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული თვალსაზრისით“, მაგრამ აპრილის ბოლოს ბერლინი ძალიან გააქტიურდა და შეუცადა, მათი წინსვლისათვის ზღვარი დაედო. 22 აპრილს სხვადასხვა სამინისტროებმა, გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად, საჭიროდ მიიჩნიეს ბათუმის საქართველოსა და, შესაბამისად, გერმანიის ინტერესების სფეროში ჩართვა. ლუდენდორფიც დაეთანხმა 24 აპრილს ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილის თურქებისათვის, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილის – ქართველებისათვის გადაცემას. ამჯერად იგი თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებას ამიერკავკასიის სომხურ და თათრულ ნაწილებში ხედავდა.

**K 242583** ბათუმის საკითხი საერთოდ „აუსენამტის“ აღმოსავლეთის საქმეთა რეფერენტმა ტრაუტმანმა დააყენა 1 აპრილს. მისი აზრით, „უმეტესად ქრისტიანული მოსახლეობით დასახლებული ბათუმი ჩვენდამი დამეგობრებული საქართველოს ხელში უნდა იყოს“.<sup>30</sup> ეს მოსაზრება შემდეგში, ძირითადად, მთელი სამინისტროს პოზიციად ჩამოყალიბდა. ამ უწყებამ 29 აპრილს სადემარკაციო ზაზიც დააზუსტა და „მდინარე ჭოროხისა და მისი შენაკადის – მდინარე აჭარისწყლის სამხრეთით მდებარე ნაწილი“<sup>31</sup> ბათუმის ოლქისა თურქეთის, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი – საქართველოს ინტერესების სფეროდ განსაზღვრა.

ეს მოთხოვნა მთავარი იყო ბერნსტორფის მიერ ლოსოვისათვის გადაცემულ ინსტრუქციებშიც, თუმცა თურქებს, სამაგიეროდ, ბათუმში „განსაკუთრებული ეკონომიკური უფლებები“ უნდა მიეღოთ. ლოსოვს აგრეთვე ხელი უნდა შეეწყო ამიერკავკასიისა და თურქეთის მორიგებისათვის, დაეცვა სომეხთა უფლებები და ეზრუნა, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის ამიერკავკასიასთან შემოერთებისათვის.<sup>32</sup>



ლოსოვის დელეგაცია (საქართველოს და კავკასიის ექსპერტები — გრაფი ფ. ფონ შულენბურგი და ო. — გ. ფონ ვეზენდონკი) მიმდინარე ბათუმში ჩამოვიდა, სადაც მას უაღრესად მძიმე ხიტუაცია დახვდა, თუნდაც იმიტომ, რომ თურქები გერმანელთა მონაწილეობას მოლაპარაკებებში არასასურველად მიიჩნევდნენ<sup>33</sup> და ყოველნაირად უშლიდნენ ჩელს მუშაობაში. გერმანული დელეგაციისათვის სირთულე იმანაც წარმოშვა, რომ თვით გერმანულ სახელისუფლები ინსტანციებში, თურქების კავკასიურ გეგმებთან დაკავშირებით კვლავ აზრთა სხვადასხვაობა — ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოც — სუფევდა. ეს გარემოებაც ლოსოვს საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედების გარევაულ სივრცეს უტოვებდა. მან მაღლევე დააზუსტა, რომ თურქეთის მხარე „კავკასიელთაგან“ პრელიმინარულ ზავზე თანხმობის მიღებას „ხანმოკლე ულტიმატუმის და საქართველოზე შეტევის“ ზემოქმედების გამოყენებით ცდილობდა. ეს ენგერ-ფაშას იდეა გახდათ და მას ახლა გერმანულთა მხრიდან „აუსენამტის“ გავლენიანი ფიგურა, ადრე კავკასიაში ინსურგენტული პოლიტიკის მომხრე რ. ნადოლნიც მხარეს უჭერდა. იგი ამ საქმეში ერთადერთი ნამდვილად არ ჩანს. გარკვეულ გეგმებს იწვევს ლუდენდორფის უკიდურესად არა-თანმიმდევრული პოზიციაც, რომელიც ფართო ანტიინგლისურ კა-მპანიას გეგმავდა თურქეთთან ერთად და ამიტომ გარკვეულ კეთილ-განწყობის ამჟღავნებდა მისი ანტიქართული აქციების მიმართ. ლუ-დენდორფის მიერ 10 მაისს განვითარებულ ამ მოსაზრებებს თვით დიპლომატებმა უწოდეს უბრალო „მონაჩმახი“, ხოლო გ. რიტტერმა მის ავტორს, სრულიად სამართლიანად, ავანტიურისტულ „ფანტა-ზიებში გადაჭრის“ დიაგნოზი დაუსკავა.<sup>34</sup>

ბევრად რეალისტურია, სამაგიეროდ, ლუდენდორფის „სურვი-ლები“ საქართველოსთან დაკავშირებით ბათუმში დიპლომატურ ბრძოლაში ჩაბმული ლოსოვისათვის: ქართველებს იგი გერმანელთა მეგობრებად თვლის და მოითხოვს, სასწრაფო კეტოს თურქეთის შეტევის წინააღმდეგ საქართველოში “და „ბათუმის (პროვინციის — ნ.

\*ოტო-გოუნთვერ ფონ ვეზენდონკი (ბათუმში 10 მაისს ჩავიდა), ცნობილი გერმანელი კომპოზიტორის რიპარდ ვაგნერის მეგობარი ქალის მატილდა ვეზენდონკის შეილიშვილი, „აუსენამტის“ აღმოსავლეთის განცოველებაში მუშაობდა ხა-ქართველის და კავკასიის ექსპერტად. უკვე საბჭოთა პერიოდში, 1923 წ. იყო გერმანიის გენერალური კონსული თბილისში (Baumgart. W. Op. cit., S. f 178). ფონ შულენბურგი, იხ. კომენტარი N 15.



პ.) ჭოროხის ჩრდილოეთით<sup>34</sup> საქართველოსათვის გადაცემას, თურქეთის ქებისათვის სომხურ და თათრულ ოლქებში თავისუფალი მოქმედების სანაცვლოდ.

ბათუმში თურქების ანტიქართულმა და ანტიგერმანულმა ინტრი-გულმა პოლიტიკამ აპოვებას მიაღწია. კავშირის თვალსაზრისით, მათ გერმანული დელეგაცია პრაქტიკულად მოწყვიტეს გარე სამყაროს. უკიდურესად აღშეოთებულმა ლოსოვმა, აღექვატური ღონისძიებების გატარების მიზნით, შავ ზღვაში კაიზერული ფლოტის ვიცე-ადმირალ ა. ჰოპმანს სატორპედო კატარლის გაგზავნა მოსთხოვა და ბოლოს OHL-ს გერმანული საჯარისო შენაერთების შემოყვანაც შეს-თვაზა.<sup>35</sup>

ლოსოვმა „ცალკეულ დელეგაციებთანაც დაამყარა კონტაქტი“, დარწმუნდა საქართველოს დიდ ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნი-შვნელობაში გერმანიისათვის, „აქ დიდი და მდიდარი ქვეყანა გვეძ-ლევა ჩვენ – შესაძლებობა, რომელიც, აღმათ, მრავალ საუკუნეში არ განმეორდება. საკითხი უზარმაზარია. დრო დაფიქრებისთვის კი – ძალიან მცირე“. ვ. ბაუმგარტი გენერლის ფიქრებს „გაბედულ აზრთა სრიოლას“ უწოდებს და ნაკლებ რეალისტურად მიიჩნევს.<sup>36</sup>

მაგრამ ფაქტია, რომ ლოსოვის ამგვარმა განწყობილებამ განაპი-რობა მისი შემდგომი მოქმედებაც. ჯერ ერთი, ბერნისტორფმა ურჩია მას, რომ „საქართველოსთან საჭირო იყო სეპარატიული შეთანხმე-ბის მიღწევა“,<sup>37</sup> და მეორე – ქართველებმა შესთავაზეს მას (კონკრე-ტულად არაა მითითებული, თუ ვის გაუწნდა ეს იდეა – ნ. პ.) საქარ-თველოს მოწყობის გარკვეული გეგმა: საქართველო უნდა შესულიყო გერმანიის შემადგენლობაში ფედერალური მხარის უფლებით და, „გერ-მანელი თავადით ხელისუფლების სათავეში“. მეორე ვარანტით, სა-ქართველოს სათავეში იქნებოდა „გერმანელი ვიცე-მეზე“ და ქვეყანა ინგლისის დომინიონის მსგავსი უფლებებით შევიდოდა გერმანიის კა-ვშირში.<sup>38</sup>

ლოსოვის გამოკვეთილი პროქართული განწყობილებებით შეფიქ-რიანებული ბერნისტორფი შიშობდა, რომ „გერმანიის ეკონომიკური ინტერესების დაცვის სურვილით ანთებული ლოსოვი საფრთხეში იგ-დებდა თავს“, „სხვა მიმართულებით“ შეიძლებოდა მოხვედრილიყო და, იმავდროულად, ეწინააღმდეგებოდა მისთვის ადრე მიცემულ რჩე-ვას.



ლოსოვი ადგილზე ხედავდა, თუ რაოდენ ძნელი იყო თუშულების გაქონტროლება, რომლებიც ამიერკავკასიას თავიანთი უსაფრთხეულო ინტერესების სფეროდ “ მიიჩნევდნენ, დარწმუნდა მოკავშირის „ცი-ერებასა და უსინდისობაში ” გერმანელთა მიმართ და „ სიბრაზით გაცეცხლებულმა ” გადადგა რადიკალური ნაბიჯი – 25 მაისის საღამოს მიატოვა ბათუმი და „ ფოთის გავლით ” გერმანიაში წავიდა.<sup>39</sup>

ეს, როგორც ცნობილია, თურქების დეზორიენტაციის მიზნით გაკეთდა, რომლებთანაც კავშირი ლოსოვმა, პრაქტიკულად, გაწყვიტა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ფოთში ელოდებოდა. ქართველებთან შეთანხმებისამებრ, ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო გერმანიასა და საქართველოს შორის დროებითი ხელშეკრულებები და შემდეგ ქართული დელეგაცია თან უნდა გაპყოლოდა მას ბერლინში.

რადგანაც თურქებს კავკასიის პრობლემების დარეგულირებისა-გან გერმანიის სრული გამოთიშვა ჰქონდათ განზრახული, ბერლინმა 24 მაისს ბერნსტორფის მეშვეობით კიდევ ერთი დემარში გააკეთა. ბერნსტორფმა ცალსახად განმარტა, რომ ბრესტის საზღვრებს იქეთ თურქების წინსვლას გერმანია მხარს არ დაუჭირდა. გერმანია საქართველოს „აღიარებდა de-facto“, ხოლო „de-jure“ აღიარების საკითხი<sup>40</sup>, რუსეთის თანხმობის პირობით, მომავალში გადაწყდებოდა. თურქებს პატივი უნდა უცათ საქართველოს არსებული საზღვრებისათვის, ხოლო მათი დაზუსტება მომავალში გერმანიის მონაწილეობით მოხდებოდა. საპასუხოდ თურქეთის მხარე გამწვევებაზე წავიდა, დელეგაციის მეთაურმა პალილ-ბეიმ ამიერკავკასიის მთავრობას 72 საათიანი ულტიმატუმი წარუდგინა, რაც, განხორციელების შემთხვევაში, უაქტიურად, რეგიონის თურქულ ოკუპაციას ნიშნავდა.

ლოსოვს რადიკალური ქმედებისაკენ, ჩანს, მისი დელეგაციის წევრის, საქართველოში გერმანიის დროებით წარმომადგენლად გამწე-სებული გრაფ ფონ შულენბურგის იდეამაც უბიძგა. თბილისში მყოფი გრაფი 25 მაისის წერილში ლოსოვს ერთობ გაბედულ გეგმას სთავაზობდა, შესაძლოა, იმ შემთხვევისათვის, თუ ქართველი პოლიტიკოსები კვლავ გააჭიანურებდნენ, ან ხულაც გადაიფიქრებდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს გეგმა, არსებითად, სახელმწიფო გადატრიალების ქონცეულციას წარმოადგენდა. შულენბურგი წერდა: „შე-



ვინარჩუნოთ, სულ მცირე, საქართველო მაინც და ადრე თუ გვიან  
მთელი კავკასია ჩვენს მხარეზე იქნება... მე აქაური სასახლის (პატარებისა)  
ერკავკასიის მთავრობის რეზიდენცია – ნ. მ.) თავზე სიამოვნებით  
აღმართავდი გერმანიის დროშას”, რისთვისაც, მისი აზრით, ხელ-  
საყრელი პირობები არსებობდა. ქალაქის სამხედრო კომენდანტის მო-  
ვალეობას „მაღალი რანგის ოფიცირის ჩამოსვლამდე” იგი თავად კის-  
რულობდა. იარაღის უნგარონი ტარების აკრძალვისა და წესრი-  
გის დამყარების მიზნით, შემოღებული იქნებოდა სიკვდილით დასჯა,  
ყველა ქართველი ოფიცერი და მოხელე თავიანთ აღგილებზე დარჩე-  
ბოდნენ. ამ სცენარით მოვლენათა განვითარების შემთხვევაში ყველა  
დიდ პოლიტიკურ პარტიას პეტიცია უნდა წარმოედგინა წერილო-  
ბით პირადად მისთვის და „გერმანიის მხრიდან თბილისის ოკუპა-  
ცია“ მოეთხოვა, რაც ასეთ მოქმედებას გარკვეულ გამართლებას მო-  
უძებნიდა. ლანდტაგის (პარლამენტი – ნ. მ.) მუშაობა მას მიზანშე-  
წონილად არ მიაჩნდა და დროებით უნდა გადადებულიყო. შემდეგ შუ-  
ლებნბურგი ქართული მხრის „მონარქისტული იდეის“ – რაც ლოსო-  
ვს ბათუმში მოახსენეს – კონკრეტული რეალიზაციის გზას სახავდა.  
შისი ჩანაფიქრით, პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმ პრუსიელი (პოპე-  
ცოლერი – ნ. მ.) – პრინც ალბრეხტის მემკვიდრე, „კერძო ვიზი-  
ტით“ ჩამოვიდოდა საქართველოში და „თურქებისაგან თავდაცვის,  
უსაფრთხოების გარანტი“ იქნებოდა.<sup>41</sup>

რა შეიძლება ამაზე ითქვას! შულენბურგი თბილისში იმიტომ იმ-  
ყოფებოდა, რომ დამატებითი იმპულსი მიეცა ეროვნული საბჭოს ლი-  
დერებისათვის და დაეჩქარებინა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ  
გადაჭარბებულ მოსაზრებებში „გადატრიალებისათვის“ სიტუაცია  
არაადექვატურადა შეფასებული, ასევე არასწორადა გაგებული ქარ-  
თული მხარის პოზიცია დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების  
საქმეში. შულენბურგის გეგმის განხორციელების საჭიროება, რომე-  
ლიც მიუღებელი იქნებოდა ქართული მხრისათვის (თუ მისთვის იგი  
ცნობილი იყო) და ასევე არასასურველი გერმანიისთვის, თუნდაც სა-  
ქართველოს პროგერმანული ორიეტაციის გამო, 26 მაისის აქტის  
შემდეგ აღარ არსებობდა. 28 მაისს ლოსოვშა და ა. ჩხენკელმა – ახ-  
ლა უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა – ფოთში დრო-  
ებითი ხელშეკრულებები გააფორმეს,<sup>42</sup> რაც საქართველოს de-facto  
აღიარების ტოლფასი იყო.



ქართულ მხარესთან ხელშეკრულებითი ურთიერთობებით გამოიყენება  
მანის ხელისუფლებამ ცალსახად გამოხატა თავისი განსაკუთრებულ  
ლი ინტერესების არსებობა საქართველოს მიმართ. 26 მაისს კიულ-  
მანი ამის შესახებ აცნობებდა თავის ვწნელ ეღჩს, იმეორებდა იმ მო-  
თხოვნებს, რაც ბერნსტორფისადმი 24 მაისს დირექტივაში ჩამოა-  
ყალიბა და განუმარტავდა, რომ ურჩია თურქეთის მთავრობას, „არ  
დაესაკუთრებინა ქალაქი ბათუმი, არამედ ქართველებისთვის გადაე-  
ცა“, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მნელად თუ დამყარდებო-  
და ხანგრძლივი მშვიდობაანი დამოკიდებულება თურქებსა და ქართვ-  
ელებს შორის... მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ რჩევისათვის ყური  
ეგდოთ, თურქებმა ყოველგვარი ზომიერების გრძნობა დაკარგეს...“<sup>43</sup>

თავის ვენელ კოლეგას გრაფ ბურიანს კიულმანი მხვავს, თუმცა  
ოდნავ განსხვავებულ ინფორმაციას აწვდიდა და თავგასული მოკავ-  
შირის ექსპანსიონისტური მაღის მოთოვკისათვის ერთობლივი აქ-  
ციებისა კენ მოუწოდებდა. ახალი მოქმენტი ამ მიმართვაში ბათუმთან  
დაკავშირებით ჩანს. კიულმანი ფიქრობდა, „ჭოროხის ჩრდილოეთით  
მდებარე“ პროვინციის ნაწილის საქართველოსთვის შენარჩუნების  
მიზნით, თურქებისათვის, გაცვლის წესით, ამიურკავკასიის სხვა ად-  
გილზე „თათრებით დასახლებული ტერიტორია“ დაეთმო. „მათ  
(თურქებმა – ნ. მ.) ელიზავეტობოლში და სხვა თათრულ ოლქებში  
თურქეთის დროშა აღმართეს, აპირებენ მთლიანად ელიზავეტობო-  
ლის და ბაქოს გუბერნიების ანექსიას, გეგმავენ ბაქოს წინააღმდეგ  
გალაშქრებას, რომ ბოლშევიკები განდევნონ და თავად გამაგრდნენ  
იქ. ახალქალაქის სამხრეთის ფრინტიდან თურქეთის ჯარები მიი-  
წევენ თბილისისა და ერევნისაკენ.“ აფასებდა რა სიტუაციას, რო-  
გორც „საგანგებოდ კრიტიკულს“, კიულმანი კვლავ ხაზგასმით აღ-  
ნიშნავდა, რომ „„აღიარებს საქართველოს მთავრობას de-facto და  
მხადაა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის თანხმობის პირობით ცნოს  
(იურიდიულად – ნ. მ.) საქართველოს დამოუკიდებლობა... მოუწო-  
დებს ოსმალეთის საიმპერიატორო მთავრობას ასევე მოიქცეს და პა-  
ტივი სცეს საქართველოს საზღვრებს“.<sup>44</sup>

ბურიანის და კიულმანის ერთობლივი ანტითურქული დემარში  
იმაში გამოიხატა, რომ მათმა ელჩიებმა კონსტანტინეპოლიში, პალავ-  
იჩინიმ და ბერნსტორფმა, მტკიცე პროტესტი განუცხადეს ტალაათ-  
ფაშას, მაგრამ თურქების ძალმომრეობითი საოკუპაციო პოლიტიკა



კვლავ გრძელდებოდა ქართულ და სომხურ მიწებზე. საინტერესოა პალავიჩინის დაკვირვება (30 მაისისათვის) გერმანიის კავკასიურული პოლიტიკის უაღრესად წინააღმდეგობრივ ხასიათზე. მან ტალაათ-ფაშასთან აუდიციისას შეიტყო, რომ თავის დროზე ბერნსტინული მხარს უჭერდა ამიერკავკაიის მთავრობისადმი წარდგენილ ულტი-მატუმს\* და გერმანიის უმაღლესი სარდლობაც არა მარტო ეთანხმებოდა თურქეთის არმიის კავკასიურ შეტყვას, არამედ აქეზებდა კი-დეც ამის კენ. ავსტრია-უნგრეთის ელჩი სწორ დასკვნას აკეთებდა გერ-მანულ დაბლომატიასა და სამხედრო ხელმძღვანელობას შორის სე-რიოზულ აზრთა სხვადასხვაობაზე, რომ ყოველი მათგანი „საკუთარ“ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს მიმართ და ბერნსტინულიც იმუ-ლებული იყო, მათ შორის ლავაირებისათვის მიემართა.<sup>45</sup> დაბუჯითუ-ბით უნდა ითქვას, რომ ამ ორი უწყების მიერ წარმოებული პოლიტი-კა მხოლოდ მეთოდებით განსხვავდებოდა, ხოლო მიზანი – საქართვ-ელოსა და შემდეგ ამიერკავკასიაში გერმანიის ეკონომიკური და პო-ლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფა – ორივესათვის ერთი იყო.

27 მაისისათვის ვილჰელმშტრასედან მიღებული დირექტივები ბერნსტინულს რადი კალური მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. კონსტან-ტინებოლში დაგევმილ კონფერენციაზე, სადაც ამიერკავკასიის სახ-ელმწიფოთა საკითხები უნდა დარეგულირებულიყო ბერნსტინულს თურქების წინაშე უნდა დაეყუნებინა შემდეგი მოთხოვნები: ამიერკავ-კასიის ან საქართველოს, სომხეთის და თათრეთის აღიარება; ბათუ-მი, ყარსი, არდაგანი და „უპირატესად ქრისტიანული ახალქალაქი“ – საქართველოს; ბათუმი თავისუფალი ნავსადგურია; საზღვრების დემარკაცია მოხდება შერეული კომისიის მიერ გერმანიის თავმჯდო-მარებით; საქართველო თავისი რეინიგზით ატარებს თურქეთის სა-მხედრო ეშელონებს გერმანული სამხედრო ტარიფის შესაბამისად და იმ პირობით, რომ თურქებმა არ უნდა დატოვონ სადგურების ტერი-ტორია. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის მხარე ამას არ დათანხმდებოდა, გერმანიის პოზიცია უფრო მქაცრი გახდებოდა და დღის წეს-

\* ბათუმის ულტიმატუმშა, რომელიც გერმანულთა დაუკითხავად წარადგი-ნეს თურქებმა, ნიადაგი შეუძინადა 4 ივნისის ხელშეკრულებას თურქეთისა და სა-ქართველოს შორის. ვ. ბილი ფიქრობს, რომ გერმანია სწორედ ამიტომ არ ცნობდა მას. რაც შევხედა ულტიმატუმზე თითქოსდა გერმანელია თანხმობას, ბერნსტინ-ვი თვლიდა, რომ ეს გაუგებრობას ემყარებოდა. (Bihl W. Op. cit., S. 98-99).



რიგში დადგებოდა გენ. პ. ფონ ზეექტის და გერმანული შენაურობის გაწვევა თურქეთიდან, სუბსიდიების შემცირება თურქეთისადმისაშე ლოს მასთან ყოველგვარი ექსპორტის შეწყვეტა.<sup>46</sup> აშკარაა, რომ გერმანია კავშირის გაწვეტის ზღვარზე აგებდა თავის დამოკიდებულებას მოკავშირესთან, რომელიც საქართველოს ხარჯზე ცდილობდა კომპენსაციის მიღებას.

უაღრესად საინტერესოა ვენელი დიპლომატის პალავიჩინის აზრი, რომ თურქების ახლანდელი აგრესიული მოქმედება (31 მაისის მდგრმარეობით – ნ. მ.) აღრე დაშვებული შეცდომის შედეგია. კერძოდ, იგი წერს: „იმ მრავალ პოლიტიკურ შეცდომათა შორის, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკში იქნა დაშვებული, ჩემი აზრით, ყველაზე უდიდესი თურქეთისათვის ბათუმის, ყარსის და არდაგანის დაბრუნება იყო. არაბუნებრივად ჩანს, რომ ოლქები, რომლებსაც წლების განმავლობაში ქრისტიანული სახელმწიფო, თუნდაც ეს რუსეთი იყოს, მართავდა, ამიერიდან უფრო დაბალ კულტურას უნდა მივანდოთ!.. გერმანიაა ის, როგორც ჩანს, ვინც პირველ რიგში იმაზე ზრუნავს, რომ საქართველო თავისთვის დაინარჩუნოს“.<sup>47</sup>

კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით ლოსოვმა გადადგა: 28 მაისის ფოთის „შეთანხმებათა კომპლექსი“, ვ. ბილის აზრით, კავკასიასთან მიმართუბაში „გერმანიის ძალისმიერი პოლიტიკის გამოვლინების ერთ-ერთი კულტინაციური პუნქტია“.<sup>48</sup> თურქეთთან უმწვავესი დაპირისპირების პირობებში, ისე, რომ სამოკავშირეო ურთიერთობებს მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა, გერმანიამ უდიდესი ძალისხმევის ფასად მოახერხა საში მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა: ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა საკუთარი ინტერესები საქართველოსადმი; საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მხარდაჭერით გაითვალისწინა და დააკმაყოფილა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები; შეინარჩუნა თურქეთთან სამოკავშირეო ურთიერთობები და გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია მისი ანექსიონისტური გეგმები. ამ მიზნების მიღწევა, რა პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, შედარებით იოლად მოხერხდა გერმანიის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური წრეების წინააღმდეგობრივი კავკასიური პოლიტიკის ფონზე, რომელიც მიზნის მიღწევის განსხვავებული საშუალებების გამოყენებას ეფუძნებოდა.

გენერალი ფონ ლოსოვი, მართალია, არსებითად, იცავდა ბერ-



ლინის ინსტრუქციებს, მაგრამ საქართველოსთან ხელშეკრულებებში დადგება მის კომპეტენციაში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ წააჭარბებული ბერნსტორფის 31 მაისის ინფორმაციას ლოსოვის მოქმედების შესახებ კიულმანმა, რომ მას ამისათვის „არავითარი უფლებამოსილებანი არ გააჩნდა“.<sup>49</sup> სავარაუდოა, ეს უფრო თავის დაზღვევის მიზნით მოიმოქმედა კიულმანმა, თორემ ლოსოვის დიპლომატიური მოქმედებების დაზღვევის ანულირება და შედეგების ანულირება გერმანიის ხელისუფლებას არ უცდია.

#### IV. სამხედრო მასამდიბის პრობლემა და პრესის მისია საშართველოში

საქართველოსა და ამიერკავკასიაში დიპლომატიური მოქმედებების სამხედრო აქციებით განმტკიცების საკითხი მაისში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გახდა. სამხედროებისა და დიპლომატების მონაწილეობით 11 მაისს საქაში რაიხსკანცლერთან გამართულ შეხვედრაზე ლუდენდორფმა კავკასიაში „რამდენიმე ბატალიონის გაგზავნის“ საკითხი დააყენა. გ. ფონ პერტლინგმა ეჭვი გამოთქვა, რომ ეს ღონისძიება ომის გაგრძელებას გამოიწვევდა. პინდენბურგმა შხარი დაუჭირა ლუდენდორფს და განაცხადა, პირიქით, ამით ომი უფრო მაღალ დასრულდება. ბოლოს ლუდენდორფმა ეს კამათი, გ. რიტტერის თქმით, მეტად „უცნაური იდეით“ დასრულდა: „ჩვენ ჩომ ძველ და არა ახალ მტერს ვებრძვით... სად იომებუნ ჯარები, აქ თუ იქ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ“.<sup>50</sup>

დიამეტრალურად საპირისპირო მოსახრებას იცავდა კიულმანი და თვლიდა, რომ გერმანიის ინტერესების დაცვას კავკასიაში შულებურგისა და ვეზენდონგის ძალისხმევაც ეყრდნობა. იგი წინააღმდეგი იყო თუნდაც „მცირერიცხოვანი ნაწილების გაგზავნისა“, რადგან მიაჩნდა, რომ „ამით „მძიმე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებდნენ“ საკუთარ თავზე“.<sup>51</sup>

კიულმანი თეორიულად აღიარებდა, რომ „განაპირა სახელმწიფოს გამოყოფისათვის არაა საჭირო „დედა სახელმწიფოს (Mutterstaat) თანხმობა“, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, პრაქტიკულად, ყოველთვის მოსკოვს უწევდა ანგარიშს. გერმანული ნაწილებისა და სამხედრო-დიპლომატური მისიის საქართველოში გამოგზავნის საკითხი 13 მაისს გადაწყდა სპაში გამართულ თათბირზე.



ეს ღონისძიება გერმანიის კავკასიური პოლიტიკის „კულტურული პუნქტის“ – ფოთის ხელშეკრულებების სულისკვეთების უდაცვულება გაგრძელებას წარმოადგენდა და ინისის დასაწყისიდან ამოქმედდა. სადათ არაა, რომ სამხედროების პოზიცია აქაც განმსაზღვრელი აღმოჩნდა. 21 მაისს ლუდენდორფში, როცა განახლდა თურქების შეტევა სომხების წინააღმდეგ, პვლავ მოითხოვა კავკასიაში „მცირერიცხოვანი სასწავლო ქვედანაყოფების“ გაგზავნა. მათი ამოცანა „კავკასიის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების შშენებლობა უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, რომ იგი ქართველებში „კარგ ჯარისკაცებს“ ხედავდა. ამასთან, გერმანულ შენაერთებს სარკინიგზო მაგისტრალების დაცვით თურქებისათვის ანტიინგლისური კამპანია უნდა გაეიღოდინათ სპარსეთსა და მესოპოტამიაში.<sup>52</sup>

„კავკასიის რესპუბლიკაში“ ამიერკავკასიის ფედერაცია იგულისხმებოდა, სადაც წამყვანი როლი, როგორც „ყველაზე უკეთ ორგანიზებულ ერს“ – ქართველებს უნდა ეკისრათ. კიულმანის მოადგილე ბუსშე 26 აპრილს ვილჭელმ II-თვის შედგენილ ინფორმაციაში კმაყოფილებით აღნიშნავდა: „რუსეთს, თურქეთსა და სპარსეთს შორის მდებარე გერმანიაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გაგვიმართლდა“. <sup>53</sup> როცა ჯარის გაგზავნის საკითხი განიხილებოდა სპაში, სწორედ ამიერკავკასიის ფედერაცია იგულისხმებოდა, თუმცა დამოუკიდებელი საქართველოს წარმოშობის შემდეგ ჯარიც აქ განლაგდა და მისიის რეზიდენციაც თბილისი გახდა.

მისიის ხელმძღვანელად, ლუდენდორფის წინადაღებათა და მხარდაჭერით, პოლკოვნიკი, ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი დაინიშნა, რომელიც 1917 წლის ბოლომდე პალესტინის ფრონტზე იბრძოდა. სამხედრო პირის დანიშვნა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად კიდევ ერთხელ მიუთითებდა OHL-ის განმსაზღვრელ როლზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას. ვ. ბაუმგარტი აღნიშნავს, რომ არც ზემოთხსენებული თათბირის ოქმით და არც სხვა მასასალებით არ დასტურდება რაიმე პროტესტის არსებობა „აუსენამტის“ მხრიდან „დიპლომატურ წარმომადგენლად ოფიცირის არჩევის გამო“. <sup>54</sup> საგულისხმოა, რომ „თბილისში დიპლომატური წარმომადგენლობის ფუნქციის აღების“ წინადაღება კრესმა 10 მაისს არა დიპლომატისაგან – OHL-ის პოლიტგანყოფილების უფროსის გენ. ბარტენვერფერისაგან მიიღო.



კაიზერი ვილჰელმ II



გენერალი ე. ლუდენდორფი



OHL-ის შეფი პ. ფონ პინდენბურგი (მარცხნივ)  
კაიზერთან და ლუდენდორფთან ერთად მთავარბანაკში  
(სურათები აღებულია წიგნიდან: Deutsche Geschichte in  
Schlaglichtern, Mannheim, Wien, Zürich, 1990).



გერმანული სამხედრო შენაერთების საქართველოში გამოიყენება  
ნას, დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ერთად და სამხედრო პი-  
რის (ქრესმა წამოსვლის წინ გენერლის წოდება მიიღო) მეთაურო-  
ბით, ორმაგი უზუქცა უნდა შეესრულებინა: ერთის მხრივ, ფონ კრე-  
სი, როგორც სამხედრო პოტენციალის მფლობელი, კონკრეტული სა-  
მხედრო ამოცანების გადაჭრას შესძლებდა საჭირო დროს, ხოლო რო-  
გორც დიპლომატი, გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური ინ-  
ტერესების უზრუნველყოფისთვისაც წარმატებით იბრძოლებდა. თუ გენერალ ფონ ლოსოვის მოღვაწეობა ბათუმში, ბერნსტონფის შეფა-  
სებით, იყო „ძალისმიერი პოლიტიკა ძალის გარეშე“,<sup>55</sup> კრესის მთე-  
ლი სამოქმედო პროგრამა უგვე ძალაშე დაფუძნებული ძალისმიერი  
პოლიტიკა უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს გარემოება აფიქრებდა კი-  
ულმანს და განაპირობებდა მის, თუ ნებატიურს არა, ზედმეტად ფრთხ-  
ილ დამოკიდებულებას საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის პო-  
ლიტიკური მოწესრიგების პრობლემისადმი. საბჭოთა რუსეთთან ზა-  
ვის შემდეგ კიულმანს არ სურდა მისთვის ხელახალი ომის საბაბი  
მიეცა და ყველა სადაო საკითხის ურთიერთგავების საფუძველზე მო-  
გვარებას ცდილობდა. მოსკოვის აქტიურობაც თანდათან იზრდებო-  
და, განსაკუთრებით, თურქეთის აგრესის ესკალაციის ფონზე. ბა-  
თუმის კონფლიქტის ჩაშლის გამო, რუსული მხარის სურვილი მას-  
ში მონაწილეობისა, უსაგნო გახდა და ვერ დაქმაყოფილდა, მაგრამ  
ივნისის დასაწყისში ბოლშევიკური მთავრობა თურქეთის ბაქოს მი-  
მართულებით შემდგომი წინსვლის გამო ომის გამოცხადებით იმუქ-  
რებოდა.<sup>56</sup>

ამიტომ „საქართველოს საქმე“ საგარეო საქმეთა სამინისტროს კონცეფციაში სწორედ გერმანია-რუსეთის ურთიერთობების კონტექ-  
სტში განიხილებოდა. აქედან, კიულმანი იმდენად იყო კავკასიაში თურ-  
ქეთის საქციელით „აღმუროთებული“, და მიაჩნდა ის „წმინდა წყლის  
სისულეელდ“, რამდენადაც საბჭოთა რუსეთის პროვოკირება ბრეს-  
ტის საზღვრების დარღვევის გამო ძალიან აღვილი იყო. მას სწამდა,  
რომ რუსეთისათვის „ბაქო ახალი casus belli იქნებოდა“.

ფონ კრესის მომავალი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი,  
აქედან გამომდინარე, თურქების ბრესტის ზავის საზღვრების ფარ-  
გლებაში შეკავება და მათი კონტროლი იყო; რაც აშკარად მისიის  
სამოქმედო გეგმად არ გაცხადებულა, ეს გახლდათ საქართველოდან



და ამიერკავკასიიდან რუსეთის გამოთიშვის შედეგად წარმოქმნელობისა ზადება. პირველ მომენტს არ უნდა გამოეწვია რუსეთის გადაზიანება, რასაც ვ. ბაჟმგარტიც შენიშვნავს. მისი აზრით, საქართველოში კრესის მისის და ჯარის გაგზვნის გამო რუსებმა პროტესტი არ გამოთქვეს, რადგან ისინი ამას ანტითურქულ პროფილაქტიკურ ღონისძიებად მიიჩნევდნენ, ხოლო მასში ჩადებული გერმანია-თურქეთის კონფლიქტის ჩანასახი „ბოლშევიკურ საქმეს“ წაადგებოდა.<sup>57</sup> საქართველოში გერმანის დამკვიდრების ინტერესებს ემსახურებოდა ზემოთ აღნიშნული 27 მაისის დირექტივები ბერნსტორფისადმი, რაც კრესმაც სახელმძღვანელოდ მიიღო. იმავე ღღესვე გაეცნო კრესი „კავკასიაში გასატარებელი გერმანული პოლიტიკის“ ძირითად მიმართულებებსაც და ცხადია, OHL-თან ერთად გაიზიარა ისინი. ამ მოთხოვნათაგან უმთავრესი იყო:

1. გერმანია იღვწის რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის, ქართველი ოფიცირები და ჯარისკაცები გერმანული ტყვეობიდან სამშობლოში ბრუნდებიან;
2. გერმანული იარაღი და ამუნიცია, შეძლებისდაგვრად, მოწოდებული იქნება ზომიერი ფასებით და გადახდის განვადებით;
3. ამიერკავკასიის რკინიგზის და ბაქოს კონტროლი; თურქებმა „თათართა ქვეყანაში“ უნდა შეწყვიტონ პანისლამისტური პროპაგანდა, უკან გაიწვიონ აგენტები და „თათრები“ შემოუერთდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკას.
4. OHL-ი სარკინიგზო დაცვისათვის აგზავნის 1 ბატალიონს, გერმანელ ოფიცირებს და სახწავლო ქვედანაყოფებს, „თურქეთის მონაწილეობა ამიერკავკასიის არმიის მომზადებაში უნდა გამოირიცხოს“;
5. გერმანული უწყებების მიერ წარმოგზავნლი ყველა ორგანო და ყველა სამხედრო ქვედანაყოფი ექვემდებარებოდა კავკასიაში გერმანიის დელეგაციის მეთაურს, რომლის ხელშიც გადიოდა ყველა ინფორმაცია ბერლინისათვის. მასევ „უფლება პქონდა და მოვალეც იყო“, გამოეხატა თავისი განსხვავებული შეხედულება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე.<sup>58</sup> მნიშვნელოვანია, რომ ამ კონცეფციის მიხედვით, გერმანია მთელს ამიერკავკასიაზე და მის ნედლეულზე კონტროლის მოპოვებას ცდილობდა, რისთვისაც არც რუსეთთან გართულებებს ერთდებოდა და მუსულმანურ ოლქებში თურქეთის ინტერესების აღქმა-საც ცდილობდა.



კავკასიაში დამკვიდრებისათვის და „სამხრეთ-აღმოსავალურუსებრივი ხელმწიფოთა კონფედერაციის“ შესაქმნელად ჯერ საქართველოს ფერის მოკიდება იყო საჭირო. ამის შესახებ გაბედულ და „რეალისტურ“ კონცეფციას ავითარებდა ვეზენდონგი. 31 მაისის მემორანულში მან გერმანიას მიზნად დაუსახა, „ყოვლისმომცველი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა მოლისად ამიერკავკასიის ქვეყნებზე“ და „ნაძღვილი ზეწოლა თურქეთზე“, მოწინააღმდეგეთა ბანაქში მისი გადასვლის ზღვარზე ბალანსირების რისკითაც კი. ვეზენდონგი პირდაპირ წერს: „კავკასია ჩვენ გვთავაზობდა ტრამპლინს პოლიტიკური საქმიანობისათვის სპარსეთში, ცენტრალურ აზიაში და ურალსა და უქრაინას შორის მდებარე რუსულ მხარეებში. კავკასიის ქვეყნების დაუფლება გერმანიის აღმოსავლერი პოლიტიკის (Ostpolitik) ქაკუთხედი იქნებოდა და უზრუნველყოფდა ჩვენს გავლენას შავ ზღვაზე. ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენ მივიღებდით დედამიწაზე ხილიდით მეორე ნავთობის რაიონს, მდიდარ მარგანეცის პროდუქციას, განვითარებულ ბაბის კულტურის მხარეს და ა. შ., შესაბამისად – ნედლეულით უზრუნველყოფის ფართო შესაძლებლობას...“ მაგრამ, მოცემულ მომენტში, „პირველი ნაბიჯი საქართველოში“ უნდა გადადგმულიყო, როცა გემი იღუპებოდა, უნდა გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა და გერმანიას საქართველოში ისეთი პოზიცია შეექმნა, საიდანაც ადვილი იქნებოდა „იმის მიღწევა, რაც გასულ კვირეებში ხელიდან გაუშვა“. <sup>59</sup> ვეზენდონგი აქ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლას გულისხმობდა, რისი სურვილიც არც ქართულ და არც გერმანულ მხარეს თავდაპირველად ნამდვიალად არ ჰქონია.

რაისსკანცლერთან თათბირზე 3 ივნისს, ლიხიფვისა და კრესის მონაწილეობით, ლუდენდორფმა კვლავ ხაზი გაუსვა „საქართველოს გარშემო გერმანიასთან მტკიცებ დაკავშირებული კავკასიური ბლოკის“, <sup>60</sup> ანუ იგივე „სამხრეთ აღმოსავლეთის კონფედერაციის“ ჩამოყალიბების მნიშვნელობას სამხედრო მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისა და ქართული არმიის შექმნის საქმეში. ცხადია, აღგიღზე ხიტუაციის გარევევისთანავე კრესსაც ამ მიმართულებით უნდა წარემართა თავისი საქმიანობა.

რაისსკანცლერ ჰერტლინგის ხელმოწერილ რწმუნების სიგელში მითითებული იყო, რომ „ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორი ბა-



რონი კრეს ფონ კრესენტაინი იგზავნება თბილისში”, როგორც გმირი განიის „დროებითი დიპლომატიური წარმომადგენლი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მთავრობასთან, რომელიც ამჟამად ხელისუფლებაშია საქართველოში“ კრესის ამოცანას შეაღვენდა საქართველოში „„გერმანიის ინტერესების დაცვა და გაიზრული მთავრობის სახელით ყოველგვარი მოღარაკებების წარმოება, რაც აუცილებელია ამ დავალების შესასრულებლად“.<sup>61</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოება გახლდათ ის, რომ კრესი ზურგს უმაგრებდა სამხედრო ძალა, რომლის საქართველოში გაგზავნის წინააღმდეგ კიულმანის უწყებამ ვერაფერი მოახერხა. პირველი გერმანული ქვედანაყოფები ჯერ კიდევ ლოსოვმა ჩამოაყალიბა გერმანელი ტყვეებისაგან საქართველოდან წამოსვლამდე. ამ ათას-კაციან შენაერთს, გერმანელი ოფიცირების სარდლობით, „მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით“ საქართველოს სარკინიგზო კომუნიკაციებთან ერთად ფოთისა და სოხუმის პორტებიც უნდა დაეცვათ. 8 ივნისს ფოთში ჩამოვიდა ახალი ქვედანაყოფები (1080 ჯარისკაცი და ოფიცირი), მოგვიანებით მათ კიდევ ახალი მიემატა და აგვისტოში გემანიის ჯარების რაოდენობამ 5 000 კაცს გადააჭარბა, მათი ზრდის პროცესი კვლავ გაგრძელდა და სექტემბრის შუა რიცხვებისათვის უკვე 19 ათასი კაცი შეაღგინა.<sup>62</sup> ცხადია, ეს ძალები მოწოდებული იყვნენ, როგორც ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერისათვის, ასევე თურქეთისა და რუსეთის კავკასიური ინტერესების გასახიერობლადაც, რითაც შესაძლებელი ხდებოდა გერმანიის ეკონომიკური ინტერესების უპირატესი დაცვაც. კრესი ივნისის თვეში დამატებით გადაეცა 222-ე საველე პოსტიალი, მძლავრი რადიოსადგური, 201-ე სატვირთო ავტოკოლონა და 28-ე ავარაზმი.<sup>63</sup> საკუთრივ დელეგაციის შემაღვენლობაც მრავალრიცხვანი გახლდათ – სხვადასხვა რანგის ოფიცირების და ჯარისკაცების ჩათვლით, 150 კაცამდე აღწევდა, ხოლო თუ დავუმატებთ სამედიცინო პერსონალს და სხვადასხვა რანგის მოხელეებს, რომელთა ზუსტი ციფრი არაა მითითებული, მაშინ საერთო რაოდენობა ბევრად მეტი გამოდის.

ფონ კრესი საქართველოში გამომგზავრებამდე სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებს ხვდებოდა ბერლინში, არკვევდა მათ ინტერესის კავკასიის მიმართ და აგროვებდა ინფორმაციებს. აქამდე სა-



ქართველოსთან წარმოებული პოლიტიკის თაობაზე ის მთლიანად ინფორმირებული იყო და საკუთარ პოზიციასაც აფიქსირებული იყო ნისს „აუსენამტში“, საქართველოს საკითხზე მსჯელობისას, კრესია იმის გარკვევა მოითხოვა, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო საქართვლოს შეერთება გერმანიასთან და გამოთქვა აზრი, რომ ამ ქვეყნის საგარეო ურთიერთობის საკითხები, სამხედრო და საბაჟო სისტემა მთლიანად გერმანიის გავლენის ქვეშ ყოფილიყო.<sup>64</sup> ერთი დღით ადრე რაიხსკანცლერს ლოსოვმა ვრცელი ანგარიში წარუდგინა ბათუმის მოლაპარაკებების შესახებ, დაწვრილებით დაახასიათა ენვერ-ფაშას „ნეოთურქული იმპერიალიზმი“, კონსტანტინეპოლის პოლიტიკაში „თაღლითების ბანდის“ ანგარებიანი ინტერესების ბატონობა და მოითხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღიარება. მან, ლუდენდორფის სტადიო, კიდევ ერთხელ აღნიშნა მხარის, „უზარმაზარი ეკონომიკური სიმდიდრეები“ და ინდუსტიალურ უმოკლესი სახმელეთო კავშირის დამყარების პერსპექტივა. 8 ივნისს ვილაჟელმ II-სთან აუდიენციისასაც მან „ოპტიმისტურად აღწერა საქართველოს მომავალი“ და სასწრაფო საქმედ მიიჩნია საქართველოს გერმანიასთან რაიმე ფორმით შეერთება და ქართული „ვერმახტის“ ჩამოყალიბება.

კავკასიური სიკეთეების ლოსოვისეული აღწერის ძლიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით კაიშერმა განაცხადა, რომ „ყველაფერი ასე უნდა გაკეთებულიყო“.<sup>65</sup> გენერალმაც, კაიშერის ავტორიტეტის მოშველიებით, დამოუკიდებელი ინიციატივა გამოავლინა და ბერნისტორფს, კრესია და შულენბურგს თურქების წინააღმდეგ საქართველოს გამო „ყველა შესაძლო რეპრესიის“ გამოყენებისაკენ მოუწოდა. უმაღლესი მთავარსარდლობა განსაკუთრებით აღაშფოთა თურქების მიერ 4 ივნისს ბათუმში 26 მაისის ულტიმატუმის საფუძვლზე საქართველოსთან გაფორმებულმა „ზავისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებამ, რომელიც ფოთის ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგებოდა.<sup>66</sup> თურქეთის მხარის ეს დიპლომატიური კონტრშეტევა აშკარად გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული და ფოთის პოლიტიკის საპირისპირო აქციას წარმოადგენდა. ა. ჩხერიკელმა 6 ივნისს გააპროტესტა ეს ხელშეკრულება და მხარდაჭერაც მოიპოვა გერმანელებისაგან. აღსანიშნავია, რომ სამხედროთა ხაზს ამ შემთხვევაში კოულმანიც იზიარებდა და აცხადებდა, რომ გერმანია ბათუმის ხელშეკრულებას არ ცნობდა.



ლუდენდორფმა და პინდებზურგმა შესაბამისად 8 და 9 ივნისს პირველი დაბირ ენცერ ფაშას მიმართეს ჯარების დაკავებული ტერიტორიაზე მოხვენით დან (ბრესტის ზავით განსაზღვრულის გარდა) ევაგუაციის მოთხოვნით. ენცერი 10 ივნისს გადადგომით დაიმუქრა და გერმანია-თურქეთის კავშირს სერიოზული საურთხე შეექმნა. ენცერის მუქარა-განცხადება უფრო შანტაჟი აღმოჩნდა, რის შედეგადაც სამხედროებმა ოდნავ შეარბილეს პოზიცია და გარკვეულწილად უკან დაიხიეს, ხოლო კიულმანი კვლავ იმ აზრზე იყო, რომ გერმანელთა თანხმობის გარეშე თურქების მიერ წამოწყებული პოლიტიკური თუ სამხედრო ნაბიჯი ყოველთვის ნეგატიურ დამოკიდებულებას შეხვდებოდა.<sup>67</sup> საქმე მარტო პოლიტიკური დაპირისპირებით არ შემოიფარგლა და მოკავშირეთა შორის სამხედრო შეჯახებაც მოხდა. 19 ივნისს შეულენბურგი თბილისიდან აცნობებდა ბერლინს, რომ „გუშინ დილით კოლაგერანის ჩრდილოეთით თურქეთის ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს გერმანულ შენაერთებს და მათაც ცეცხლითვე უპასუხეს“.<sup>68</sup>

ივნისის დასაწყისში გერმანულ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში, საქართველოს საკითხის გარშემო მიმდინარე განხილვებისას, სარდლობასა და კიულმანის უწყებას შორის ნამდვილი დეპუტების ომი ატყდა. კიულმანი იმითაც უკმაყოფილო იყო, რომ ლოსოვმა ჩხერქელის დელეგაცია ბერლინში ჩამოიყვანა და ცდილობდა, კონტრზომებით ეპასუხა გენერალიტეტის სწორზაზოვანი პოლიტიკისათვის. იგი, მართალია, აშკარად არ დაპირისპირებდა ქართული დელეგაციის პოზიციას, მაგრამ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ სულაც არ მოქმედებდა მისი ლოდინის ტაქტიკა. ქართულ მხარეს, უწინარესად, ქვეყნის დამოუკიდებლობის სამართლებრივი აღიარების პრობლემა აწუხებდა. ამ საკითხის ირგვლივ OHL-ის და „აუსენამტის“ დაპირისპირების ამსახველ მასალებში, ვ. ბაუმგარტის შეფასებით, დიპლომატთა მხრიდან „ჯარის კაცური აზროვნების“ და „გენერლის (ლუდენდორფის – ნ. მ.) პოლიტიკანობით“ გამოწვეული „აღშურთებისა და სარკაზმის ნაზავი იგრძნობა“. ბოლოს კიულმანმა „სავსებით და მთლიანად“ მოიწონა „სარდლობის პოზიცია, მაგრამ, უპირატესად პოლიტიკური მიზეზების გამო, ამ სურვილის (საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების – ნ. მ) დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნია“.<sup>69</sup> კიულმანი რუსეთთან ზავის დარღვევის და თურქეთთან კავშირის გაწყვეტის ზღვარზე მანევრირების პოლიტიკას 3. ქრესი



სცილასა და ქარიბდას შორის ცურვას აღარებდა, რაც მეტადწესვეებულ-კო იყო გერმანიის დიპლომატიური ხომალდისათვის. საუკეთესო ფაქტი მოსავალს იგი „სიტუაციის გარკვევამდე“ ლოდინის ტაქტიკაში ხე-დავდა. ამ მაჩენთა გამო ბერლინში ქართულ-გერმანული ურთიერ-თობების „ფარგლებისა და შინაარსის თაობაზე თითქმის ერთი თვის განმავლობაში დაობდნენ საიმპერიო ხელმძღვანელობაში, ვიდრე ივ-ნისის ბოლოს ქართველებთან სერიოზულ მოლაპარაკებებს დაიწყებ-დნენ“.<sup>70</sup>

ბერლინში ა. ჩხენკელის დიპლომატიური მისიის საქმიანობა სა-განგებო ყურადღების საგანია. ზოგადად, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული დელეგაცია (ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ზ. ავალაშვილი), შემდეგ მას მიმატებული (ლ. ახმეტელი) თუ იქ დამხვდური ქართვე-ლები (მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი) და ქართული ეკონომიკური კო-მისია (ე. ბერნშტაინი,\* გ. სუმბათვი და ი. ბაქრაძე) ნაყოფიერად მუშაობდნენ საქართველოს აღიარებისა და ორმხრივი თანამშრომ-ლობის განვითარებისათვის.<sup>71</sup>

ბერლინში ლოსოვსა და ქართულ დელეგაციას შორის გარკვეუ-ლი დისონანსი შეიქმნა იმით, რომ „გულუბრყვილო იმპერიალიზ-მის“ წარმომადგენერული გენერალი ცალსახად ითხოვდა საქართველოს შეერთებას გერმანიასთან, მაშინ, როცა დიპლომატები ფოთის დრო-ებითი ხელშეკრულებებით შექმნილი მდგომარეობის განმტკიცებას უჭერდნენ მხარს. ჩხენკელმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღი-არების დღის წესრიგში დაყენებით, პრაქტიკულად, საკითხის გა-დაწყვეტის მესამე კონცეფცია წამოაყენა. ზ. ავალიშვილმა გერმა-ნელ პოლიტიკოსებთან საუბრებში განმარტა, რომ „გერმანიის ფე-დერაციაში“ შესვლას თავად გეოგრაფია ერთიანადმდეგებოდა, ხოლო „Schutzstaat“-ი, იგივე პროტექტიონისტი, ქართველთათვის „რო-გორდაც... აფრიკულად“ ჟღერდა, ასევე აღარც მონარქიული ტრა-დიციები არ სებობდა.<sup>72</sup> ამდენად დარჩა გერმანიაზე ორიენტირებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რამაც, სამხედროთა ტო-

\* ერთ ბერნშტაინი, ცნობილი გერმანელი ხოციალისტის ედუარდ ბერნშტაი-ნის ძმისწერი, წარმოშობით თბილისელი გერმანელი განლილა და აქტიურად მო-ნაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს შექნებლობაში. საქართველოში მცხ-ოვრებ გერმანელთა და განსაკუთრებით „გერმანელთა ეროვნული საბჭოს“ საქმი-ანობა სპეციალური შესწავლის საგანია.



ლერანტული დამოკიდებულების პირობებში, „აუსენამტის“ და განვითარების ცლერის თანხმობაც პპოვა,<sup>73</sup> მაგრამ, რუსული ფაქტორის გათვალისწილების წინებით, ჯერჯერობით აქტუალური არ იყო.

ბერლინს შეუძლებლად მიაჩნდა საქართველოსთან მშიდრო კავ-შირზე წასვლა, ვინაიდან თურქეთთან და რუსეთთან ურთიერთობები ზღუდავდა მას და მხოლოდ მათი მხრიდან საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში დაღვებოდა გერმანიისათვის casus foederis პრობლემა.<sup>74</sup> ამდენად, გერმანიის ქართული პოლიტიკის სამოქმედო და სასიცოცხლო სივრცე თურქეთთან და რუსეთთან ურთიერთობების ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა. ასეთი პოზიცია არაერთგზის დააფიქ-სირა კიულმანმა რაიხსკანცლერთან, პარტიებთან და სამხედროებთან შეხვედრებისას, ბოლოს კი – 24 ივნისს, რაიხსტაგის საგარეო პოლიტიკურ დებატებზე, მიუხედავად საქართველოსადმი კეთილგან-წყობის დადასტურებისა, მისი აღიარების საკითხი რუსეთის პოზიციას დაუკავშირა.<sup>75</sup> ვ. ციურერის შეფასებით, დიპლომატების ტაქ-ტიკა მათი მეტოქების – სამხედროებისაზე უფრო თანამედროვე და შორსგამიზნეული იყო და ბერლინის პასუხისმგებლობაც ამიტომ „გო-ნივრულობის ჩარჩოებით შემოისაზღვრებოდა“.<sup>76</sup>

საქართველოს საკითხის გარშემო ბერლინში გაჩაღებული დაპირისპირებებიდან გამომდინარე, ბუნებრივი ჩანს, ა. ჩხენკელის მისის გერმანიაში ყოფნის პარალელურად, თბილისში კრესის დელეგაციის და საჯარისო შენაერთების გამოგზავნა, რაც ჩხენკელის ჩასვლამდე გადაწყდა. კრესისათვის წამოსვლამდე ცნობილი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ორგვლივ არსებული წინააღმდეგობანი. გზად თბილისისაკენ 10-დან 20 ივნისამდე იგი კონსტანტინეპოლიში გაჩერდა, აქაც დამატებით მასალებს იღებდა და წვდებოდა პოლიტიკოსებს, არაა გამორიცხული, მას კონტაქტები ჰქონოდა იქ ჩასულ ქართულ დელეგაციასთან (ე. გეგშეორი, ი. ოდიშელიძე, გ. გვაზავა), რომლის იქ ყოფნას, თურქეთის გაღიზიანების შიშით, აღურთოვანებით არ შეხვედრიან ა. ჩხენკელი და ნ. ნიკოლაძე.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე კრესმა პირდაპირ საქმით დაიწყო. როგორც „სამხედრო ორგანიზატორს“, მას რეგიონში ყოფილი გერმანელი სამხედრო ტუკების (25 ათასი კაცი) ვარგისი კონტინგენტისგან თავისი ნაწილების შევსება და ქართული არმიის გერმანული ნიმუშის მიხედვით ჩამოყალიბება ევალებოდა.



კონსტანტინეპოლში ავსტრია-უნგრეთის საქმეთა რწმუნებულებაზე სცილაშის (Szilassy) ცნობით, საქართველოს მთავრობა, თურქული საფრთხის გამო, როგორც „საერთოდ, გერმანელთა ყოველგვარ ღონისძიებას“, ამასაც ეთანხმებოდა.<sup>77</sup> კრესი, ავსტრიელი და ბულგარელი კოლეგების თანხლებით, აღნიშნულ პრობლემებზე სასაქონდ 6. ჟორდანიას შეხვდა. გერმანული მისიის მეთაურის აზრით, საქართველოს ხელისუფლებას 30-40 ათასკაციანი არმია ესაჭირო ებოდა, რომელსაც ბერლინი 21 აგვისტომდე რუსული ნადავლი იარაღის არსენალიდან 20 ათას შაშხანასა და 4 მლნ. ვაზნას გადმოსცემდა.<sup>78</sup>

გერმანული სამხედრო კომისია და კრესის აღიაუტანტი გრაფი ვოლფ სკელი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართულ მხარესთან, მაგრამ ნაციონალური არმიის ფორმირების საქმე, ქართული მხარის გაუმართლებელი პასიურობის გამო, ნელა მიიწვევდა წინ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება სარკინიგზო კომუნიკაციების, საზღვრების თუ წესრიგის დაცვის თვალსაზრისით, გერმანულებს უწევდათ. ისინი განლაგდნენ ბათუმში, ფოთში, ოჩამჩირეში, სამტრედიაში, სენაკში, ჭუთაისში, ხაშურში, გორში, სიღარალში, ბორჩალოში, თბილისში, ხოლო 29 ივნისისათვის სოჭიც ეკავათ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკური ანტისამთავრობო გამოსვლების ჩახშობაში დუშეთის და ბორჩალოს მაზრებში, ზუგდიდში, ანაკლიაში და სხვ. გაზეთი „ქაუკაზიშე პოსტი“ სერიოზულად ეჭვობდა, რომ გერმანულთა დახმარების გარეშე საქართველოს მთავრობა შესძლებდა უწესრიგობათა აღკვეთას. კრესი შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობებდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო შავიზღვისპირეთში გენ. მაზნიერისათვის ჯარები მიეშველებინა, მითუმეტეს, რომ ტუაფეხეში 5 ათასი შეიარაღებული ბოლშევიკი იმყოფებოდა.<sup>79</sup> ბოლშევიკები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და კრესმა მათ წინააღმდეგ ბრძოლებში არტილერია და ავიაციაც გამოიყენა.

საშინაო პრობლემებიდან კრესისათვის ასევე თვალშისაცემი განხლდათ შიდა პარტიულ-პოლიტიკური დაპირისპირებანი, რაც ხელს უშლიდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას. მმართველი ს. დ. პარტიის გაზეთი „ბრძოლა“ ოპოზიციას, „რეაქციონურებად“ ნათლადავდა და თვლიდა, რომ „ქართველი ნაციონალისტები ეროვნული გამცემლობისა და სახელმწიფო დალატის გზას დაადგნენ.“<sup>80</sup> კრესი



შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში, მიუხედავად სათანადო შემოთავაზე ბებისა, არ ერეოდა, თუმცა მისთვის, როგორც კაიზერული გერმანიაში ის წარმომადგენლისათვის, სოციალ-დემოკრატები ნაკლებ სიმპათი-ური იყვნენ. ვ. ციურერის შეხედულებით, საქართველოს სუვერენი-ტეტის პატივისცემის „ნათელი დადასტურებაა“ გერმანელების მხრი-დან „თბილისის სოციალისტური რეჟიმისადმი ტოლერანტული და-მოკიდებულება“. კრესი ფიქრობდა, რომ გერმანიის ინტერესებს არ შეესაბამებოდა და მის ძალებსაც აღემატებოდა მემარჯვენეთა ხელი-სუფლებაში მოყვანა, მითუმეტეს, რომ „ახალგაზრდა რესპუბლიკის თანამდებობის ნაკლის გამოსწორებას ისინი უფრო სწრაფად ვერ შეძლებდნენ, ვიდრე მმართველი სოციალისტები“.<sup>81</sup>

კრესი საქართველოში სავალალი მდგომარეობა დაწვდა დეზორ-განიზაციის, ქაოსის და მთავრობის უკადურესი უძლურების თვალ-საჩრისით. ნიშანდობლივია მასთან ჩამოსული გერმანიის კონსულის დაკვირვებანი. „დამახასიათებელი ფაქტია სისუსტისა, რომ მთავ-რობა ვერ ბედავს ქართული დროშის აღმართვას სამთავრობო შენო-ბაზე და იძულებულია, წითელი რევოლუციური დროშა გამოფინოს“. გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს „წითელ გვარდიას“, რომე-ლიც „ალბათ მანამ ემსახურება მთავრობას, სანამ კაცზე გადაუხდიან წარმოუდგენლად მაღალ ხელფასს – დღეში 25 მანეთს“. მისი აზ-რით, საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს თვით-ის უნარი, რომ ქვეყნისა და ხალხის მართვა შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში „... შეცდომა იქნება თუ გერმანია ძალიან ბევრს გააკე-თებს ქართველებისთვის და ამით თურქებს გადაიკიდებს“.<sup>82</sup>

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, გერმანიის მხარე, ქართული სინამდვილის საფუძვლიანად შესწავლის კვალობაზე, ნაკლებად ამ-ჩნევდა საქართველოს ხელისუფლების პრაქტიკულ საქმეებს, კრესი-სათვის მოსაწყენი შეიქნა მრავალსაათიანი დარბაზობები და დროის უქმად ფლანგვა. იგი ამაში საქმისადმი არასახელმწიფოებრივ დამო-კიდებულებას ხედავდა, მაგრამ გერმანიისათვის მთავარი განლენათ საქართველოს ფეხზე წამოღვომაში დახმარებოდა ისევ თავისი ინ-ტერესების განხორციელების გამო. ამ ინტერესების კიდევ ერთხელ საილუსტრაციო ვეზენდონქისა და ბერნსტორფის განსხვავებული შეხედულებებიც გამოდგება, მითუმეტეს, რომ ორივე დაპლომატიუ-რი უწყების წარმომადგენელი იყო.



24 ივნისის მემორანდუმში ვეზენდონკი საქართველოში გამოიწვია ნიის დამკვიდრების მიმზიდველ სურათს ხატავს და არა დანართული დროდადო ,„ჯარის კაცური აზროვნების“ სინდრომისაგან. მისი აზრით, თუ გერმანია აქ ფეხს მოიკიდებს, მაშინ ჩინეთთან სახმელეთო კავშირის იღეაც „ავანტიურისტული ფანტაზიების სფეროდან პრაქტიკული განხილვის საგანი გახდება“. იგი უკვე გულისხმობს, რომ, ამ შემთხვევაში, სპარსეთიც და ცენტრალური აზიაც, გერმანულ დერეფნებად გადაიქცევიან. მისი რეკომენდაციის არსი ისაა, რომ „გერმანია ჯერ მხოლოდ საქართველოთი უნდა დაინტერესდეს და მასთან პოლიტიკური ურთიერთობები ისე დაარეგულიროს, რომ ხელშეკრულებები ომის ხანგრძლივობის ვადით დაიდოს“. ვეზენდონკი, რომლის ამ ნააზრევსაც ვ. ბილი „მეოცნებეობას“ უწოდებს, ცდილობს, პრაქტიკული მოქმედებების სიბრტყეში გადავიდეს და თავის მთავრობას გრივრულად ურჩევს: „ჩვენ თუ არაფერს გავაკეთებთ და ქართველებს მხოლოდ სიტყვებით გამოვავებავთ, მაშინ არსებობს საფრთხე, რომ ისინი ინგლისს მიმართავენ და თავიანთი ნაციონალური ცხოვრების აღორძინებისათვის იქ დაიწყებენ საჭირო დახმარების ძებნას“.<sup>83</sup>

ბერნსტორფი 6 ივლისის მემორანდუმში საწინააღმდეგო შეხედულებას აყალიბებს, რომ შეცდომა იყო საქართველოსთან „პოლიტიკურ ურთიერთობებში შესვლა“. ეს გარემოება მას თოხთა კავშირის სისტემაში ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნდა. დაახლოებით ერთი თვის მერე იგი, პერტლინგისადმი მიმართვაში, „აღმოსავლური პოლიტიკის“ ორ კარდინალურ ამოცანას აყალიბებს – თოხთა კავშირის მთლიანობის და რუსეთთან „ტანჯვით მოპოვებული ზავის“ შენარჩუნებას. აქ ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ დროა სხვა – დრო, როცა ბერლინში ჩენენკელი საქართველოს აღიარებისთვის იბრძოდა. ბერნსტორფი ლოსოვსაც ეხება და ლამის მისი მიღწეული შედეგის ანულირებას ითხოვს: „თუ ზოგიერთები თავიანთ გულმოწვინებაში მორს წავიდნენ, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ არასაიმედო ქართველებისა და სრულიად პროანტანტური სომხების გულისთვის ნაცადი თურქი მოკავშირე დავკარგოთ“. „ორ სკამს შორის ჯდომის პოლიტიკის“ ნაცვლად, ბერნსტორფის მიაჩნდა, რომ მისი ქვენის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა რეგიონში უფრო აღვილი იქნებოდა რუსეთთან და თურქეთთან ერთად, „ვიდრე



მათ წინააღმდეგ. ის კარგად გრძნობდა, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს თველოს ინტერესები ზიანდებოდა და ფიქრობდა, რას მოუტანს საქართველოს ქართველოს დამოუკიდებლობა, თუ მის დაცვას და შენარჩუნებას ვერ შევძლებთ. მრავლისმეტყველია მისი სიტყვები: „ჩვენ ქართველებს შევპირდით, ვაღიაროთ მათი დამოუკიდებლობა, მაგრამ არ შევპირებივართ, იგი ბრძოლით მოვიპოვოთ მათთვის“.<sup>84</sup>

ბერნსტორფის პესიმისტური ანალიზის საპირისპიროდ, შემტევი ტონი (არა ვიწრო „ჯარისკაცური აზროვნება“) და სიტუაციის პერსპექტივაში ფხიზელი შეფასება ივრმნობა ლოსოვის პოზიციაში. „თუ ჩვენ შემდგომ ეკონომიკურ მიში არ გვინდა ჩამოვრჩეთ... ეკონომიკური ინტერესები იმავდროულად არსებულ პოლიტიკურთან ერთად უნდა დაციცვათ... თუ თურქები პოლიტიკურად გადამწყვეტი არიან, მაშინ ჩვენი ეკონომიკური ინტერესების საქმე დამთავრებულია. თურქებს დაეინებით უნდა განემარტოთ, რომ ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, ჩვენი... ინტერესები კავკასიაში მათ პრესტიჟს შევწიროთ“<sup>85</sup>.

„უსენამტის“ ახალი შეფი პ. ფონ ჰინცე\* უფრო კომპრომისული იყო OHL-ის შეხედულებების მიმართ. მისთვის ბოლშევიკები იმდენად იყვნენ მისაღები, რამდენადაც ისინი, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, „რუსეთის სამეურნეო ცხოვრების პარალიზების პოლიტიკას“ წარმატებით აგრძელებდნენ. ანტიბოლშევიკურ ძალებს ხელისუფლებაში მოსახვლელად დამატებითი საშუალებები და შემდეგ დაცვა სჭირდებოდათ. საქართველოში, სადაც ასეთი ძალები უკვე ხელისუფლებაში იყვნენ, ჰინცესა და ლუდენდორფის აზრით, აუცილებლობას წარმოადგენდა ანტიბოლშევიკური ბარიერის განმტკიცება. ამავე მიმართულებით ყალიბდებოდა კრესის შეხედულებაც. მას მიაჩნდა, რომ გერმანიას საქართველო პოლიტიკური თამაშების ობიექტიდ არ უნდა გამოეყენებინა. თურქების წინაშე დათმობა ამ საკითხში, მისი აზრით, გერმანიის აქამდელი კავკასიური პოლიტიკის გაკოტრებას ნიშანვდა.<sup>86</sup> კრესი, რუსეთისა და თურქეთის პრეტენზიებისაგან თავდაცვის მიზნით, თვლიდა, რომ საქართველო, საკმარი-

\*რადგან რ. ფონ კუულმანი 1917 წ. 19 ივლისის რაიხსტაგის „სამშეიდოს რეხოლუციის“ ნიადაგზე იდგა და ნაკლებ ანგარიშს უწევდა სამხედროებს, OHL-ის მოსხოვნით, კოლპელმ II-ზ და პერტლინგმა იგი გაათავისუფლეს და 9 ივლისს დანაშეს პანგერმანისტი პ. ფონ ჰინცე (Holborn H. Op. cit., S. 269-270, 279).



სად დიდი “ უნდა გაეხადათ და საზღვრების ლემარკაციისას საეჭვო შემთხვევები ” საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვიტებაში მომდევ თხით იგი 23 ივნისს ბერნსტორფს კონკრეტულ წინადაღების სთავაზობდა. მისი აზრით, საზღვრების დადგენის მთავარი მომენტები გახლდათ ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური და სტრატეგიულ-გეოგრაფიული ხასიათის პრინციპები. <sup>87</sup> თურქეთის პოზიცია ენვერ ფაშას 10 ივნისს ცრუ გადადგომის მუქარის შემდეგ საქართველოს საკითხში არსებითად არ შეცვლილა. ენვერმა დაიხია უკან და დათანხმდა უფროსი პარტნიორის მოთხოვნას ჯარების ბრესტის საზღვრებში დაბრუნებაზე, მაგრამ ახალციხესა და ახალქალაქეს მაინც არ ტოვებდა. მაშინ კიულმანი სიტუაციის განმუხტვას იმით შეეცადა, რომ ახალციხე-ახალქალაქის საბოლოო კუთვნილების საკითხი დიად დატოვა, დროებით ღონისძიებად კი ერთობლივი საპოლიციო კონტროლის მექანიზმის შემოღება ჩათვალა <sup>88</sup> და 25 ივნისს კოლექტიური შენაერთის ჩამოყალიბების გაგმაც წამოაყენა.

რამდენადც თურქეთი გერმანიას, მიუხედავად სიტყვიერი დაპირებებისა, დიდ სირთულეებს უქმნიდა საქართველოში, ივლისის ბოლოდან ჰინცეს პოლიტიკაში თანდათან იკვეთება ტენდენცია საქართველოს საკითხის დარეგულირებაში აქცენტის რუსეთზე გადატანისა თურქეთისათვის არასასურველი გარიგებების მეშვეობით. საქართველოს აღიარებაზე (რაც გენერალიტეტის სურვილი იყო თავიდანვე) თანხმობის სანაცვლოდ ჰინცე ფიქრობდა, მხარი არ დაეჭირათ სხვა ამიერკავკასიური სახელმწიფოების წარმოქმნისათვის და არ დაეშვათ თურქების მიერ ბაქოს ოკუპაცია.

გერმანიის დამოკიდებულება ბოლშევიზმისადმი, <sup>89</sup> რასაც არსებითი შეხება გააჩნია საქართველოსთან – ძალზე საინტერესო პრობლემაა და ცალკე შესწავლას იმსახურებს. ამჯერად საჭიროა აღინიშნოს, რომ ჰინცეს მიერ გზაგაპლეული 27 აგვისტოს დამატებითი ხელშეკრულება მოსკოვთან კომპრომისული იყო და გერმანიას საქართველოს სამართლებრივი აღიარების მშვიდობიან შესაძლებლობას აძლევდა.

ამ მიმართულებით იღვწოდა ბერლინში ჩხენკელის დიპლომატიური მისიაც, რომლის აქტიურობამ, 12 ივნისს ხელმოწერილი ეკონომიკური ხელშეკრულებების სახით, მატერიალიზებული ხასიათი შეიძინა. თუმცა, როგორც ვ. ციურერი აღნიშნავს, „საქართველო,

საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ახალგაზრდა სახელმწიფო უნივერსიტეტი სათვის დამახასიათებელი მრავალი საყმაწვილო სენიორი იყო დაკავშირდებული<sup>90</sup>. ეს მოსახრება სრულიად სამართლიანად შეიძლება გავრცელდეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ქვეყნის ეკონომიკა, თევად აგრეგატულ მდგრძალებელი იმყოფებოდა<sup>91</sup> და სტაგნაციის დაძლევის ნიშნები არ ჩანდა. საქართველოს, გერმანელ ექსპერტთა რწმენით, „შინაგანი არამყარი სიტუაციისა და ამით განპირობებული მთავრობის სუსტი პოზიციების მიუხედავად<sup>92</sup>, სხვა კავკასიურ რესპუბლიკებთან შედარებით, „ყველაზე სწრაფად შეეძლო მიეღწია სახელმწიფო უნივერსიტეტი კონსოლიდაციისათვის და შეექმნა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებული სისტემა“<sup>93</sup>. მართალია, ხელშეკრულებებს იურიდიული ძალა საქართველოს აღიარების შემდეგ უნდა შეეძინათ, მაგრამ ყველაზე არსებითი მაშინ გერმანული ინდუსტრიის ამ პოლიტიკური მიზნის სასარგებლოდ მიმჩრდა განლდათ. ეს გარემოება ჩხენქელის მიხიის უჟრეველად მნიშვნელოვანი წარმატებაა. ვ. ბილის მოსახრებით, ივლისის ხელშეკრულებები „ის საფასური იყო, რაც საქართველოს უნდა გადაეხადა სამხედრო და დიპლომატიური დაცვის სანაცვლოდ<sup>94</sup>. ეს შეხედულება რამდენადმე ცალმხრივად წარმოგვიდგენს საქართველოს ადგილსა და მნიშვნელობას მაშინ, როცა ორმხრივი დაინტერესება არსებობდა. ქართული მხარისათვის სამხედრო-დიპლომატიურ დაცვაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი განლდათ ეკონომიკურ ურთიერთობათა სფერო, სადაც, 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, „საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე არსებითი ზეგავლენა“ პერინდა გარანტირებული<sup>95</sup>. მთუმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა, ქართული მხარის მოთხოვნით, დაუკავშირდა ქვეყნის პოლიტიკური აღიარების საკითხების პოზიტიურად გადაწყვეტას. გასახიარებელია ვ. ციურერის აზრი, რომ გერმანიისათვის კავკასიაში პოლიტიკურად საქმე ეხებოდა არა კოლონიას ან პროტექტორატს, არამედ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებასა და მხარდაჭერას... რომ ბერლინელი დიპლომატები არ ესწრაფოდნენ საქართველოს პრც აშკარა და არც ფარულ დაპყრობას.“<sup>96</sup>

ლოგიკური გაგრძელება ფოთის პოლიტიკისა ბერლინის 12 ივლისის ხელშეკრულებებში გამოიხატა, სადაც ჩამოყალიბებული ეკო-





თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები (რუკა აღებულია ა. ოპანჯანიანის წიგნიდან).

ნომიკური თანამშრომლობის პროგრამა „გერმანიის ქართული პოლიტიკის მთავარი ნაწილი იყო“.<sup>95</sup> შემდგომ საფეხურს წარმოადგენდა ბერლინსა და თბილისს შორის ყოვლისმომცველი დიდი ხელშეკრულების გაფორმება, რომლის პროექტიც ბერლინში მომზადდა, მაგრამ 1918 წლის ოქტომბერში, შეცვლილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო, ძალაში არ შესულა. ბუნებრივია, ასე დაემართა სხვა ხელშეკრულებებსაც, მაგრამ ეს არ ამცირებს მათს მნიშვნელობას.

\*\*\*

მოახლოებული საყოველთაო კატასტროფის ფონზე საქართველოში კრესის მისიის მოღვაწეობის დღეები დათვლილი აღმოჩნდა. ამ ვითარებას კრესი უბედურებად მიიჩნევდა როგორც თავისი ქვეყნის, ასევე საქართველოსთვისაც.

1918 წლის 21 ოქტომბერს მან ევაკუაციის ბრძანება მიიღო, თუმცა პირადად მას, როგორც გერმანიის წარმომადგენელს, დაცვის



მიზნით გამოყოფილი 500 კაციანი რაზმის თანხლებით, თბილისში დარჩენის ნება მისცეს.<sup>96</sup> გერმანელთა წასვლის გაღმატყვანილებაში „ლრმა საგონებელში ჩააგდო“ საქართველოს მთავრობა და კრეს გერმანელი ჯარისკაცების „საქართველოს სამსახურში მიღების“ უფლება თხოვა, რადგან მხოლოდ ასე იგრძნობდნენ „ქრისტიანები მუსულმანთა წინაშე თავს უშიშრად“. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა... 31 ოქტომბერს პირველი შენაერთი — ბე-7 საკავალერიო ბრიგადის 7 500 ჯარისკაცი — სამშობლოში გასამგზავრებლად გემში მოთავსდა ფოთში. ბერლინიდან კვლავ მოვიდა მითითება, რომ კრეს მხოლოდ 500 კაცი დაეტოვებინა, რათა, საჭიროებისას, ამ რაზმით „უპრაინაში გაჭრილიყო სახმელეთო გზით გერმანულ ჯარებთან შესაერთებლად“.

ამ საეჭვო და რისკიანი რეიდის განხორციელება კრეს აღარ დასჭირდა. 1919 წლის დასაწყისში იგი სამშობლოში საქართველოდან გაემგზავრა და წარუშლდები სიმპათიები დატოვა ქართველ ხალხში.

## მენივანები

1. Пипия Г. В. Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М. 1978. მთებედავად ამ მონოგრაფიული გამოკვლევისა, გერმანიის კავკასიური პოლიტიკა, და განსაკუთრებით მისი „ქართული ასპექტი“, სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

2. Holborn H. Deutsche Geschichte in der Neuzeit. Bd. III. Das Zeitalter des Imperialismus 1871-1945. München etc. 1971 S. 260-261.

3. Zechlin E. Friedensbestrebungen und Revolutionierungsversuche. Deutsche Bemühungen zur Ansschaltung Russlands im Ersten Weltkrieg. In: „Aus Politik und Zeitgeschichte“. Beilage zur Wochenzeitung „Das Parlament“, B. 25/61. S.353-354. გერმანია აქტიურად თანამშრომლობდა ცარიზმის მოწინააღმდეგ პოლიტიკურ ძალებთან. გერმანიის ხელისუფლებამ თავისი კოპენაგენილი ერთის გრაფ უ. ფონ ბროკდორფ-რანცაუს რეკომენდაციით „გადაიყვანა“ კ. ლენინი რესეტში შევიცარიული ემიგრაციიდან და მნიშვნელოვანი სუბსიდიებიც გადაუხადა (Holborn H. Op. cit. S. 261. Nolte E. Der europäische Bürgerkrieg 1917-1945. Nationalsozialismus und Bolschewismus. Frankfurt am Main. 1987. S. 54; 551-552). კ. ბერნსტაინის ცნობით, ლენინმა 50 მდნ. გერმანული ოქროს მარკა მიიღო (Der „Spiegel“, 1993 Nr.13. S.159) და ხელისუფლებაში მოსვლისათვის გამოიყენდა 44



ნა. გერმანიას ბოლშევიკური გადატრიალუბის შემდგომი „დეკრეტით ზავის შესახებ“ თითქოს მოწესენა აღმოსავაკლეთის ფრინგტის პრობლემა, მაგრამ გერმანიას შემცირებული კონტინენტის მიერ „...ლენინის რუსეთში გადაყვანით“ აღეცული „განსაკუთრებული პასუხისმგებლობა“ არ გამართლდა, ვინაიდან მაშინ „არ ვეონათ“ თუ ბოლშევიზმი გერმანიასაც „მარს გამოუთხრიდა მოგვანებით“ (Ludendorff E. Meine Kriegserinnerungen 1914-1918. Berlin, 1919. S. 327; 407).

4. იხ. დაწვრ. პ. სიორიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ბათუმი. 1998. გვ. 41. ე. ცეხლინის ცონბით ლ. კერუხელიძეს გერმანიის მთავრობასთან შვეიცარიის „ყოფილმა უკერალურმა პრეზიდენტმა გაუწია რეკომენდაცია“, გ. მაჩაბელი კი საგარეო საქმეთა მინისტრ ფონ იაგოვან „ცნობილი ეკონომისტის ა. ვაგნერის შუამდგომლობით წარსდგა“, ხოლო ეს უკანასწერი მაჩაბელს თავისი მემორანულის, „იბილისელი მსნეილი მეწარმის მეშვეობით იცნობდა“ (Zeclin E. Op. cit., S. 354).

5. ამ საკითხზე არსებობს აეტრიელი მკვლვრის კ. ბილის პირველხარისხისთვის საარქივო მასალებით უაღრესად მდიდარი მონოგრაფია. Bihl W. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil I. Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917. Wien, Köln, Gratz. Böhlau 1975.

6. Zechlin E. Op. cit. S. 360-361.

7. ციტ. 6. კირთაძე, ეკრობა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წ.წ.), თბილისი, 1997, გვ. 54.

8. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тбилиси, 1990. Стр. 269, 272; 309-310.

9. Ohandjanian A. Armenien: Der verschwiegene Völkermord. Wien, Köln etc., 1989. S. 142, 144 ff.

10. Zürrer W. Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer. Düsseldorf, 1978. S. 127.

11. Пипия Г. В. Политика Германии в закавказье в 1918 году. Сборник документов. Тбилиси, 1971. Стр. 10, 75, 119, 146, 182.

12. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I. მოგონებანი და ნარკვევები. თბილისი, 1990. გვ. 53, 74, 88.

13. იხ. დაწვრ. ნ. კირთაძის დასახ. ნაშრიმი, ასკე მისა – პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხმა. თბილისი, 1996; ა. სილაგაძე, კ. გურული, საქართველოს სახელმწიფო მდგრადი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბ. 1998; კ. გურული, ანალი ქართველი სამხედრო დოტკონის ისტორიიდან (1917-1918), თბ. 1998. კ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართველი სოციალ-დემოკრატიის ისტორია, 1898-1918. თბ. 1999. ა. ბერდანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ. თბ. 2001 და სხვ. მრავალი სამცნოებრი ნარკვევი თუ სტატია, რომელთა ჩამოთვლა აქ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.



14. შ. ვადაჭერია. ეროვნული სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხი ქართულ პელიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წ.), თბ. 1998. გვ. 7. ავტორულებრივის რა სოციალ-დემოკრატების პოზიციის უკადურებს სისუსტეს ეროვნულ საკითხში, ტერმინების მანიპულირებით სოციალისტებისათვის ეროვნული ძაღლის იმჯობის შექმნას ცდილობს. მისი აზრით, მიუღებელია „მენშვერების“ ან „სოციალ-დემოკრატიული მთავრობის“ და სხვა ასეთი ზედწოდებების მისადაგება დემოკრატიული საქართველოს მთავრობისადმი და მთავრობა, იგი ეროვნულ მთავრობად უნდა იწოდებოდეს (იქვე, გვ. 11). შ. ვადაჭერია აკეთებს იმას, რასაც უარყოფს – რეალურის სანაცვლოდ შემთაქვს სხვა „ზედწოდება“. ცხადია, მთავრობა ეროვნული იყო, როგორც საქართველოს მთავრობა, რომელსაც ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფო უნივერსიტეტი ინტერესები უნდა დაეცვა შინ და გარეთ და არა იმ გაეგბით, რომ მთავრობის სტატუსის მოპოვებით სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი ეროვნულ-პოლიტიკური პრივატობის, როგორც „უმთავრესი მიზნის, – რეალიზაცია მთანდინებს და ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანეს.“

15. დ. პაიჭაძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების პილიტიკურ-დიპლომატიური წანამდღვრები. „ქართული დიპლომატია“, წელიწერი, 7. თბ. 2000, გვ. 50-51, 71.

16. ციტ. დ. შეკლიძის მიხ. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და საგარეო ორიენტაციის საკითხი, „ქართული დიპლომატია“, წელიწერი, 7. გვ. 27.

17. შ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.53.

18. უ. ბახტაძე. აკაკი ჩხერიალის უცნობი წერილები. „ცისკარი“, 1990, N7. გვ.93. იხ. ეს წერილები აგრეთვე ა. სილაგაძე. ვ. გურული, დასახ. ნაშრ. გვ. 122

19. ა.სილაგაძე. ვ. გურული. დასახ. ნაშრ. გვ. 109.

20. იქვე. გვ. 43-44; 113-114; ა. სილაგაძე. ვ. გურული, დასახ. ნაშრ. გვ. 108.

21. ა. სილაგაძე. ვ. გურული, დასახ. ნაშრ. გვ. 131.

22. Документы и материалы... Стр. 293-294, 297, 309-310; ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 75; 77-79, მ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 110; ა. ბენდანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 96-98, 99.

23.ა.სილაგაძე. ვ. გურული. დასახ. ნაშრ. გვ. 152.

24.Документы и материалы... Стр. 332.

25.Ohandjanian A. Op.cit. S.144.

26.Baumgart W. Deutsche Ostpolitik 1918. Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges. Wien, München, 1966. S.178.

27.Ritter G. Staatskunst und Kriegshandwerk, Bd. IV. Die Herrschaft des deutschen Militarismus und die Katastrophe von 1918. München, 1968. S. 356.

28. Bihl W. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil II. Die Zeit der versuchten Kaukasischen Staatlichkeit (1917-1918), Wien, Köln, Weimar, 1992. S. 49. ვ. ბილის კაპტიალური ნაშრობის ეს მეორე ნაწილიც კაპტიალული საარქივი მასალებით უხვად გადატვირთული მონოგრაფია, წყაროების ხიუხვე და მათგან ვრცელი პასაჟების მოტანა ამ ავტორის დამახასიათებელი.



ლი სტილი ჩანს, რაც, ზოგჯერ, მცირე ადგილს ტოვებს ანალიზისათვის.

30. Ritter G. Op. cit. §.354.

31. Bihl W. Op. cit. S.46.

<sup>32</sup>Ibid. S. 48-49. Ritter G. Op. cit. S.355.

33. Baumgart W. Op. cit. S. 179. Bihl W. Op cit. S. 50.

34. Ritter G. Op. cit. S. 356.

<sup>35</sup>Baumgart, W. Op. cit. S. 179. Bihl W. Op cit. S. 50-51.

36.Baumgart. W. Op. cit. S. 179. განსაკუთრებით სამხედროთ (განსაკუთრებით სამხედროთ) მოჭარბებულ ეკონომიკურ და „სასიცოცხლის სიკრისისულ“ ოცნებებს ქართველებმაც შეუწყვეტ ხელი. „ძალიან ხშირად აქ ანგარიება აღმოჩენა და ხოლმე იცნებას... ნედლეულის აა Wahrheit und Dichtung-ში, ეკონომიკური სიკრისის ბისაკენ აა მოწოდებაში ჩვენც შევიტანეთ ჩვენი წელიალი, განსაკუთრებით ნ. ი. ნიკოლაძე“ (ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 135).

37. Bihl W. Op cit. S. 58.

38. Ibid. S. 54. გ.რიტტერის აზრით, ეს იდეა ლოხოვს ა. შენგავალიძა შესთავაზვაზად და თვლის მას „ფანტასტიკურ განცხადებად“ (Ritter G. Op. cit. S. 356).

39. Bihl W. Op cit. S. 57-58. Ն. ռանջանանի շաբաթությունների վերաբերյալ կայդապատճենացնելու մասին, Բայրութ, Հայոց Հայութական Ազգային Կոմիտասի համար 1910 թ. ապրիլի 25 մասն է տարածել Կամաց հայութական գաղտնական և ազգային հայութական մասն է առաջարկվել ապահովագույթի համար թույլատ մերժական ազգային հայութական ազգային հայութական քայլման օմուլսության (Ohandjanian A. Op cit. S. 147.). ազգային համեմետների շաբաթությունների մասին, Բայրութ 1910 թ. ապահովագույթի հայութական մասն է առաջարկվել ապահովագույթի համար թույլատ մերժական ազգային հայութական քայլման օմուլսության (Ohandjanian A. Op cit. S. 147.). ազգային համեմետների շաբաթությունների մասին, Բայրութ 1910 թ. ապահովագույթի հայութական մասն է առաջարկվել ապահովագույթի համար թույլատ մերժական ազգային հայութական քայլման օմուլսության (Ohandjanian A. Op cit. S. 147.).

40. Документы и материалы... Стр. 309-310. Bihl W. Op cit. S. 59.

41. Bihl W. Op cit. S. 58-59.

42.о. № 227-237-244-250-251-252-253-254-255-256-257-258-259-260-261-262-263-264-265-266-267-268-269-270-271-272-273-274-275-276-277-278-279-280-281-282-283-284-285-286-287-288-289-290-291-292-293-294-295-296-297-298-299-300-301-302-303-304-305-306-307-308-309-310-311-312-313-314-315-316-317-318-319-320-321-322-323-324-325-326-327-328-329-330-331-332-333-334-335-336-337-338-339-340-341.

43. Deutschland und Armenien 1914-1918. Sammlung diplomatischer Aktenstücke. Hrsg. und eingeleitet von J. Lepsius, Potsdam, 1919 S. 390-391.



თან გადაკვეთის პუნქტამდე...“ (Bihl W. Op cit. S. 62-63). საქართველოს ხაწილად იყო აღარებული ხოზუმის ოკრუგიც (გაგრის ჩათვლით) ეს ფაქტი ქართველი ცალკე სახელმწიფოა კავკასიაში”, ხოლო თუ შეაქმნებოდა კავკასიის ხალხების ქონფედერაცია საქართველოს მონაწილეობით, მაშინ ხოზუმის ოკრუგის ძოსახლეობას „არჩევანის მიხედვით უნდა განესაზღვრა თავისი მდგომარეობა კავკასიის ქვეყნებს შორის“.

45. Ohandjanian A. Op. cit. S. 153.

46. Bihl W. Op cit. S. 59-60.

47. Ohandjanian A. Op. cit. S. 153.

48. Bihl W. Op cit. S. 63.

49. Ibidem.

50. Ritter G. Op. cit. s. 357. Baumgart W. Op. cit. S. 181. ვ. ბაუმგარტი გათცებულია, რომ ასეთი სიტყვები გაისმა 1918 წელს „დასავლეთის ფრონტზე ბრძოლების გადამწყვეტ დღეებში“ და „შემაშოთებლად“ მიაჩნია, რომ რაიონებანცლერი „დაპყვა“ სამხედროებს და არ დაიცვა თავისი პირვანდლი შეხედულება.

51. ერთიანობა ამ საკითხზე „აუსენამტის“ სისტემაში არ არსებობდა. ლონსოვის მოთხოვნას ელჩი ბერნსტინოვიც უშერდა მხარს, თუმცა არათანმიმდევრულად. ავსტრია – უნგრეთის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინებოლში ი. პემი-ანკოვსკი აღნიშნავდა: „ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ელჩი ბერნსტინოვი, ჩანს, საერთოდ, მორს იდგნენ კავკასიური აფერისაგან და ქართული ავანტიურის ხელმძღვანელობა მოლიანად სამხედროებს გადააბარეს“ (Baumgart. W. Op. cit. S. 182. Anm. 32).

52. Bihl W. Op cit. S. 57. კულმანს „ოცნებად“ მიაჩნდა ლუდენდორფის მცდელობა სამხედრო-აღმოსავლეთის კენ წარმართა თურქეთი ექსპანსია (Baumgart. W. Op. cit. S. 183 Anm. 37.). ფანტაზიის უნარი ლუდენდორფს ნამდვილად ქრისტიანი, როცა იგი საქართველოს შეერთებას გეგმავდა იმ ფედერაციასთან, რომლის ბირთვი „ფირმატუარიის“ სახელმწიფო გახდებოდა და ეს უკანასკნელი უკრაინასთან ისეთსავე ურთიერთობაში იქნებოდა, როგორც ბავარია და პრუსია ერთმანეთთან (Ritter G. Op. cit. S. 343).

53. Ohandjanian A. Op. cit. S. 133, 136, 143

54. Baumgart W. Op. cit. S. 181. ვ. რიტერის აზრით, ამას კულმანიც დაეთანხმა ბოლოს, თუმცა თავგამოდებით ცდილობდა, „არ ექცია კავკასია გერმანიასა და საბჭოთა მთავრობას შორის დავის საგნად“ (Ritter G. Op. cit. S. 357). კრესის დანიშვნისათვის კულმანს არც თანხმობა მიუჰია და არც წინააღმდეგობა გაუწევდა. მან, უბრალოდ, დაბლობმატისათვის ჩვეული ფრთხილი მანერით, მიახლოებით გაიზიარა ლუდენდორფის აზრი „კავკასიის რესპუბლიკის ფორმალურ აღიარებაზე“ (Bihl W. Op cit. S. 51-52). ბერლინში მყოფი ზ. ავალიშვილი დარწმუნდა, რომ ბარინ კრესის „გამორჩეული, თვალსაჩინო კაცის სანქლი აქვს“. მას განსაკუთრებით გამდეგილი, რომ „იგი ისევე, როგორც ლოხოვი, ბავარიელია“ (ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 102).

55. Ritter G. Op. cit. S. 360.

56. Документы и материалы... Стр. 291-292; 306-307 Baumgart W. Op. cit. S. 182-185.

57. Baumgart W. Op. cit. S. 182. Anm. 33.

58. Bihl W. Op. cit. S. 60-61.

59. Baumgart W. Op. cit. S. 180. Bihl W. Op. cit. S. 72-73.

60. Ibid. S. 185-186, Ritter G. Op. cit. S. 359. Bihl W. Op. cit. S. 73.

61. Bihl W. Op. cit. S. 76.

62. Ibid. S. 76, 89. მ. სიორიძის მონაცემებით, 26 მაისისათვის საქართველოს გერმანიის ჯარების რაოდენობა 1800 კაცი იყო. თუ ამ რაოდენობიდან გამოვალო, აკტორი სწორად ფიქრობს, რომ ეს არ „შესაბამება ოკუპირებულ ქვეყნებში ბატონობის შესანარჩუნებელ კონტინენტს“ (იხ. მიხ. დასახ. ნაშრ. გვ. 112), მაგრამ გადაჭარბებად გვეჩერება ამ არგუმენტით გერმანულია საქართველოსადმი უაგარის, კომილისმსურველი დამოკიდებულების და მის საშინაო საქმეებში ჩაურველობის გამართოლება. რეგიონის კრების საქმიანობიდან ჩანს, გერმანულები საკმაოდ დელიკატურად ერებონენ საშინაო საქმეებში, ძალაც არაერთხელ გამოიყენეს ბოლშევიკურ უწესებითობათა აღსაკვთად, მაგრამ ისეთი ჩარცეს საჭიროება, რასაც შულენბურგი სთავაზობდა ლოსიერება, არასოდეს ყოფილა. რაც შეხება გერმანიის კავკასიური არმიის საერთო რაოდენობას სხვადასხვა დამხმარე ნაწილებისა და მობილიზებული კოლონისტების ჩათვლით, გ. ფიფა 30 ათასამდე ციფრს ასახელებს (Пипия Г. В. Указ. соч. Стр. 16.).

63. Baumgart W. Das Kaspi-Unternehmen Grössenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? In: „Jahrbücher für Geschichte Osteuropas“, N. F. 18 (1970). S. 47-126; 231-278.

64. Bihl W. Op. cit. S. 74.

65. Baumgart W. Op. cit. S. 188-189. Ritter G. Op. cit. S. 359-360.

დღედენდორფმა ისარგებლა იმპერიატორის ამ მოსაზრებით და საკუთარი შეხედულებანი „ყოვლად უმაღლესი დირექტივის“ სახით კრებასა და ბერნსტინის გაუგზავნა სახელმძღვანელოდ, რომლის მთავარი საკითხი საქართველოს დამოკიდებლობის დაუყორებლავ აღიარებაში მდგრმარეობდა. ბერნსტინიუბა დაიძრინა თავი და განაცხადა, „აუსენამტის“ დირექტივებით ვმოქმედებო, ხოლო კრები ჯერ ისევ ბერლინში იყო.

66. თურქეთმა სამიეკ რესპუბლიკასთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებებს და კიდევ მიიტაცა ამიერკავკასიის ზოლი ახალციხიდან ჩანსკვანამდე – 12.421 კვადრატული კილომეტრი 655 ათასი მცხოვრებათ. საქართველო 1828 წ. საზღვრებში აღმოჩნდა, სომხეთის კი 9 ათასი კვ. კმ. ტერიტორია დარჩა (Bihl W. Op. cit. S. 239). საქართველო დაპკარგა სამაპალანო საქართველო – 10 ათასი კვ. კმ. 350 ათასი მოსახლეობით, მტკვრის სათავისა და ჭორობის აუზის ისტორიული ტერიტორიები (მ. სიორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 113).

67. ი. პომიანკოვების ცნობით, ენვერმა კერ გადალახა ეს რებიკონი და კერგადედა ვერც გადადგომა და ვერც ომის გამოცხადება გერმანიისათვის, რაზედაც კონსტანტინეპოლიში დიდი მითქმა-მოთქმა იყო (Baumgart W. Op. cit. S. 192).



Anm. 73). ლუდვინდორფის „უკან დახვა“ იმაში გამოიხატა, რომ თევზე პრესა დემის „წმინდა ხაძელობი ასპექტით“ შემოიფარგლებოდა, ხოლო მასშიც გამოიყენებოდა ხელმძღვანელობის დიპლომატებს უტოვებდა. ვ. ბაუმგარტი მისი „პოლოტიკური დელეტანტიზმის აშკარა აღიარებად“ მიიჩნევს (Baumgart W. Ibidem).

68. Deutschland und Armenien... S. 399-400. 10 ივნისს თურქეთის სამხედრო რწმუნებული ბერლინში პროტესტის გამოიყვამდა, რომ გერმანულმა ნაწილებმა სიმხების მხარეზე მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში, ერთი დღის შემდეგ ყარსში თურქებმა გერმანული რკინიგზის დაცვა ტკუნდ ჩაიგდეს (Baumgart W. Op. cit. S. 191-192). ბორბალოს მაზრაში თურქეთის შეტაკებისას 14 გერმანული ჯარისჭაცი და ორი თვეიცერი დაიღუპა (ლ. თოიძე). ქართული სახელმწიფოებრივის აღდგენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. „საისტორიო კურტიკალები“, იმილისი, 1991. N1. გვ. 27). ა. ოհანջანიანის ცნობით, „10 გერმანული დაიღუპა და მრავალი დაიჭრა“ (Ohandjanian A. Op. cit. S. 154.)

69. Baumgart W. Op. cit. S. 184, 190. Bihl W. Op. cit. S. 73. დამახასიათებელია თურქეთის კულმანისული შეფახება, რომ „თურქეთი არაა კოლონიზატორული და კულტურული სახელმწიფო“, რის გამოც „ხამი ხანჯაფის“ მისივის დაბრუნვებას ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა (Bihl W. Op. cit. S. 74.)

70. Zürrer W. Op. cit. S. 127.

71. Bihl W. Op. cit. S. 35. ზ. ავალიშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 92 Пипия Г. В. Указ. соч. Стр. 194, 198.

72. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 105-106, 108.

73. Zürrer W. Op. cit. S. 128.

74. Ibidem.

75. Der Interfraktionelle Ausschuss 1917/18. II. Teil. Düsseldorf, 1959. S. 409, 411. Verhandlungen des Reichstages XIII. Legislaturperiode. Stenographische Berichte. Bd. 313. Berlin, 1918. S. 5608-5609 ff. ამ დისკუსიის შესახებ იხ. ნ. მუშკუდიანი, საქართველოს საკითხი კერძანის რაინსტაგში 1918 წელს. ბათუმის სახ. უნივერსიტეტის საქ. ისტორიის კათედრა, „საისტორიო მაცნე“, ბათუმი, 1996, N5. გვ. 10-16.

76. Zürrer W. Op. cit. S. 129.

77. Bihl W. Op. cit. S. 79-80. სამხედრო ტკუნდის მობილიზების გადაწყვეტილება კრესის ჩამოსკლამდე მიიღეს და ასევე განსაზღვრული იყო 17-დან 45 წლის ახაგაძე გერმანელ კოლონისტთა რეგისტრაცია (Германские оккупанты в Грузии в 1918 году. Сборник документов и материалов, сост. и подготовил к печати М. М. габричидзе. Тбилиси, 1942. Стр. 74-75) მათი შემდგომი მობილიზაციის მიზნით. თბილისში კრესი დამატებითი ძალების საჭიროებაში დარწმუნდა და 30 ივნისს OHL-მა დააკმაყოფილა მისი თხოვნა, ფოთისაკენ წავიდა ორი ბატალიონი და სამი საველე ბატარეა (Baumgart W. Op. cit. S. 194. Anm. 80). 12 ივლისს ლოსოევმა საზღვაო სამოლობას შესთავაზა ქართული შხარისითის სატორპედო კატაპრიდა და რადიოსადგური გადაეცათ. ლუდვინდორფი ვარაუდობდა, რომ ბერლინის მფარვე-



ლობის ხანაცვლებდ ხაქართველო 15 ათასიანი ჯარის გამოყვანას შოაზერხებდა (Bihl W. Op. cit. S. 89), მაგრამ ქართველი არმიის შექმნა ჰიანური დღიდა გამო 30 ივლისს მან განაცხადა, რომ კრესს კვლავ გაეგზავნებოდა 5 ბატალიონი და 2 ბატარეა (Baumgart W. Op. cit. S. 196. Anm 83. Bihl W. Op. cit. S. 90-91, 94).

78. Германские оккупанты... Стр. 69.
79. Там же. Стр. 26, 72.
80. Там же. Стр. 62-63. Bihl W. Op. cit. S. 85-86.
81. Zürrer W. Op. cit. S. 142.
82. Пипия Г. В. Указ. соч. Стр. 62-63.
83. Baumgart W. Op. cit. S. 193. Anm 78. Bihl W. Op. cit. S. 83.
84. Baumgart W. Op. cit. S. 193. Anm 79. Ritter G. Op. cit. S. 360.
85. Bihl W. Op. cit. S. 89.
86. Ibid. S. 95-96. Baumgart W. Op. cit. S. 195. Anm. 83.
87. Bihl W. Op. cit. S. 88-89, 96-97.
88. Ibid. S. 83-84. იულმანის გეგმით, გაერთიანებული სამხედრო რაზმი 400 ქართველი, 200 გერმანელი და 200 ოურქი ჯარისკაცისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო, მანდებურგმა 23 ივნისს კვლავ საქართველოს დაუყოენებლივ აღიარება მოითხოვა სამქერია ხელმძღვანელობისაგან და „საკონტროლო ძალების“ ახეთი სტრუქტურა წამოაკინა: 400 ქართველი, 50 გერმანელი და 50 ოურქი ჯარისკაცი და საკოთხის მოვალეება, პრაქტიკულად, კრესს გადააბარა. საბოლოოდ ეს ღონისძიება არ განხორციელებულა, ხოლო ოურქებმა, მოვანებით, ახალციხისა და ახალჯღაძის მაზრების ჩრდილოეთი ნაწილი დაცალეს, აწური და აბახოუმანი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

89. იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეუთავებელობის მიუხდავად, საინტერესოა, რომ პრაგმატიულ მიწნებიდან გამოიძინარე, გერმანია და ბოლშევიკები თანამშრომლობდნენ კიდევ. კ. ბილის ცნობით, „ბოლშევიკების თხოვნათ“, გერმანიის 50 ათასიან არმიას მონაწილეობა უნდა მიეღო კოლის ნახევარკუნძულზე შერმანების რკინიგზის ინგლისელებისაგან განთავისუფლებაში. 19 აგვისტოს სწორედ ამ შენაგრობად მოითხოვა რ. ნადოლინის ბაქეს წინააღმდეგ აქციისათვის „რამდენიმე დივიზიის გადმოცემა“ (Bihl W. Op. cit. S. 105).

90. Zürrer W. Op. cit. S. 139.
91. Пипия Г. В. Указ. соч. Стр. 78. 135.
92. Bihl W. Op. cit. S. 92-93.
93. Zürrer W. Op. cit. S. 131. ივლისის ხელშექრულებებს თბილისში დიდი უნდობლობით შეხვდნენ. ნ. რამიშვილი ფიქრობდა, რომ „ჩენქელი არაა უფლებამოსილი საკუთარი მთავრობის წინაშეარი ერთხულოვანი მოწონების გარეშე მოაწეროს ხელი ხელშექრულებებს“ (Пипия Г. В. Указ. соч. Стр. 164).

94. Zürrer W. Op. cit. S. 141.

95. ეს ხელშექრულება გამოიქვეყნა დ. პაიჭაძემ. იხ. მისი გერმანია-საქართველოს არმენიდან დოკუმენტი, „ცისკარი“, 2000, N6. გვ. 132-136.

96. Zürrer W. Op. cit. S. 144-145.

ცოდარ მუშავდიანი  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## არტილერიის გადამდგარი გენერალი ბარონი ფრიდრიხ პრეს პონ პრესენაზინი

მიუნხენი 13, 1943 წლის 12 ოქტომბერი  
სახმელეთო ჯარების არქივის დირექციას  
მიუნხენი 22  
პოლუარტენშტრასსე

ჩემს, მხოლოდ ოჯახისთვის და არა გამოსაქვეყნებლად დაწერილ მო-  
გონებებზე მუშაობისას, მე ქაღალდზე გადავიტანე 1918 წელს კავკასიაში  
ჩემი მისიის აღწერაც. ეს ჩანაწერი დღიურებს ეყრდნობა და გულისხმობს,  
რომ მასში მოტანილი მონაცემები სწორია.

რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ არ არისებობს კავკასიის სახელმწიფო-  
ებთან გერმანის ურთიერთობების ამომწურავი და სავსებით საჭირო გამოკვ-  
ლევა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ამ გარემოებათა გათვალისწინე-  
ბით, ალბათ, მიზანშეწონილია ჩემი ნარკვევის თანდართული ასლი, როგორც  
წყარო, სახმელეთო ჯარების არქივის აქტებს დაურიოთ.

თუ ჩემი მეცნიერულ შრომაზე არავითარი პრეტენზიის მქონე ანგა-  
რიში სამხედრო არქივისათვის საინტერესო არაა, მაშინ მოკრძალებით გთხ-  
ოვთ მის უკანვე გამოგზავნას ზემოთმითითებულ მისამართზე.

ბარონი ფონ პრესი

General der Artillerie a. D.  
Friedrich Freiherr Kress von Kressenstein .

München 13 , 12. Oktober K  
1943

An

die Direktion des Heeresarchives

München 22  
Hofgartenstrasse .

Im Zuge meiner nur für die Familie und nicht für Veröffentlichung geschriebenen Lebenserinnerungen habe ich auch eine Darstellung meiner Mission im Kaukasus im Jahre 1918 zu Papier gebracht . Meine Niederschrift stützt sich auf Tagebuchaufzeichnungen und darf deshalb für sich in Anspruch nehmen, dass die in ihr enthaltenen Angaben zutreffend sind .

Meines Wissens existiert noch keine erschöpfende und völlig zutreffende Darstellung der Beziehungen Deutschlands zu den Kaukasusstaaten während des ersten Weltkrieges . Unter diesen Umständen ist es vielleicht zweckmässig , meine in Abschrift beiliegende Abhandlung als Quellenmaterial zu den Akten des Heeresarchives zu nehmen.

Sollte das Heeresarchiv kein Interesse an meinem, keinem Anspruch auf eine wissenschaftliche Arbeit erhebenden Bericht haben, so bitte ich um seine gefällige Rücksendung unter der obenstehenden Adresse .

F. Kress von Kressenstein

# ჩემი მისია ქავეასიაში

1918 წლის 4 მაისს ბავარიის სამხედრო ოწმუნებულის, გენერალ ფონ ჰარცის შემცვლელად, რომელსაც კორპუსის მეთაურობა უნდა მიეღო, მე OHL-ში<sup>1</sup> მიმავლინეს, 10 მაისს კი – მთავარბანაკის პოლიტიკური განყოფილების უფროსმა გენერალმა ბარტენვერფერმა ავესნეში მასთან გამოცხადება მიბრძანა. შეხვედრისას მან ზოგადად ამისნა კავკასიის მაშინდელი ვითარება და მითხრა, რომ OHL-ი და საგარეო საქმეთა სამინისტრო იქ გერმანიის წარმომადგენლის და ცოტაოდენი გერმანული ჯარის გაგზავნას აპირებდნენ. მისიის ამოცანა უნდა ყოფილიყო კავკასიაში წერიგის და უსაფრთხოების აღდგენა, თურქების შეკავება ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების<sup>2</sup> საწინააღმდეგოდ კავკასიის მხარის დაუფლებისაგან და ბოლოს – იქაური ნავთობის, მარკანეცის, სპილენძის და სხვა საბადოების ძლიდარი მარაგის ცენტრალურ სახელმწიფოთა<sup>3</sup> სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების უზრუნველყოფა. მანვე გადმომცა გენერალ ლუდენდორფის<sup>4</sup> შეკითხვა – მზად ვიყავი თუ არა მისიის ხელმძღვანელობისათვის.

მე მცირედი მოფიქრების დრო მოვითხოვე: ეს დანიშვნა თუმცა ჩემს წარმოდგენებსა და იმედებს საკუთარ სამხედრო კარიერაზე არ შეესაბამებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე დავალების მიღება. შემოთავაზებულ დავალებაზე უარის თქმა არამარტო ეწინააღმდეგებოდა ჩემს სამხედრო სულისკვეთებას, არამედ უაღრესად უკმაყოფილოც დავრჩი სამხედრო მოქმედებათა დასავლეთის ზონაში ჩემი, როგორც მეთვალყურისა და სამხედრო ოწმუნებულის შემცვლელად გამწესების გამო. ისიც ვიცოდი, რომ გენერალი ფონ ჰელინგრატი – ბავარიის მაშინდელი სამხედრო მინისტრი – მე სამხედრო ოწმუნებულად დანიშვნას მიპირებდა და სრულიად არ ახარებდა ჩემი ახალი პერსპექტივა. მშვიდობიანობისას ამ თანამდებობაზე სიამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ არა ომის დროს.



შეკითხვა – მსურდა თუ არა კავკასიაში მისიის ხელმძღვანელობის ჩემთვის ისე მაცდური ფორმით იყო დასმული, რომ უკვე ამიტომაც არ შემძლო მასზე უარის თქმა. მე მხოლოდ ჩემი კეთილი, მოხუცი დედის ბედი მაწუხებდა, ვიცოდი, მისთვის მძიმე ასატანი შეიქნებოდა, როცა მე გაურკვეველი დროით ასე შორს ვიქნებოდი მოცილებული მისგან და სამშობლოსაგან, მაგრამ, მეორე მხრივ, მჯეროდა, რომ მას ღვთისადმი ღრმა რწმენა და სამშობლოსადმი სიკვარული ამ მსხვერპლსაც უდრტვინველად გააღებინებდა. არც შეეცდარვარ.

იმავე დღესვე მოვახსენე გენერალ ბარტენევერფერს, რომ მზად ვიყავი დავალების შესასრულებლად და აგრეთვე რამდენიმე თხოვნაც მქონდა. საჭიროდ მიმაჩნდა, რომ რაიხსანცლერი გრაფი ჰერტლინგი<sup>5</sup> და სახელმწიფო მდივანი ფონ კიულმანი<sup>6</sup> ჩემს გაგზავნას დათანხმებოდნენ, თანაც – კავკასიაში ჩემი დანიშვნის პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში ვყოფილყოვი. გერმანული სამსახურების და უწყებების მსგავსი პარალელური და ურთიერთსაწინააღმდეგო მუშაობის თავიდან ასაცილებლად, რისი მაგალითიც კონსტანტინეპოლისა და უკრაინაში უკვე გვქონდა; აუცილებლად მივიჩნევდი აგრეთვე, რომ კავკასიაში წარმოგზავნილი ყველა გერმანული ორგანო ჩემს დაქვემდებარებაში ყოფილიყო და მხოლოდ ჩემი მეშვეობით შესძლებოდათ თავისი უწყებებისათვის ანგარიშის ჩაბარება. ბოლოს აღვნიშნე, რომ ჩემს დავალებას გაადვილებდა ისიც, თუ მე, რუსი გენერლების ახალგაზრდული ასაკის გამო, კავკასიაში ჩემი დანიშვნის ვადით, გენერალ-მაიორის ხარისხში ავმაღლდებოდი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა არა მარტო ჩემი დავალების დიპლომატიური ხასიათის გამო მიმაჩნდა საჭიროდ – გენერალი ფონ ბარტენევერფერი ფიქრობდა: „რატომ არ უნდა გამოიყენონ ჭკვიანი კაცი ერთხელ მაინც საგარეო სამსახურში?“ – არამედ იმიტომაც, რომ მიმაჩნდა: OHL-სა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის არსებული ძალიან ცუდი ურთიერთობანი უმთავრესად მხოლოდ მშემთხვევაში მაძლევდნენ ნაყოფიერი მოღვაწეობის იმედს, თუ სამინისტრო თავის წარმომადგენლად მიმიჩნევდა. როცა ერთხელ, შემთხვევით, ლუდენდორფს შევეკითხე, ხომ არ შეუწყობდა ხელს OHL-სა და საგა-



რეო საქმეთა სამინისტროს შორის არასახარბიელო უწყვეტებების გაუმჯობესებას აქტიური პირადი ურთიერთობებით კიუღმანთან – მან მიჰასუხა: „ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ და ერთმანეთის არ გვესმის. ბატონები საგარეო საქმეთა სამინისტროდან არ აზროვნებენ გერმანულად“.

ლუდენდორფი თანხმობა განაცხადა ჩემი საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანაზე, ოღონდ ერთი პირობით: სამხედრო საქმეებში ინსტრუქციები მე უშუალოდ OHL-გან უნდა მიმღლო. ჩემს პროტესტზე, რომ ორმაგ დაქვემდებარებას შეიძლება გართულებანი მოპყოლოდა, მან მომიგო: „თქვენ უნდა ენდოთ ჩემს ტაქტს, რომ მე თქვენ საგარეო საქმეთა სამინისტროს საწინააღმდეგო კონფლიქტებში არ გაგხვევთ“. მართლაც, ორმაგ დაქვემდებარებას არავითარი სიძნელე არ გამოუწვევია.

ლუდენდორფი ჩემს იმ თხოვნასაც დაეთანხმა, რომ მე კავკასიაში დანიშნული ყველა გერმანული ორგანო უნდა დამმორჩილებოდა. აქ წინასწარ მინდა ვთქვა, რომ მას ეს დაპირება არ შეუსრულებია. III B განყოფილების (მპიონაჟი და კონტრდაზვერვა) შეფის წარმომადგენელი ვინმე მაიორი ჰაი (Hey) ჩემი გვერდის ავლით აწვდიდა თავის უფროსებს ინფორმაციას და ასე გაგრძელდა მაშინაც, როცა მე, ლუდენდორფის დაპირებაზე დაყრდნობით, ამის საწინააღმდეგოდ პროტესტი განვაცხადე. ახლა არაა ჩემი განსჯის საგანი, თუ რამდენად აუცილებელი იყო ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ III B განყოფილებისადმი. ყოველ შემთხვევაში, მისგან ზოგიერთი არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა გავრცელდა, ვინაიდან, გამომდინარე მაიორ ჰაის პიროვნების ნაკლოვანი მხარეებიდან, იყი ბევრი რამის შესახებ არ იყო ან არასწორად იყო ინფორმირებული და შესაბამისად მცდარ და მხოლოდ არასწორ ინფორმაციას გადასცემდა.

12 მაისს, საღამოს თერთმეტის ნახევარზე, ლუდენდორფთან ხანგრძლივი საუბრისათვის მისვლა მიბრძანეს. იგი არაჩვეულებრივად თავაზიანი და გულლია იყო, კიდევ ერთხელ გადამიშალა თავისი მოსაზრება კავკასიაში ჩემი ამოცანების შესახებ და განვრცო ის მიმართულებით, რომ მე იმისათვის შეზრუნა, რათა კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებს რაც შეეძლება სწრაფად ჩა-



მოეცალიბებინათ ბრძოლისუნარიანი არმიები. არაა გამორიცხული რომ შევძლოთ ინგლისელების საფრანგეთიდან განდევნა, მაგრა ამით ისინი ჯერ კიდევ დამარცხებული არ არიან. არც ისაა გამორიცხული, რომ იძულებული გავხდეთ, ინგლისელებს ინდოეთში შევუტიოთ და აქედან გამომდინარე, თქვენი ამოცანაა, კავკასიაში ტრამპლინის მომზადება ინდოეთის წინააღმდეგ, ყოველშემთხვევისათვის, მოგვიანებით დაგეგმილი ოპერაციისათვისო. ტელეგრამაში, რომელიც 18 ივნისს მივიღე, ლუდენდორფი შემდეგ კვლავ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული არმიის სწრაფი ორგანიზაცია ჩემი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

13 მაისს მე საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ფონ კიულმანმა მიმიღო. იგი გამორჩეულად თავაზიანად შემხვდა. მაგრამ მე მაინც ის გრძნობა დამეუფლა, რომ გენერლის წარგზავნა დიპლომატიურ წარმომადგენლად მას არ მოსწონდა. მე მგონია, რომ მასა და ლუდენდორფს შორის უთანხმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ იგი, გასაგები მიზეზების გამო, თავის პოლიტიკაში მოწადინებული იყო მომავალი სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის მისაღები წინაპირობები შეექმნა, მაშინ, როცა ლუდენდორფი, ასევე გასაგები მიზეზების გამო, თავის პოლიტიკას ომის წარმოების მიმდინარე საჭიროებებს და მოთხოვნებს უკავშირებდა.

კიულმანი იცავდა პოზიციას, რომ ჩვენ ახლა ომში ისეთი არაფერი უნდა აგველო საქუთარ თავზე, რის შენარჩუნებასაც მოგვიანებით, მშვიდობის პირობებში მაინც ვერ შევძლებდით. ის ამის გამო შინაგანად უარყოფითად ეკიდებოდა OHL-ის მთელ აღმოსავლურ პოლიტიკას.

მას შემდეგ, რაც მე 14-ში სამხედრო მინისტრ ფონ ჰელინგრატის დავალებით შარლევილში ვიყავი, რათა გერმანიის კრონპრინცის<sup>7</sup> წინაშე აღმეძრა ბავარიის პირველი საარმიო კორპუსის მეთაურის, გენერალ ოსკარ ფონ ქსილანდერის დისკვალიფიკაციის საკითხი (ჩემი ეს მისია, სხვათაშორის, მარცით დამთავრდა), მე ბერლინში გავემგზავრე 15 მაისს, ჩავედი იქ დილის 8 საათზე 16-ში და დავბინავდი სასტუმრო „კაიზერპოფში“. მომდევნო 12 დღე აღსავს ეს იყო ჩემი სტუმრობებით უამრავ პიროვნებასთან თუ ინსტანციაში: უნტერ სტატს-მდივან ფონ ბუსშესთან, მინისტერი-



ალდირექტორ ფონ ლანგვერტთან, ელჩ როშენბერგთან, შავალუში-ლო მრჩეველ გოპერტთან, ლეგაციის მრჩეველ ტრაუტშინის უძა-გარეო საქმეთა სამინისტროში; სამხედრო მინისტრ ფონ შტაინ-თან, გენერალ ვანდელთან, მაიორ დიუსტერბერგთან და მაიორ ფონ რამსაისთან სამხედრო სამინისტროში; კაპიტან ფონ პულსენთან დიდი გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციიდან. მაშინ, როცა სამხედრო ინსტანციებში დიდ კეთილმოსურნეობას და გაგებას ვაწ-ყდებოდი, საგარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც გარეშე პი-როვნებას, ზრდილობიანი თავშეკავებულობით მხედებოდნენ. საგა-რეო საქმეთა სამინისტროში მოგვიანებით ჩემი მრავალი ვიზიტი-ისასაც ვერ შევძელი რაიმე დირექტივების ან პოზიტიური ინსტრუქ-ციების მიღება მომავალი მოღვაწეობისათვის. მაშინაც კი, როცა მე ჩემთვის საკუთარი სამსახურებრივი ინსტრუქცია შევიმუშავე და იგი დასამტკიცებლად სახელმწიფო მდივანს და მის რეფერენტებს წარვუდგინე, კვლავ თავაზიან ინტერესს წავაწყდი, მაგრამ ვერაუ-რით მივაღწიე, ეს ინსტრუქცია თვით სახელმწიფო მდივანს მოემ-ზადებინა. ცხადი იყო, არ სურდათ, პასუხისმგებლობა აეღოთ თა-ვზე და საბოლოოდ რაიმე გადაეწყვიტათ. კავკასიაში ჩემი შემდგომი მოღვაწეობის პროცესში არავითარი მითითებანი არ მიმიღია საგა-რეო საქმეთა სამინისტროდან ჩემს მიერ გასატარებელი პოლიტი-კის თაობაზე. განსაკუთრებით წამგებიანად გამოიყურებოდა ის, რომ გერმანულ მისიებს კონსტანტინეპოლისა და უკრაინაში არაფერი შეატყობინეს ჩენი დელეგაციის მიერ კავკასიაში გადასაჭრელი ამოცანების თაობაზე.

თათბირები სამხედრო სამინისტროში უმთავრესად ჩემი შტა-ბის შემადგენლობასა და კავკასიაში გასაგზავნ საჯარისო შენაერ-თებს შეეხებოდა. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ შტაბში მე ვსწავლობდი და ამონაწერებს ვაკეთებდი კავკასიის შე-სახებ არსებული საარქივო მასალებიდან, მაგრამ ჩემთვის ღირე-ბული იქ ბევრი არაფერი აღმოჩნდა.

დაწვრილებითი, თუმცა, ბუნებრივია, რამდენადმე ცალმხრივი ინფორმაცია ჩემი მომავალი სამოქმედო მხარის მდგომარეობაზე მე მომაწოდა ბერლინში მყოფი „ქართული კომიტეტის“<sup>8</sup> თავმჯდო-მარემ, ჩემთვის კონსტანტინეპოლიდან ნაცნობმა ახალგაზრდა თა-ვადმა მაჩაბელმა.<sup>9</sup> სხვათა შორის, შევიტყვე, რომ უკვე 1914 წელს



შემდგარა მოლაპარაკებანი ერთის მხრივ გერმანიის და თურქეთის მიერთვა  
ინსტანციებსა და მეორე მხრივ ქართველი ნაციონალისტების წა-  
რმომადგენლებს შორის, გერმანიის ელჩი კონსტანტინეპოლიში ბა-  
რონი ფონ ვანგენჰაიმი<sup>10</sup> შეპირდა ქართველებს, რომ სამშეიდობო  
მოლაპარაკებებზე გერმანია მხარს დაუჭერდა კავკასიის ხალხე-  
ბის დამოკიდებლობას და მათ განთავისუფლებას რუსეთის უღ-  
ლისაგან. დიდმა ვეზირმა თურქეთის მთავრობის სახელით იგივე  
დაპირება მისცა ქართველებს და ვარდა ამისა, მათ საქართველო-  
სათვის თავისი ნავსადგურისა და ზურვის გამო სასიცოცხლო მნი-  
შვნელობის მქონე ბათუმის ოლქის გადაცემაც აღუთქვა, მაგრამ  
ბრესტ-ლიტვისკის სამშეიდობო ხელშეკრულების დადგებისას ამ  
ცოტა ნაჩქარევი დაპირებების შესრულება ვერ შეძლეს თუ არ ისუ-  
რვეს: ბაქო დარჩათ რუსებს, ბათუმი მიიღეს თურქებმა. ცხადია,  
ამით გამოწვეულმა კავკასიელების მწარე იმედგაცრუებამ ზეგავ-  
ლენა მოახდინა მათ დამოკიდებულებაზე ცენტრალური სახელმწი-  
ფოების მიმართ. მე ხანგრძლივი მსჯელობა მქონდა მთიელთა არარ-  
სებული რესპუბლიკის ნაკლებიმპათიურ ეგრეთ წოდებულ პრე-  
ზიდენტ ვინმე ბატონ ჩერმოვეთან.<sup>11</sup> იგი კროზნოს მახლობლად მრა-  
ვალრიცხოვან ნავთობსაბადოებს ფლობდა და, როგორც ჩანდა, მი-  
სი მთავარი საზრუნავი ამ სიმდიდრის მომგებიანად გამოყენება იყო.  
იგი, რუსული გვარდიული კავალერიის ოფიცერი, არ ტოვებდა სე-  
რიოზული კაცის მთაბეჭდილებას.

საადმირალოს შტაბში ამაოდ ვცდილობდი, ჩემთვის გადმოე-  
ცათ მეზღვაურების და სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერთა-  
გან შემდგარი მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი, რათა კასპიის ზღვა-  
ზე გემთმიმოსვლის საქმე აგვეთვისებინა. თითქოს ეკიპაჟების ნაკ-  
ლებობა ხდიდა შეუძლებელს ასეთი ქვედანაყოფის გამოყოფას. შე-  
უძლებლად მიიჩნიეს, აგრეთვე, მცირე წყალქვეშა ნავის ტრანსპ-  
ორტირება შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში. 22 მაისს მე კვლავ ავ-  
ესნეში გავემგზავრე, რათა ლუდენდორფისთვის ანგარიში ჩამება-  
რებინა. მან ყველა ჩემი თხოვნა მოიწონა; ლუდენდორფი დაეთანხ-  
მა, აგრეთვე, კავკასიაში დელეგაციისათვის ჩემს მიერ შედგენილ  
ინსტრუქციას. 26-ში, კვლავ ბერლინში დაბრუნებული, ვეწვი ფი-  
ნანსთა მინისტრ გრაფ როდერის და რაიხსბანკის პრეზიდენტს პა-  
ზუენშტაინს იმისათვის, რომ მოვლაპარაკებოდი საქართველოს რე-



სპუბლიკისათვის გამოსაყოფი სესხის თაობაზე. როცა ფინანსთა მინისტრმა, თუმცა თანხმობა არ განუცხადებია, თანამდებობისადან ინტერესი გამოამჟღავნა საქმისადმი, რაიხსბანკის პრეზიდენტთან სრული უარყოფის ყრუ კადელს წავაწყდი. მან მირჩია, გერმანული ინდუსტრიისათვის მიმემართა დახმარებისათვის.

29 მაისს მე დავინიშნე გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის მეთაურად კავკასიაში და მივიღე რაიხსკანცლერ გრაფ ჰერტლინგის მიერ ხელმოწერილი ჩემი სარეკომენდაციო წერილი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობებისადმი. OHL-ის შუამდგომლობის საფუძველზე მისმა აღმატებულებამ ბავარიის მეფემ კავკასიაში ჩემი დანიშვნის ვადით მე გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მომანიჭა პატენტის<sup>12</sup> გარეშე, ბრიგადის მეთაურის თანამდებობრივი ანაზღაურებით. 29 მაისის საღამოს, ნიურნბერგის გავლით, მიუნხენში გავემგზავრე, სადაც, დედაჩემის ბინაში, ბარგის დიდი ნაწილი მელაგა. 2 და 3 ივნისს დედას ვეწვიე ელმიშვანგში, საღაც იგი თავის დისტულთან სოფია აუფზესთან სტუმრობდა და სამში საღამოს კვლავ უკან დავბრუნდი ბერლინში, რომ იქ ხალხსაც გამოვშვიდობებოდი და ბოლო მოლაპარაკებანი და საზრუნავიც მომელია. 5 ივნისს ისევ მიუნხენში გავემგზავრე და 7-ში საღამოს ბალკანეთის მატარებელში ჩავჯექი ბედნიერი იმით, რომ ბოლო კვირების დაძაბულობებისა და გაუთავებელი იირბილისაგან დავისვენებდი და თან ხეირიანადაც გამოვიძინებდი.

ბალკანეთის მატარებელში თანდათანობით ჩემი მისიის პირველი რაზმიც შეგროვდა.

პირველი ადიუტანტის რანგში ჩემი თანმხლები იყო როტმისტრი ბარონი ფონ ლერსნერი – სასიამოვნო შესახედაობისა და აღნაგობის, მაგრამ, სამწუხაროდ, საშუალო ნიჭის, მართლაც ზანტი გვარდიის დრაგუნი. იგი გაცნობის გარეშე მომახვია თავს მისმა ძმამ – ლეგაციის მრჩეველმა, რომელიც მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა OHL-სა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის. შემდეგში მან პირადი ადიუტანტის და პოფშარშლის ფუნქციები იკისრა და შტაბის ქვეგანყოფილებასაც მეთაურობდა. მისი უპირატესობა ის იყო, რომ ვაშინგტონში გერმანიის საელჩოში ორწლიანი მივლინების შედეგად კარგად დაუფლებოდა ინგლისურ ენას. მას-

თან ურთიერთობებში ზოგიერთი გართულებაც მქონდა და საბოლოოდ, როცა ინგლისელებმა ჩემი ინტერნიტება მოახდინეს, უნაკი მარცვინოდ მიმატოვა ბედის ანაბარა.

მეორე აღიუტანტი — მისი აღმატებულება ფონ კიოპელის მიერ გულთბილად რეკომენდირებული ბავარიელი, თადარიგის არტი-ლერიის კაპიტანი დანცერი გახლდათ — ძალზე სიმპათიური და გამოსადევი ოფიცერი, პროფესიონალი არქიტექტორი. იგი მრავალჯერ იყო საზღვარგარეთ ნამყოფი და კარგ მანერებსაც ფლობდა. მე მას სამხედრო საქმების ხელმძღვანელობა დავაკისრე, ვიდრე შტაბის უფროსად დანიშნული მაიორი გრაფი ვოლფსკელი გამოცხადდებოდა.

კავკასიაში და მეზობელ ქვეყნებში სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავების მიზნით და პროპაგანდის წელმძღვანელად მისიაზე მიმაგრებული იყო ლეგაციის მრჩეველი, პროფესიონი, დოქტორი ერის ცუგმაიერი — სოლიდური გარევნობის გულითადი ავსტრიელი და მრავლისმნახველი გეოგრაფი. იგი წარსულში ავღანეთში გერმანული ექსპედიციის წევრი, რუსების ტყვეობაში ნამყოფი და სამშობლოში ახლახან დაბრუნებული იყო. მას თანამშრომლებად გვერდით ედგნენ ობერლეიტენანტი გრიზინგერი და დოქტორი დირი.<sup>13</sup> ეს უკანასკნელი მიუნხენის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ასისტენტად მუშაობდა, მრავალი წელი გაეტარებინა კავკასიაში, იცოდა და ქართული ენა და მთიელ ხალხთა მრავალი დიალექტი.

ცუგმაიერის მსგავსი ბედი ხვდა წილად დელეგაციის ექიმს — დოქტორ ნიდერმაიერს, ჩემი მეგობრის — კაპიტან ფონ ნიდერმაიერის ძმას, ზორბა, რამდენადმე მოუხეშავმანერებიან ქვემო ბავარიელს, მაგრამ ბრწყინვალე ექიმს. მან გერმანელ ხალხს ძალზედ სასარგებლო პროპაგანდა გაუწია, როგორც თბილისში მის მიერ ორგანიზებული პოლიკლინიკის ხელმძღვანელმა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ არსებობს — განსაკუთრებით აღმოსავლეთში — პროპაგანდის უფრო ქმედითი სახე, ვიდრე საექიმო დახმარებაა.

ფლოტისა და საზღვაო-სატრანსპორტო საქმეებში რეფერენტად მე სიამოენებით წავიყვანდი ჩემს მეგობარ კაპიტან ბუსეს, მაგრამ იგი შეუცვლელი აღმოჩნდა. მის მაგივრად მახლდა რეზერვის კაპიტან-ლეიტენანტი ვაგნერი, წინათ აქტიური სამხედრო-საზღვაო



ოფიცერი. იგი ომის დაწყებამდე სავაჭრო ფლოტში დაცურავდა ავღანეთში ახლდა კაპიტან ფონ ნიდერმაიერს, ამჟამად კი ასალა დაბრუნებული იყო სპარსეთიდან.

დიპლომატიურ საკითხებში მრჩევლად საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლეგაციის მრჩეველი ფონ კარლორფი დამინიშნა — ნაკლებ სიმპათიური და რაღაც უცნაური აზრების მქონე პიროვნება. იგი ომის დაწყებისას თეირანში გერმანიის წარმომადგენლობაში მუშაობდა და განსაკუთრებული სახელი არ მოუნერებავს. ამიტომაც დიდად არ მინაღვლია, როცა გამომგზავრებისას ის ავად გახდა და ვერ წამოვიდა.

კონსტანტინოპოლში მის ნაცვლად დელეგაციას შემოუერთდა ახალგაზრდა ლეგაციის მდივანი დოქტორი ფონ ბოტინგერი. იგი კონსტანტინოპოლში მუშაობდა საელჩოში და გენერალ ფონ ლოსოვს<sup>14</sup> ახლდა თურქეთ-კავკასიის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ტრაპეზუნტსა და ბათუმში. მაშასადამე, რამდენადმე ინფორმირებული იყო კავკასიის საქმეების თაობაზე. ბოტინგერი თავაზიანი და ძალიან ჭკვიანი, მოქნილი, ოღონდ ნაკლებმრომისუნარიანი, ოდნავ რბილი ხასიათის თანამშრომელი იყო, მაგრამ მე მასთან შესანიშნავად გამოვძებნე საერთო ენა. იგი მხოლოდ ოთხ წელიწადს დარჩა დიპლომატიურ სამსახურში.

კონსულ გრაფ შულენბურგის<sup>15</sup> სახით, სხვათა შორის, მე ძალიან გამოცდილი და ადგილობრივ ურთიერთობებში კარგად გარკვეული დიპლომატიური მრჩეველი შევიძინე. გრაფი შულენბურგი ომამდე ოთხი წელი გერმანიის კონსული იყო თბილისში. ელეგანტური, თავაზიანი, ხალისიანი, საზოგადოებაში პოპულარული და გონიერამახვილი, გარკვეულ მიღრეკილებას ამჟღავნებდა ალკოჰოლისა და ქალთა სქესისადმი. ის არ იყო ფანატიკურად მომუშავე, მაგრამ რასაც გააკეთებდა, მუდამ ბრწყინვალე იყო. ომის დაწყებისას ეგრეთწოდებული „ქართული ლეგიონი“<sup>16</sup> ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მას ისე, რომ ამ პრეტენზიული მოხალისეებისაგან შედგენილი შენაერთით — უმეტესობა პოლიტიკური ლტოლვილები იყო — რაიმე ღირსსახსოვარი სამხედრო წარმატებისათვის არ მიუღწევია. 1917 წელს იგი დამასკოში ჩამოვიდა როგორც გერმანიის გენერალური კონსულის წარმომადგენელი და ჩვენი ნაციონალისტი იმ დროიდან მოდიოდა. მთლიანობაში ძალიან კარგად ვთანამშრომლობდით ერთმანეთთან.



ადმინისტრატორად მახლდა ჩემი ძველი ერთგული სამხედრო მეცნიერებების ფინანსურის ფინანსურის მინისტრი – საინტენდანტო მდივანი კულტურული მეცნიერებების მინისტრი. მე მას ბერლინში შევხვდი, სადაც შვებულებას ატარებდა და დაუინებით მთხოვა, თან წამეცვანა. მან კავკასიაშიც შესანიშნავა ად გამოიჩინა თავი, რის გამოც მისი დიდად მაღლიერი ვარ. როცა ინტერნირებული ვიყავი ინგლისელებისაგან და ლერსნერმა განსაცდელში მიმატოვა, მან თავისი ნებით ისურვა ჩემთან დარჩენა და კარგი მეცნიერებისაც გამიწია.

განსაკუთრებით გამიმართლა ორივე მსახურის შემთხვევაში, რომლებიც თან წავიყვანე. ხელშე მოსამსახურედ ლანდვერელი<sup>17</sup> დიუხელი მყავდა ბამბერგიდან, ყოჩაღი, საიმედო და ბეჯითი კაცი. იგი საფრანგეთში მე, უფრო ადრე კი ჩემს ძმას ემსახურებოდა ფრონტზე და თავი გამოიჩინა, როგორც საჭირო და ერთგულმა პიროვნებამ.

მსახურთუფროსის თავისებურ როლში ბიძაჩემთან – ველზერ-თან<sup>18</sup> დიდხანს კამერდინერად ნამუშევარი თეოდორ რანკი ავიყვანე. ამასობაში იგი ვიცეფელდუებელი გამხდარიყო და ნამდვილი აუწონავი განძი გამოდგა ჩემთვის. როცა მოგვიანებით საელჩოს რეზიდენციაში ვცხოვრობდი და ზშირად უამრავი სტუმარი მყავდა, საკმარისი იყო თეოდორისთვის მეთქვა, რომ ამა და ამ საათზე ამდენი და ამდენი სტუმარი გვეწვევა, სხვა დანარჩენზე, მენიუს ჩათვლით, თეოდორი ზრუნავდა და ყველაფერი მუდამ დიდებულად მიღიოდა. ეს ორივე ერთგული და უაღრესად ზრდილობიანი პიროვნება ბოლომდე ჩემთან დარჩა, ჩემთან ერთად ინტერნირებას დათანხმდნენ და მხოლოდ ჩემთან ერთად დაბრუნდნენ სამშობლოში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში მე ისინი მთლიანად დავკარგვა მხედველობიდან.

საკუთრივ დელეგაციას ორი სხვა განსაკუთრებული მისიაც შემოუწოდა. თავის წარმომადგენლად ეკონომიკურ საქმეებში პრუსიის სამხედრო სამინისტრომ მაიორი პაი (Hey) წარმოგზავნა, რომლის განკარგულებაშიც ორი სხვა პიროვნებაც იმყოფებოდა. პაი გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და პენსიაზე გასვლის შერე ეკონომიკურ სფეროში საქმიანობდა. მან რუსული იცოდა, არაჩევეულებრივად განათლებული და მრავალმხრივი მხატვრული ინტერესების მქონე, ზრდილი ადამიანი გახლდათ, მაგრამ არაპრაქ-



ტიკული და უყაირათოდ მომუშავე. ბევრად უფრო საქმარენი ხელი  
მისი ხელქვეითი დოქტორი კინდი – რაინული მძიმე მრუწველის  
ფირმის ადვოკატი. მხოლოდ მას და მის მოხერხებულობას უნდა  
ვუმაღლოდეთ ეკონომიკურ ხელშექრულებებზე<sup>19</sup> ხელმოწერას,  
რომელიც ერთნაირად სასარგებლონი იქნებოდნენ გერმანიისა და  
საქართველოსათვის, რომ მათი განხორციელება ომის სავალალო  
დასასრულით შეუძლებელი არ გამხდარიყო.

მაიორი ჰაი რომ იმავდროულად III B განყოფილების წარმო-  
მადგენელი იყო, უკვე აღვნიმნე.

კავკასიაში სარკინიგზო საქმის შესასწავლად სამხედრო-სავ-  
ელე რკინიგზათა უფროსმა საქმის კარგად მცოდნე კაპიტანი გე-  
მოლი გამოაგზავნა. მის განკარგულებაში იყვნენ მრჩეველი მშე-  
ნებლობის დარგში დოქტორი დორპმიულერი – გვიანდელი საიმპ-  
ერიო ტრანსპორტის მინისტრი და ნიჭიერი ინჟინერ-მექანიკოსი.  
დორპმიულერი მოხერხებული, ზრდილობიანი და კეთილგანწყო-  
ბილი პიროვნება გახლდათ, რომელიც ჩინეთში იქაური სარკინიგ-  
ზო ქსელის გაფართოებაზე მუშაობდა და ახალჩამოსული იყო სამ-  
შობლოში.

და ბოლოს, მატარებლით მგზავრობდა ჩვენს განკარგულებაში  
გადმოცემული რადიოსადგურის მომსახურე პერსონალის ნაწილი,  
დანარჩენები ბალკანეთის მატარებლის მომდევნო რეისით უნდა გა-  
მოვყოლოდნენ. ჩემდამი „კავკასიური სასწავლო ქვედანაყოფის“  
სახელწოდებით დაქვემდებარებული ჯარებიდან ბავარიის N 1 სა-  
რეზერვო ეგერთა ბატალიონი და N 10 მოიერიშე ბატალიონი 6  
ივნისს სევასტიონლში გემში უნდა ჩატვირთულიყვნენ და ფოთის-  
კენ გამოცურათ. სამხედრო შტაბი და სხვა ჩემს განყოფილებაში  
გადმოცემული ნაწილები – პოლკის შტაბი, მძიმე არტილერიის  
სასწავლო ქვედანაყოფი, საშუალო მოქმედების რადიუსის ნაღ-  
მსატყორცნების ასეული, საავიაციო ბატალიონი საპარკო მომსახ-  
ურების ოცეულითურთ და ავტომობილებით, სადაზვერვო ბატალი-  
ონი, ავტოკოლონა მართვის ოცეულით, საველე ლაზარეთი, სა-  
ლაშქრო პურის საცხობი კოლონის ოცეული, ამუნიციისა და მოწ-  
ყობილობების მართვის ქვედანაყოფი ოთხ კვირაში უნდა ჩამოსუ-  
ლიყვნენ.

გადაჭედილი მატარებელით მგზავრობამ ინციდენტების გარე-



შე ჩაიარა. კვება საკმაოდ კარგი იყო. 10 ივნისს, შუადღის 12-ის ნახევარზე, კარგად დასვენებულნი და გამოძინებულნი, სამი სამსახურისათვის დაგვიანებით ჩავედით კონსტანტინეპოლში, სადაც ძველი მე-გობრებისა და ნაცნობების მოზრდილი გუნდი დაგვხვდა სადგურზე.

ტრანსპორტირების შესაძლებლობათა ნაკლებობის გამო კონსტანტინეპოლში 10-დღიანი იძულებითი გაჩერებისას მე კვლავ აღფრთოვანებული დავრჩი ამ ქალაქის სილამაზით. ჩვენ გერმანულ სამხედრო სასტუმრო „ბრისტოლში“ გავჩერდით და არცთუ ცუდად მოვეწყვეთ. დღეები სტუმრობებით იყო აღსავსე, არ გვაკლდა წვეულებები და სიამოვნებანი. უცხოელთა კოლონიები თურქეთის დედაქალაქში კვლავ აგრძელებდნენ ისე ცხოვრებას, რომ თითქოს ომი არ ყოფილიყოს. ფასები, ცხადია, არანორმალურად მაღალი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა, მხოლოდ მოსახლეობის ძირითადი მასა იტანჯებოდა სიღუბჭირეში. ქალბატონი ფონ ზეექტი მშვენიერ სასტუმრო „ყონაღში“ ცხოვრობდა: პრუსიელი მაიორი, გერმანული სამხედრო ავტომობილი, გერმანელი უნტეროფიცერი მძღოლად მისი პირადი სამსახურის-თვის იყო გამოყოფილი.

„დოიჩე ბანკი“ ვერ ახერხებდა, დელეგაციისათვის აქამდე გადმორიცხული ფული რუსული ან გერმანული ვალუტით გადაეხადა და საჭირო გახდა, ტელეგრაფით მეთხოვა ბერლინში, რომ უახლოესი კურიერის ხელით გამოეგზავნათ ფული.

ადგილს ვერ ვპოულობდი მოუთმენლობისაგან. ჩვენი საელჩოს მეშვეობით მიღებული ცნობებიდან და კაპიტნების ფონ ნიდას და ეგან კრიგერის მრავალგზის დამახინჯებული ტელეგრამებიდან, რომლებიც გრაფ შულენბურგთან ერთად მაშინ გერმანიის ინტერესებს იცავდნენ კავკასიაში, მე მივხვდი თუ რა ქაოსი სუფევდა იქ და ეს ბატონებიც, გასაგები შიშეზების გამო, ვერ ფლობდნენ რთულ მდგომარეობას.

მხოლოდ 20 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე შესძლო „გენერალმა“ – დიდმა და ლამაზმა გემმა, რომელსაც ფოთში უნდა ჩავეყვანეთ, კონსტანტინეპოლის დატოვება. ჩვენთან ერთად მოემგზავრებოდნენ ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის დიპლომატიური მისიებიც.



ავსტრიის დელეგაციას მეთაურობდა ლეგაციის მრჩეველი ბჭ-  
რონი ფონ ფრანკენშტაინი, მიუნხენის სამეფო თეატრის ინტენდან-  
ტის ძმა, თავაზიანი, კარგი მანერების კაცი, ნამდვილი დიპლომა-  
ტი, ღრმად განათლებული და ნაკითხი, მრავალი შემოქმედებითი  
ინტერესით დაჯილდოვებული, დაყოლი, რამდენადმე გაუბედავი  
და პასუხისმგებლობის თავისთავზე აღტბის ნაკლებად მოსურნე.  
მე მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. ხანდახან ეჭვსაც  
გამოთქვამდა რაიმეზე, მაგრამ არასდროს ქმნიდა პრობლემას, წი-  
ნააღმდეგობის გარეშე ეგუებოდა ხელმძღვანელი როლის ჩემთვის  
დათმობას. მისი იდეა იყო, რომ ჩვენთვის, გერმანელებისათვის სა-  
ქართველოში პირველობა დაეთმო და ავსტრიის ინტერესების სიმ-  
ძიმის ცენტრი სომხეთში გადაეტანა. როგორ და რას გადასცემდა  
იგი შინ თავის მთავრობას, ჩემთვის უცნობია, მაგრამ უეჭველად  
უნდა ვიფიქროთ, რომ ის მისი რაპორტები არ იყო, რასაც საიმპე-  
რიო და სამეფო ფელდმარშალ-ლეიტენანტი, მრავალი წლის გან-  
მავლობაში ავსტრიის სამხედრო ორმუნებული კონსტანტინეპოლ-  
ში – პონიატოვსკი<sup>20</sup> ეყრდნობოდა კავკასიის საკითხის შეცდომე-  
ბით და უზუსტობებით გადმოცემისას, სხვა მხრივ. საყურადღებო  
1928 წელს გამომცემლობა „ამათეაში“ დაბეჭდილ თავის წიგნში  
„ოტომანთა იმპერიის დაცემა“.

ბულგარელებმა ძალიან სიმპათიური, ჰქვიანი და ზრდილი ოფი-  
ცერი, გენერალი სტანციევი გამოგზავნეს, რომელთანაც თანამშრომ-  
ლობა ნამდვილი სიამოვნება იყო. იგი რუსულად ლაპარაკობდა და  
ძალზედ სწრაფად დაამყარა ურთიერთობა კავკასიაში მცხოვრებ რუ-  
სეთის არმიის უამრავ ყოფილ ოფიცერთან, ამ გზით ჩვენ ზოგი  
ძვირფასი ცნობაც კი მოვიპოვეთ. ბულგარეთმა, სამწუხაროდ, მა-  
ლე დაკარგა კავკასიისადმი ინტერესი და გენერალი სტანციევი  
უკან გაიწვია.

პირადად მე ჩემი ძველი თურქი ნაცნობები დიდი გულისყუ-  
რით შემხვდნენ კონსტანტინეპოლში, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ  
თურქეთიდან 1918 წლის იანვარში ჩემი წასვლის მერე გერმანია-  
თურქეთის ურთიერთობა უკიდურესად გაუარესებულიყო, მოკავ-  
შირეთა შორის ძლიერ დაძაბულობას და უსიამოვნო განწყობილე-  
ბას მოეკიდებინა ფეხი, რადგანაც ჩვენ, გერმანელებს, და განსა-  
კუთრებით ჩვენს თამამ, თავზე ხელაღებულ ჩრდილოგერმანელ

ქმებს, სამწუხაროდ, არა გვაქვს უნარი, გავაღვიძოთ საზღვარგარენი რეთ სიმპათიები, განვიმსჭვალოთ უცხო ხალხების ყოფა-ცხოვრებით და მათს თავისებურებებს, თვითმყოფადობასა და განსაკუთრებულობას შესაბამისი პატივი მივაგოთ. თურქეთში, 1917/18 წლების მიჯნაზე, რელიგიურ-დინასტიური პანისლამიზმის საპირისპიროდ, რეალურ პოლიტიკურ სტადიაში შევიდა სისხლისმიერი და რასობრივი პრობლემა-თურანიზმი, რომელიც მანამდე მარტო აკადემიურ წრეებში მუშავდებოდა. ენვერ-ფაშა<sup>21</sup> იყო განსაკუთრებით ის კაცი, ვინც თურანული იდეების განხორციელებისათვის იბრძოდა. მას სურდა ერთი რასისა და სისხლის თურქული ტომების პოლიტიკურადაც გაერთიანება და მანამდელი ოსმალურ ეროვნებათა სახელმწიფოს ნაცვლად დიდთურქული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ოცნებობდა ყირიმში, ქვემო ვოლგაზე, კავკასიაში, რუსეთის და ირანის აზერბაიჯანში მცხოვრები თაორების და, უწინარეს ყოვლისა, კასპიის ზღვასა და არალის ტბას შორის მობინადრე თურქულ-თათრული ხალხების გაერთიანებაზე თურქეთის იმპერიაში. ამ იდეური მოტივების გარდა, უეჭველია, ენვერი თავისი თურანისტული იდეების პროპაგანდისას მეტად რეალურ-პოლიტიკური, პრაქტიკული მოსაზრებებითაც ხელმძღვანელობდა, დიდი ხანი იყო უკვე, რაც ყველა ომი, რომელშიც თურქეთი მონაწილეობდა, ტერიტორიული დანაკარგებით მთავრდებოდა მისთვის და 1917-18 წლების მიჯნაზე უკვე ძალზე საეჭო ჩანდა, მსოფლიო ომის დასასრულს შეინარჩუნებდა თუ არა თურქეთი თავის არაბულ პროვინციებს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ დანაკარგების გამოც სურდათ თურქებს რუსეთის მარცხის შემდეგ კავკასიაში კომპენსაციის მიღება.

ენვერმა თურქეთის საომარ ფრონტებზე უამრავი მარცხით და თავისი გერმანოფილობით მძიმედ შერყეული პირადი პოზიციები იმით განიმტკიცა, რომ, როგორც ყველგან, თურქეთშიც მომრავლებულ, ომში გამდიდრებულ სპეციალისტებს მდიდარ კავკასიაში მოსალოდნელი დიდი ნადავლის ხელში ჩაგდების პერსპექტივა დაუსახა.

გარდა ამისა, ენვერის მოსაზრებებში უეჭველად მნიშვნელოვანი იყო სურვილიც, თურქული მოდგმის ქვეყნებიდან შეესტის მიღებით სისხლისაგან დაცლილი არმიის პირადი შემადგენლობა გა-



ნეახლებინა. და ბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ წამყვანი თურქი პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებზე გავლენას ჰქონდნება საძულველი სომეხი ხალხის სრული და საბოლოო განადგურების სურვილიც, ყოველი შემთხვევისათვის, უაჭვალია, გავლენიანი თურქი მოღვაწეებისათვის უკვე 1918 წლის დასაწყისში გადაწყვეტილი საქმე იყო, რუსული მემკვიდრეობიდან თავდაპირველად კავკასია მიეტაცებინათ.

ამ განზრახვით, ავადსახსენებელ ვეპიბ-ფაშას სარდლობით, ენვერმა ყოფილ თურქეთ-რუსეთის საზღვარზე თავი მოუყარა შეუსაბამოდ დიდ ძალებს იმ საბაბით, რომ თითქოს ბალდადის ხელახლა ხელში ჩაგდება პეტრი ჩაფიქრებული. ეს ის ჩანაფიქრი იყო, რომელსაც თურქეთის მაშინდელი შესაძლებლობების სრული გაუთვალისწინებლობით სავსებით დაეთანხმა OHL-ი.

ლუდენდორფი თავიდან უინტერესოდ ეკიდებოდა თურქების თურანისტულ ექსპასიონისტურ სურვილებს და მათ ამ გზაზე ჯერჯერობით დაბრკოლებებსაც არ უქმნიდა. 15 მარტს მან ტელეგრაფით აცნობა გენერალ ფონ ზეექტს<sup>22</sup> კონსტანტინეპოლში: „თურქების ტერიტორიული შენაძენების სიმძიმის ცენტრი აღმოსავლეთში უნდა მოიძებნოს, იქ მოხერხებული თურქული დიპლომატიისათვის ტერიტორიების ხელში ჩაგდების შესაძლებლობასთან ერთად გავლენის ზონების შექმნის პერსპექტივაც არსებობს თვით ცენტრალურ აზიამდე“.

როცა ქართველებმა გერმანიას დახმარება სთხოვეს და როცა კაპიტანმა ფონ ნიდერმაიერმა ლუდენდორფის ინტერესი ინდოეთის წინააღმდეგ საეგებიო მომავალი ოპერაციისათვის კავკასიის მნიშვნელობაზე გადაიტანა, მაშინ OHL-ის დამოკიდებულებაში კავკასიის საკითხისადმი მოულოდნელი გარდატეხა მოხდა, მან ენრეგიული პროტესტი განაცხადა თურქების პრეტენზიებზე კავკასიის მიმართ. ამასთან იგი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც, ნავთობით მდიდარი ბაქო რუსებს უნდა გადასცემოდა.

გერმანიის მხარეს ეშინოდა, რომ რუსები ხელახლა ჩაებმებოდნენ ომში, თუ თურქები მათ სამხრეთ რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ნავთობის რაიონის მფლობელობის საკითხს სადაოდ გაუხდიდნენ. ახლა აუცილებელი არაა ვამტკიცოთ, იყო



თუ არა ეს შიში გამართლებული, ყოველ შემთხვევაში, ფაქტურული რომ ბოლშევიკებმა 21 მარტს აზერბაიჯანელებს სომხებთან ურთიერთობა თად წაპგლივეს ბაქო და თათრულ მოსახლეობაში საშინელი ხოცვა-ულებელად გამართეს.

გერმანიის OHL-ის დამოკიდებულებაში თურქების გეგმები-სადმი, ბუნებრივია, იგრძნობოდა იმ საშიშროების ზეგავლენა, რომ ისინი ვერ შესძლებდნენ ბაქოს ნავთობის საბადოების მიზანშეწონილად ექსპლოატაციას და არ ისურვებდნენ, მოკავშირებთან პატიოსნად გაეყოთ კავკასიის წიაღისეულის, ბამბის და ა. შ. მარაგი.

პინდენბურგი<sup>23</sup> და ლუდენდორფი თავიანთ ნოტებში, რომელთაც სერიოზულობა და სიმწვავე თანდათან ემატებოდათ, თურქებისაგან მოითხოვდნენ, ხელი აეღოთ ზრახვებზე კავკასიის მიმართ და თავიანთი ძალისხმევა მხოლოდ ბალდადისკენ წარემართათ. საბოლოოდ, მოკავშირეთა შორის ურთიერთობებში კრიზისული სიტუაცია შეიქმნა, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ყველაზე სერიოზული იყო. იმის წყალობით, რომ ჩვენ გარკვეულ დათმობებზე წავედით, შესაძლებელი გახდა ენვერის გადადგომის თავიდან აცილება და არცთუ ჩვენი ბრალის გარეშე წარმოქმნილი კონფლიქტის გარეგნულად მაინც მოწესრიგება. ბოლოს თურქებმა მაინც გაგვაცურეს, როცა ჩვენს ზურგს უკან საკუთარი სიტყვა გატეხეს და ბაქოს დაეუფლენ.



ბრესტ-ლიტვისკის სამშეიდობო ხელშეკრულების მე-4 პარაგრაფში აღნიშნული იყო: „რუსეთის ჯარებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები, რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობათა რეორგანიზაციაში, არამედ თვით ამ ოლქების მოსახლეობამ, მეზობელ სახელმწიფოებთან, სახელდობრ – თურქეთთან ერთად უნდა დაარეგულიროს ეს ურთიერთობანი“.

თურქეთი ამ დებულებას ისეთნაირად განმარტავდა, რომ თითქოს იგი უფლებამოსილია, მოახდინოს დასახელებული ოლქების ოკუპაცია, არც მეტი და არც ნაკლები, – 1877 წლის საზღვრებში. ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მგზნებარე პროტესტი



უგულებელყვეს. მაისის დასაწყისში თურქეთის წარმომადგენლები საგარეო საქმეთა მინისტრის პალილ-ბეის მეთაურობით გერკავების რესპუბლიკის წარმომადგენლები სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის შეიკრიბნენ. მოლაპარაკებებში მონაწილე მცირერიცხოვანი გერმანული დელეგაციის გავლენა, რომელსაც კონსტანტინეპოლში გერმანიის სამხედრო რწმუნებული გენერალი ფონ ლოსოვი ზელმძღვანელობდა, თურქების უსაზიზდრესი ინტრიგების წყალობით თითქმის მთლიანად ნეიტრალიზებული იქნა. ასე რომ, ლოსოვმა, ბოლოსდაბოლოს, პროტესტის ნიშნად და გერმანიის მთავრობის ნებართვის გარეშე, კონფერენცია მიატოვა.

თურქების ზღვარსგადასული მოთხოვნების გამო მოლაპარაკებები თავდაპირველად უშედეგო გამოდგა, მაგრამ მათ გამოამჟღავნეს, რომ ამიერკავებისის ფედერაციული რესპუბლიკა, არა მარტო ძლიერ რასობრივ წინააღმდეგობათა, არამედ, უპირატესად, მასში გაერთიანებული ხალხების განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ორიენტირების გამო, არასიც ცხლისუნარიანი იყო.

იმ დროს, როცა საქართველო გერმანიისაკენ ისწრაფოდა, მუსლიმანი აზერბაიჯანელები თურქებს უცეივდებოდნენ მკლავებში და სომხები კი თავიანთ ხსნას ანტანტისაგან ელოდნენ. ამიერკავების რესპუბლიკა ისევ დაიშალა 1918 წლის 20 მაისს: საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოაცხადეს.<sup>24</sup> ქართველების თხოვნა, რომ გერმანიას მათ ქვეყანაზე პროტექტორატი მიეღო, საბედნიეროდ, გერმანიის მთავრობამ უარყო, მაგრამ სამაგიეროდ, მათ გერმანიის დახმარებას და მხარდაჭერას დაპირდნენ.

კავკასიელი ხალხების დიდი ტრაგედიაა, რომ ერთმანეთის გატანა არ შეუძლიათ, თუმცა იმ მხარეში ცხოვრობენ, რომელიც ეკონომიკურად ერთიანია და შეიძლება დამოუკიდებლადაც ეარსება, ერთიანი ზელმძღვანელობის და შემართველობის ქვეშ რომ იყოს. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შესაძლოა, აგრეთვე, ურთიერთგადამტერებული ქვეყნები — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი არასოდეს იქნებიან სიცოცხლისუნარიანნი. ცალ-ცალკე ისინი ტერიტორიულად ძალზე პატარები და მცირერიცხოვანნი არიან, რათა ხანგრძლივად დაიცვან თავი ძლიერი და კავკასიის სიმდიდრეებს დახარბებული მეზობლებისაგან. სასარგებლო წიაღისეულით

სიმდიდრის მიუხედავად, არცერთი ამ ქვეყანათავან ავტარკიულობის გარეშე არაა. საქართველო ბაქოს ნავთობზეა დამოკიდებული, ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანს ესაჭიროება საქართველოს მიერ ჩაკეტილი გასასვლელი შავ ზღვაზე და სომხეთს კი საერთოდ არა აქვს თავისუფალი გასასვლელი არც შავ და არც კასპიის ზღვაზე. ამ ქვეყნებს შორის არ არსებობს ბუნებრივი საზღვრები; განსახლების რაიონები ხშირად ერთმანეთშია შეჭრილი. ასე, მაგალითად, 1918 წელს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის გამგეობა თითქმის მხოლოდ სომხებისაგან შედგებოდა; თბილისში სახლების უმრავლესობასაც სომხები ფლობდნენ. ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ ამ ორ ხალხს შორის უფსკრულივით ღრმა, მრავალსაუკუნოვანი, რასობრივი, რელიგიური და ეკონომიკური კონკურენციით განპირობებული სიძულვილია, რაც მათ შორის ყოველგვარ შეერთებას და თანამშრომლობას, ჩანს, შეუძლებელს ხდის. თვით ყველაზე გონიერი ქართველები ყოველგვარ გადაკრულ მინიშნებას თავიანთ მეზობლებთან საერთო ენის გამონახვასა და შეერთების საჭიროებაზე ენერგიული პროტესტით უარყოფნენ და დღესაც უარყოფენ.

საქართველოში შეჭრის მუქარის ულტიმატუმით თურქებმა აიძულეს ქართველები, რომ მათი საზაო პირობები მიეღოთ და 4 ივნისს თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო ბათუმის ეპრეტოდებული სამშვიდობო და მეგობრობის ხელშეკრულება. გერმანიას არასოდეს უღიარებია ეს ხელშეკრულება, რადგან იგი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დებულებებს ეწინააღმდეგებოდა.

ხელშეკრულების მიხედვით, თურქებს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები უნდა დაეცალათ. ეს თავისთვად უმნიშვნელო ტერიტორიები იმიტომაც იყო დიდმნიშვნელოვანი, საქართველოსათვის, რომ თურქებს, თუ დაეუფლებოდნენ იქაურ უღელტეხილებს, ასე ხანძოკლე დროში შეეძლოთ ერთადერთი ტრანსკავკასიური რეინიგზის ხელში ჩაგდებაც.

თურქებს ბათუმის ხელშეკრულება კავკასიის რკინიგზებით თავისუფალი სარგებლობის გარანტიას აძლევდა: აქედან ისინი რკინიგზების და ყველა საკვანძო პუნქტის, თბილისის ჩათვლით, სამხედრო წესით დაკავების უფლებასაც მოითხოვდნენ, რაც, ბუნებ-

რივია, თურქეთის მიერ ამიერკავკასიის სამხედრო ფარგლების  
ტოლფასი იქნებოდა.

და ბოლოს, ბათუმის ხელშეკრულებით საქართველომ თავისი არმიის დემობილიზების და ამ პროცესის თაობაზე თურქეთის მუდმივად საქმის კურსში ჩაყენების ვალდებულებაც იკისრა.

თურქებმა სომხებისაგან მათი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ორი მესამედი ნაწილის, თანაც ყველაზე ნაყოფიერის, გადაცემა მოითხოვეს. სომხებმა ეს უარყვეს, რის შემდეგაც თურქული საარმიო კორპუსი სომხეთში შეიჭრა, სომხეთის ჯარები გაანადგურა და დაიკავა ის ტერიტორიები, რასაც თურქეთის მთავრობა ესწრაულოდა.

შშენიერ და წყნარ ზღვაზე მგზავრობის მერე ჩვენი გემი დიდებულ ამინდში, 1918 წლის 23 ივნისის დილას ფოთის ნავსადგურს უახლოვდებოდა. უკვე შორიდან გვესალმებოდა 5629 მ-ის სიმაღლის იალბუზის მარადოთოვლიანი მწვერვალი.<sup>25</sup>

225 კმ-დე სიგანის და მრავალ პარალელურ ქედებად დანაწევრებული დიდი კავკასიონი დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან 1280 კმ-ის მანძილზეა გადაჭიმული აღმოსავლეთასა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იალბუზის შემდეგ ყველაზე დიდი მწვერვალი 5043 მეტრის სიმაღლის ყაზბეგია, მხოლოდ ორი სამგზავროდ გამოსადეგი სატრანზიტო გზა ჰკვეთს დიდ კავკასიონს: კარგი, თანამედროვე ორჯონიდან (ვლადიკავკაზი)<sup>26</sup> თბილისისაკენ მიმავალი საქართველოს სამხედრო გზა და ვიწრო, თანამედროვე მიმოსვლის მოთხოვნებისადმი სავსებით შეუსაბამო ოსეთის სამხედრო გზა, რომელც იოჯონს ქუთაისთან, საქართველოს ყოფილ დედაქალაქთან აკავშირებს.

რიონისა და მტკვრის ხეობების სამხრეთით, ამათგან, დიდი კავკასიონისაგან გამოყოფილი და ვიწრო სურამის ქედით — დასახელებულ მდინარეთა წყალგამყოფით მასთან დაკავშირებული, აღმართული უხვად დანაწევრებული მცირე კავკასიონი, უამრავი ჩაქრალი ვულკანითა და ცხელი წყაროებით. მისი უმაღლესი მწვერვალებია 5146 მ. სიმაღლის დიდი არარატი, რომელზედაც, გადმოცემის მიხედვით, ნოეს კიდობანი გაჩერდა და 4095 მ. სიმაღლის აღაგიოზი.

შავი ზღვის სანაპირო რივიერასათვის დამახასიათებელი პავ-



ით გამოირჩევა; ბათუმში, სხვათაშორის, ჩაიც წარობს, მდინარეზე მუნიციპალიტეტის ხეობები და დაბლობები ძალიან ნაყოფიერია, სადაც უმეტესწილად სიმინდი, ხილი და ვენახებია გაშენებული, ხეობები, — განსაკუთრებით, დასახლებულ პუნქტებთან ახლოს — საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ტყის მტაცებლური ექსპლოატაციის გამო დარიბია სამასალე მერქნით.

ბევრად უფრო მეტია ძვირფასი მერქნის მარაგი, სამწუხაროდ, მეტისმეტად მიუდგომელ მთებში, სხვადასხვა სახის მინერალებისა და ცხელი წყაროების საბადოები ძალიან ბევრია. მტკვრის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში ბამბის მოშენებას მისდევენ.

თავისი ფართობით, რომელიც 248 ათას 114 კვ. კმ-ს შეადგნენს, ამიერკავკასია დაახლოებით იტალიის სამეფოს სიდიდისაა (კუნძულების გარეშე). მისი მოსახლეობის რაოდენობა 1918 წელს 7 მილიონს (იტალიის 42 მილიონის საპირისპიროდ) აღწევდა, აქედან ქართველები, სავარაუდოდ, 3 მილიონს, სომხები 1,5 და თაორები 2,5 მილიონს შეადგენდნენ. გარდა ამისა, ამიერკავკასიაში ომის დაწყებისას ცხოვრობდნენ: 150 ათასი რუსი, 200-დან 300 ათასამდე ბერძნი, 200 ათასი სპარსელი და 50 ათასი გერმანელი. უფრო ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობდა; ანდა იქნებ ჩვენ არ მიგვიწვდებოდა ხელი. გზათა ქსელი ამიერკავკასიაში ძალიან ცუდად იყო განვითარებული. რუსები უმთავრესად ეყრდნობოდნენ კარგად გამართულ ორლიანდაგიან და გამტარუნარიან ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზას. სამტრედიიდან ამ მაგისტრალის ერთი განშტოება ფოთისკენ მიემართება; ქუთაისის გავლით სარკინიგზო კავშირი არსებობს ჭიათურის მარგანეცის საბადოებთან;<sup>27</sup> თბილისიდან მიემართება ერთლიანადაგიანი, სამხედრო თვალსაზრისით ნაკლებ გამტარუნარიანი სარკინიგზო ხაზი აღექსანდროპოლის გავლით ყარსისა და ერევნისაკენ, ჯულიასა და თავრიზისაკენ.

1900-დან 1906 წლამდე აშენდა 854 კმ. სიგრძის და დაახლოებით 30 სმ-იანი დიამეტრის ბაქო-ბათუმის მილსადენი. 17 გადასატუმბი სადგური აწარმოებს ბაქოში მოპოვებული ნავთობპროდუქტების გადაქაჩვას ბათუმში. ბაქო და ბათუმი საპაერო ხაზით ისეა ერთმანეთს დაშორებული, როგორც ვენა და ჰამბურგი.



გრაფი ფონ შულენბურგი თბილისში  
 (პანს ფონ პერვარტის წიგნიდან  
*Zwischen Hitler und Stalin. Erlebte  
 Zeitgeschichte.* Frankfurt a/M,  
 1985). მის მკერდზე ჩანს თამარ მეფის  
 ორდენი, რომლითაც იგი დააჯილდოვა  
 საქართველოს დამოუკიდებლობის  
 გამოცხადებაში განხაკუთრებული  
 დამსახურებისათვის. სურათი უხარისხოა,  
 მაგრამ მაინც ვძეჭდავთ.

ზობლებთან: სპარსელებთან, სომხებთან, თურქებთან და მრავალი  
 ტანჯვა ხვდათ წილად კავკასიის ყელზე გავლით ევროპასა და აზიას  
 შორის მომთაბარე ხალხებისაგან. მათ ასუსტებდათ შინაგანი გა-  
 ნხეოთქილებანი და ბრძოლა სამემკვიდრეო უფლებებისათვის. 300

ქართველებს უსჭრებული მხედვები და მღვამო-  
 სილი ისტორიული წარ-  
 სული გააჩნიათ, რის გა-  
 მოც ისინი არაჩვეულებ-  
 რივ სიამაყეს განიცდიან.  
 ქართველები კავკასიურ  
 რასას მიეკუთვნებიან და  
 მრავალმხრივ გამორჩე-  
 ულნი არიან დიდი ფიზი-  
 კური სილამაზით. მათი  
 ქალები ძალზე სასურვ-  
 ელნი იყვნენ მუსლიმანურ  
 ჰარამხანებში. მე თუმცა  
 ჩემი ნახევარწლიანი  
 ყოფნისას კავკასიაში ძა-  
 ლიან ცოტა ლამაზი ქალი  
 ვნახე, მაგრამ, სამაგიე-  
 როდ, ბევრია კარგი შეხ-  
 ედულების მამაკაცი, რო-  
 მელთა უპირატეს გარეგ-  
 ნობას კიდევ უფრო წარ-  
 მოაჩენს არაჩვეულებრი-  
 ვად მოხდენილი, კოხტა,  
 ნაციონალური ტანსაცმე-  
 ლი. ქართველების ისტო-  
 რია ალექსანდრე დიდის  
 დრომდე აღწევს,<sup>28</sup> საუ-  
 ნენეთა განმავლობაში  
 მათ ბევრი მძიმე ბრძოლა  
 გადაიტანეს თავიანთ მე-  
 ზობლებთან: სპარსელებთან, სომხებთან, თურქებთან და მრავალი

წლის ახლოს საქართველოში სომები მისიონერი ქალის ნინოს მეშვეობით გავრცელდა ქრისტიანობა.

ქართველების უმეტესობა ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნის, მათი საეკლესიო მამამთავარია კათოლიკოსი თბილისში. ქართველების ნაწილი ისლამს აღიარებს. საქართველოს სამეფოს თავისი უმაღლესი გაფურჩქვნის ხანა, როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით, მე-11 და მე-12 საუკუნეებში ჰქონდა. თამარ დედოფალს (1180-1198)<sup>30</sup> დღესაც ეთაყვანებიან, როგორც ეროვნულ გმირს. მის დროს განსაკუთრებულად აყვავდა პორჩია. მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველო, რუსებისაგან, „გრუზიად“ წოდებული, ისე სერიოზულ მუქარას განიცდიდა სპარსელებისაგან, რომ მეფე გიორგი XI-მ რუსეთის ცარს 1799 წელს თავისი ქვეყნის მფარველობა (პროტექტორატი) შესთავაზა.<sup>31</sup> მე-19 საუკუნის პირველ წლებში რუსული პროტექტორატი ანექსიად გადაიქცა. საქართველოშ და სხვა კავკასიურმა ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი დამოუკიდებლობა და ისინი მიუერთეს რუსეთის კავკასიის სამეფოსნაცვლოს (შტატპალტერი). 1859 წლამდე გრძელდებოდა წინააღმდეგობა, ვიდრე რუსები მოახერხებდნენ იმამ შამილის დამარცხებით კავკასიელთა უკანასკნელი წინააღმდეგობის გატეხვას.

მრავალრიცხვან ქართველ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ყველა დიდგვაროვანი საქართველოში თავის თავს თავადს უწოდებს და რამდენადმე კარჩაკეტილად ცხოვრობენ – რაინდულ და თვალტანად, სიმღერისა და ქეიფის მოყვარულ ოფიცრებს რუსეთის სამეფო კარზე და რუსულ არმიაში ხელგაშლილად ხვდებოდნენ, მაგრამ კავკასიაში განლაგებულ შენაერთებში სამსახურის უფლებას არ აძლევდნენ. ყველა ჩინოვნიკი, მასწავლებელი და ა. შ. კავკასიაში წმინდა სისხლის რუსები იყვნენ; კავკასიელებს მხოლოდ საკუთარი სამშობლოს ფარგლებს გარეთ იყენებდნენ სახელმწიფო სამსახურში. ოფიციალური და მაღლ საერთო სალაპარაკო ენაც რუსული გახდა. ვაჭრობას და მრეწველობას, ასევე კავკასიის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაციას რუსები არა მარტო არ ახალისებდნენ, არამედ, რუსული ნაციონალური ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ძირს უთხრიდნენ კიდეც.



მოსახლეობა იტანჯებოდა რუსული ადმინისტრაციის კორუფციის უღელტევეშ. საქართველოს მსგავსი ამბები ხდებოდა უფლებულებისას სხვა ქვეყნებშიც; თანდათანობით დაგროვდა ისეთი ძლიერი ზოზ-ლი და დიდი სიძულვილი რუსების მიმართ და ისეთი ნატურა რუსული უღლისაგან განთავისუფლებისა, რომ რუსეთის იმპერიის კრახისთანავე, კავკასიელები ჩამოშორდნენ რუსებს და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ჩვენ წილად გვერგო, რევოლუციის საშინელი შედეგები საკუთარი თვალით გვენახა და განგვეცადა, ენახეთ, თუ თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ პოლიტიკურად მოუმწიფებელი ხალხი როგორი თავდადებით იბრძოდა რევოლუციით გამოწვეული ქაოსიდან თავდახსნისა და მდგომარეობის რამდენადმე მოწესრიგებისათვის.

ეს ბრძოლა უფრო მაღალ და უფრო მტკიცე წარმატებით დაასრულებდა საქმეს, რომ კავკასიელები, როგორც ყველა ახლო და შეუაღმოსავლეთის მცხოვრები ხალხები, ძალზედ მცირე შრომისუნარიანობით და მუშაობის ხალისით არ გამოიჩინდნენ და უფრო ნაკლებ პასიური ნატურები არ იყვნენ. ბევრჯერ მქონია საბაბი ქართველი ხელმძღვანელი პირების გაფრთხილებისთვის, რომ ისინი უფრო აქტიური ყოფილიყვნენ და მარტო გარეშე დახმარების იმედად არ დარჩინილიყვნენ. ამგვარ მოწოდებებს, სამწუხაროდ, წარმატება არ ეწერა.

### ◆◆◆

24 ივნისის ადრიან დილით, კოკისპირული წვიმისას დავტოვეთ პატარა სანავსადგურო ქალაქი ფოთი და საღამოს 7-ის ნახევრისათვის თბილისში ჩავედით. ყველა დიდ სარკინიგზო სადგურზე ჩვენ რკინიგზის დაცვის მცირერიცხოვანი გერმანული ყარაული გვესალმებოდა, ისინი ეკუთხნდნენ სარკინიგზო დაცვის ბატალიონს, რომელიც რუსული ტყვეობიდან თავდახსნილი გერმანელი და ავსტრიელი ჯარისკაცებისაგან შულენბურგმა და ეგან კრიგერმა შექმნეს. სადგურებზე ქართული დროშის გვერდით გერმანული საიმპერიო სამხედრო დროშაც ფრიალებდა.

თბილისში ჩემი თანამდებობის ოფიციალურად დაკავება მეტისმეტად უღიმდამო გამოდგა. მართალია, კონსულმა გრაფმა შულენბურგმა და კაპიტანმა ეგან კრიგერმა მიგვიღეს, მაგრამ საქარ-

თველოს მთავრობამ საჭიროდ არ ჩათვალა თბილისში ჩასვლისას სადგურზე დაგვხვედროდა და მოვსალმებოდა. შესაძლებელია, შეულენბურგს მხედველობიდან გამორჩია, რომ მთავრობისათვის ჩვენი ჩასვლის დროის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა. ბინაბის მომზადების მხრივაც არ გამოვიდა საქმე კარგად. ჩემთვის ერთ მდიდარ სომეხთან ეშვენათ ბინა. იმ დამოკიდებულების გათვალისწინებით, რაც ქართველებს სომხებთან ჰქონდათ, ჩემი მდგომარეობა საქართველოში წინასწარ მძიმედ იქნებოდა შერყეული, თუკი სომხურ სახლში ღამის გასათვეს ვიქირავებდი: მე უარი ვთქვი ამაზე და „პალას-პოტელში“ დავბინავდი — თანამედროვე შენობაში, რომელშიც წყალსადენი არ მუშაობდა და ამიტომ ჯოვანხეთური სიმყრალე იდგა. მე ისეთი მთაბეჭდილება შემექმნა — მოგვიანებით კიდეც დამიდასტურეს მისი სისწორე — რომ შულენბურგი და ეგან კრიგერი სრულებითაც არ იყვნენ აღფრთოვანებულნი ჩემი ჩამოსვლისა და საკუთარი სრული დამოუკიდებლობის დასასრულის გამო. უნდა ითქვას, რომ ისინი ამ ფაქტს მაღლ შეურიგდნენ და არც ჩემთვის შეუქმნიათ რაიმე გართულება.

25-ში, ნასადილევს, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში პრემიერ-მინისტრის ჩვენი რწმუნების სიგელები გადავეცით და მეორე დღესვე დაწვრილებითი საუბარი შედგა ქართველ მინისტრებთან, რომლის დროსაც მათ გულახდილად და მთლიანობაში ასევე პატიოსნად გვიპასუხეს უამრავ კითხვაზე. ამ საუბრების და სხვა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს იმუნიტეტი საერთო ვითარების თაობაზე შევძელით ჩამოგვეყალიბებინა წარმოდგენა, რომელიც ნაკლებად საინხარულო იყო.

საქართველოს მთავრობის სათავეში ბ-ნი ნოე უორდანია<sup>32</sup> იდგა. იგი ეროვნული კრების მიერ იყო არჩეული და თვითონვე შეარჩია თავისი მინისტრი — კოლეგები. ამათგან უმნიშვნელოვანესნი იყვნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, პროფესიით ადვოკატი, საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრ უურულის გამოკლებით, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა და თავის ამოცანებს სათანადო ვერ ასრულებდა. ყველა მინისტრი ზომიერ სოციალ-დემოკრატებს — მენშევიკებს წარმოადგენდნენ —



პროფესიით, უმეტესწილად, ლიტერატორები და უურნაჯისტები, თავიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ციმბირში, ანდა რესულ საპყრობილებში პქონდათ გატარებული. ისინი შესანიშნავად განათლებული, კარგად აღზრდილი და საკმაოდ კარგი საურთიერთო ადამიანები და, ეჭვსგარეშეა, კეთილი ნებით ფრთაშესხმული ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ.

ნაკლებსიმპათიური და ასევე ნაკლებსაიმედო კაცი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი და ერთი ვინმე საზოგადოებრივი ტიპი კი – რკინიგზების მინისტრი. ყველა მათგანს აკლდა სახელმწიფო საქმების გაძლოლის უნარ-ჩვევები და კვალიფიციურ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერა. გამოცდილი რუსი მოხელეები დაუყოვნებლივ განდევნეს და ისინი მოუმზადებული მმართველებით შეცვალეს, რომლებიც, მცირე გამონაკლისის გარდა, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. როგორც ყოველი ჩევოლუციისას ხდება ზოლმე, მათი შერჩევისას გადამწყვეტი იყო არა იმდენად ვარგისიანობა და უნარი, არამედ უფრო მეტად მათი პოლიტიკური პოზიცია.

სახელმწიფო მართვის საქმების არასრულფასოვანი ცოდნით გამოწვეული დიდი გაურკვევლობა მათ უნდოსა და ეჭვიანს ხდიდა, ხშირ შემთხვევაში – იმისგანაც თავს იკავებდნენ, რომ ჩევისათვის ჩვენთვის მოემართათ, დიპლომატიურ ჩვეულებათა უცოდინარობის გამო, ზოგიერთი სახის ისეთ უტაქტობას ჩადიოდნენ, რომლებიც ნამდვილად მაღალ მოთხოვნებს უყენებდა ჩვენს შემწყნარებლობასა და მოთმინებას.

სავსებით გასაგები იყო, რა თქმა უნდა, რომ ისინი, როგორც თავდაკვერცხული მარქსისტები, კაიშერული გერმანიის გენერალს და არისტოკრატს თავიდან ძლიერი უნდობლობით მეკიდებოდნენ. უწინარეს ყოვლისა, მათ ეშინოდათ, რომ ჩენ მათ შინაგან საქმეებში ჩარევას შევეცდებოდით. ამ უნდობლობას ეროვნულ-დემოკრატების მოუხეშავი საქციელიც აძლიერებდა. მათი პარტია, ძირითადად, უფლებააყრილი თავადაზნაურობისაგან, ექსპროპრიტებულ მიწისმფლობელთაგან, დათხოვნილ ოფიცერთაგან და მოკლედ, ყველანაირი კონსერვატიული და რეაქციული ელემენტები-საგან შედგებოდა. ამ საზოგადოებრივი იერარქითაც აგრეთვე ჩვენთან ახლოს მდგომა ბატონებმა ხელგაშლილად მიგვიღეს, მაში-



ნვე სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მაღავდნენ, რასაც ჩვენ-  
გან ელოდნენ – ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობებულებით  
დამხობასა და თავიანთი ძველი უფლებების აღდგენაში უნდა დავხ-  
მარებოდით.

დიდი თავშეკავება და ტაქტი დაგვჭირდა, ვიდრე მოვახერხებ-  
დით სოციალ-დემოკრატების დარწმუნებას, რომ ჩვენგან მათ სა-  
შინაო საქმეებში ჩარევის შიში არ უნდა ჰქონოდათ. დროთა განმა-  
ვლობაში შევძლი სავსებით კარგი და ნდობით აღსავსე ურთიერ-  
ობა დამემყარებინა ჟორდანიასთან.

ვითარება საქართველოს შიგნით და მის მეზობელ ქვეყნებში,  
კავკასიაში ჩვენი ჩამოსვლის მომენტში კვლავაც სრულიად გაურ-  
კვეველი რჩებოდა. საზოგადოებრივი მშვიდობა და უსაფრთხოება  
ჯერაც არ იყო აღდგენილი და ყველგან მეტ-ნაკლები ანარქია სუ-  
ფევდა.

საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა კონსტიტუცია, 120 –  
კაციანი ეროვნული კრების<sup>33</sup> სპეციალური კომისია მუშაობდა სა-  
კონსტიტუციო კანონის შემუშავებაზე. ეროვნული კრების თავჯ-  
დომარე იყო რუსეთში თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ცნო-  
ბილი ლიდერი მენშევიკი წერეთელი.

თბილისის ქუჩებში ყოველდღმ ისროდნენ. სოფლებსა და მთებ-  
ში უამრავი ბანდა დაძრწოდა, რომელთა გამოც უსაფრთხოდ ვერ  
იმგზავრებდი, ეცემოდნენ სოფლებს და უმოწყალოდ ძარცვავდნენ  
მოსახლეობას, აყაჩაღებდნენ და ცეცხლს აძლევდნენ თავადაზანა-  
ურთა კარ-მიდამოს. მთავრობა ეყრდნობოდა „წითელ გვარდიას“,<sup>34</sup>  
რომელიც რევოლუციური ჯარის ყველაზე უარესი სახეობა იყო.  
მას ერთი უპასუხისმგებლო ახალგაზრდა ავანტურისტი (სტუდენ-  
ტი) მეთაურობდა, თავის რიგებში უბოროტეს ელემენტებს აერ-  
თიანებდა, ყოვლად უსირცხვილო, პრეტენზიულ მოთხოვნებს აყე-  
ნებდა ანაზღაურებისა და სურსათ-სანოვაგის თაობაზე, მხოლოდ  
პრემიერ-მინისტრს სცნობდა უფროსად, ატერორებდა ქვეყანას და  
მთავრობას ყველაზე საშინელი ფორმით. თავის დროზე ქვეყანაში  
ბოლშევიკური ელემენტების განადგურების საქმეში „წითელ გვ-  
არდიას“ გარკვეული დამსახურება მიუძღვდა, მაგრამ დროთა გან-  
მავლობაში ქვეყნის გვემად და ვაებად გადაიქცა.

ე. წ. ქართული არმია 10 ათას კაცს შეადგენდა და 100-ზე

მეტი ქვეშენი პქონდა შეიარაღებაში. მისი საბრძოლო თვისებები არაჩვეულებრივად მცირე გახლდათ.

რევოლუციური ზეგავლენის წყალობით, არმიაში დისციპლინა მთლიანად მოშლილი იყო: ჯარისკაცები უგულისყუროდ ეკიდებოდნენ თავიანთ სამხედრო ჩატულობასა და გარეგნულ იერ-სახეს, არ ესალმებოდნენ თავიანთ ოფიცირებს და ამ უკანასკნელთ აშკარად ეშინოდათ თავიანთი ხალხის. „წითელი გვარდიის“ განკარგულებით, ჯარისკაცებს ყოველდღიურად 6 საათს უნდა ემსახურათ. მისივე ბრძანებით, ყველა რესტორანსა და სასადილოს გვარდიის სასარგებლოდ 20 %-იანი გადასახადი პქონდა შეწერილი.

ქვეყანას შიმშილის აჩრდილი დასტრიალებდა თავს. მსხვილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაციისა და მათი მიწების გლეხებზე განაწილების შედეგად, რომელთაც თესლეულობა, მუშა-ხელი და წარმოების იარაღები არ პქონდათ, მკვეთრად შემცირდა საკუთარი მარცვლეულის მოსავალი და ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი იმპორტი იმიერკავკასიიდან სრულიად შეწყდა, ვერ მოხერხდა ბოლო წლების ყურძნისა და თამბაქოს უხვი მოსავლის გასაღება. აგრარული საკითხი სწორედ იმ ამოცანათაგანია, რომლებიც საქართველოს მთავრობას პირველ რიგში უნდა აეტაცებინა და გადაეწყვიტა, ფასები ფანტასტიკურად გაიზარდა, სასაქონლო შიმშილი იმას წააგვდა, გერმანიაში რომ იყო 1943 წელს. საერთოდ ყველაფრის ნაკლებობა იგრძნობოდა – ნემსითა და ლურსმნით დაწყებული, ჭიქებით, ელექტრონათურებით, წინდებით, თეთრეულით და ტანსაცმლით დამთავრებული. მძიმე უკმარისობა გაჩნდა იმის გამო, რომ ბოლშევიკებმა ქართველებს ბაქოდან ნავთობპროდუქტების შემოზიდვა აღუკვეთეს. რკინიგზები, ფაბრიკები, წისქვილები, წყალსაქაჩი ტუმბოები, ელექტროსადგურები, ნაოსნობა, – ყველაფერი საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში, როგორც, სხვათაშორის, მთელ სამხრეთ რუსეთში – მაზუთით გათბობას ეფუძნებოდა. მაზუთი პირველადი ნავთობის დესტილაციის შედეგად დარჩენილი დანალექებია, რაც შენობების გასათბობად გამოიყენებოდა. ჩვენი ჩასელისას საწარმოების ნაწილი უკვე გაჩერებული იყო, ნაწილი კი – გაჩერების პირას მისული, ავტომობილების მოძრაობა თითქმის მთლიანად შეწყვეტილი. მაგალითად, თბილისში რომ წყალსადენი არ ფუნქციონირებდა, ესეც მაზუთის უკმარისობის გამო.



მთელი ქვეყანა და, განსაკუთრებით — თბილისი, გადაჭედილობისა და იმ უცხოტომელი ელემენტებით — სომხეთიდან უამრავ ლტოლვილთან ერთად, უმთავრესად, ასევე ურიცხვი რუსი ოფიცირითა და მოხელით, რომელიც შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლეოდნენ. როცა დაახლოებით 300—ათასკაციანი რუსეთის კავკასიური არმია დაიშალა, რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა თავიანთ ოფიცირებს იმ მატარებლებით სარგებლობის ნება არ მისცეს, რომლებითაც თავად ბრუნდებოდნენ სამშობლოში. საკუთარ საარსებო საშუალებებს მოკლებულ რუს ოფიცირობასა და მათ ოჯახებში გაუსაძლისი სიღუხჭირე სუჯევდა, ისინი ცდილობდნენ, ყველა შესაძლებელი გზით მოეპოვებინათ საარსებო საშუალებები.

გოლოვინის პროსპექტზე — თბილისის მთავარ ქუჩაზე მდებარე პატარა ფარდულის ვიტრინაში იჯდა რუსი გენერალი — კავკასიის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი და მეწარედ მუშაობდა. ბევრი რუსი ოფიცირი თბილისში ტაქსებს ატარებდა. როგორც კი ამით ისინი რამდენიმე მანეთს გამოიმუშავებდნენ, მაშინვე თავადაზრაურთა კლუბში გარბოდნენ, ყიდულობდნენ ბოთლშამპანურს და აზარტულ თამაშში კლავიდნენ დროს. რესტორნებშიც ოფიციანტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას რუსი ოფიცირები შეადგენდნენ, კაფეებსა და საკონდიტროებში, რუს ოფიცირთა ცოლები და ქალიშვილები დაუდალავად ემსახურებოდნენ კლიენტებს. რუსი გენერლები, ცოლებითა და ქალიშვილებით, გასართობ დაწესებულებებში იყვნენ თავმოყრილი.

ერთხელ ჩემი სახლის წინ ძალაგამოლეული მოხუცი რუსი გენერალი უგრძნობლად ჩაიკეცა. როცა იგი კვლავ გონის მოეგო, გამოტყდა, რომ სამი დღეა არაფერი უჭამია. ქართველები, გასაგებია, უარს ამბობდნენ რუსი ოფიცირებისა და ჩინოვნიკებისათვის — მათი მტრებისათვის, პენიების დანიშვნაზე. რა ძლიერადაც უნდა შეგბრალებოდა კაცს ეს დატაკი ზალხი, გარკვეულწილად თავისი დიდგვაროვნული წარმოშობის გამოც, გაოცებდა, როგორაც იტანდნენ თავიანთ მძიმე ხვედრს.

ისინი მაინც, თავისი პოლიტიკური განწყობილებით და პოლიტიკური ინტრიგებისაკენ ძლიერი მიდრეკილების მიზეზით, უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ საქართველოსათვის და ჩვენთვის, — გერმანელებისათვის, ვიდრე საამისოდ მოხერხებულად მო-

მუშავე უამრავი ინგლისელი აგენტის ზეგავლენის ქვეშ მიმღებად ცეკვა იქნებოდა.

სომხი ლტოლვილები იმ თვალსაზრისით წარმოადგენდნენ სერიოზულ საფრთხეს ქვეყნისთვის, რამდენადაც მათ შორის ყველა შესაძლებელი ეპიდემია და დაავადება მდვინვარებდა.

საქართველოს ფინანსური მდგრმარეობის საქმე მთლად ხელიდან იყო წასული. არავითარი ბაჟი არ შემოდიოდა, გადასახადების ამოღებას მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავდა, ჯერაც იმის ხარჯზე ცხოვრობდნენ, რაც რუსეთისაგან მემკვიდრეობით ერგოთ. და იმედოვნებდნენ, რომ გერმანია დიდ სესხს გამოყოფდა მათთვის. საკითხი იმის თაობაზე, უნდა დაეწესებინათ თუ არა საბაჟო საზღვრები კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან, ანდა შეექნათ თუ არა საბაჟო თანამეგობრობა, ჯერაც არ იყო განხილული.

### ◆◆◆

თბილისში ჩვენი ჩასვლისას საშინაოზე უფრო მეტად არასახარბიელო და შემაშფოთებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგრმარეობა ჩანდა.

ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე თათართა ბანდებმა თურქი ოფიცრების ხელმძღვანელობით საქართველოს სამხრეთი საზღვარი გადმოლახეს, სუსტი ქართული სასაზღვრო ქვედანაყოფები უკუაგდეს და თითქმის ერთი დღის სავალზე მოუახლოვდნენ თბილისს, აშკარაა, თურქებს ამ გარღვევით სურდათ თავიანთი ერთერთი დივიზიის შენიდბულად გადასროლა საქართველო-სომხეთის საზღვრის გასწვრივ — აზერბაიჯანის მიმართულებით. ბორჩალოს მხრიდანაც არსებობდა თურქული შემოტევის საფრთხე. თურქებს, ბათუმის ხელშეკრულების დებულებათა საპირისპიროდ, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაცლილი ახალციხის და ახალქალაქის ოლქები.

ჯერ კიდევ არ იყო საზღვრები დადგენილი კავკასიის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ეს კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე უნდა მომხდარიყო, რომლის მოწვევაც მუდმივად ჭიანურდებოდა და საბოლოოდ საერთოდ არ შემდგარა. სომხები, აზერბაიჯანელები და მთის ხალხები ქართველებს მათ მიერ მოთხოვნილი ტერიტორიების ცალკეულ ნაწილებს ედავებოდნენ, სომხები ითხოვდნენ ბორჩალოს რაიონს და ახალქალაქის ოლქის ნაწილს, თაორები პრე-

ტენიას აცხადებდნენ თბილისის ოლქის სამხრეთ ნაწილშე და მთავრობის გენერალი – ზაქათალის ოლქშე.

საქართველოს სამხედრო გზაზეც იყო სადაო ტერიტორიები, საზღვრების გამიჯვნის საკითხი განსაკუთრებულად გართულდა იმითაც, რომ სხვადასხვა ხალხების განსახლების არე ძლიერ იჭრებოდა ერთმანეთში. სოხუმთან ახლოს, შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს ჯარები ჩვენი ჩასვლის მომენტში იბრძოდნენ თეთრგვარდიელ კაზაკებთან, თეთრგვარდიელი გენერლები არ ცნობდნენ კავკასიის ქვეყნების ჩამოშორებას რუსეთის იმპერიისაგან. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარების თაობაზე თბილისში კარგად არ იყვნენ ინფორმირებულნი და მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იქაც კვლავ ომი იყო.

ქართველი სოციალ-დემოკრატები გარედან მიმართული ყველა საშიშროებისაგან თავდაცვას იმით ფიქრობდნენ, რომ ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინათ და ეს მეზობლებისათვის ოფიციალურად ეცნობებინათ. მოვლენებმა მათ, რასაკვირველია, ძალიან მაღალ აუსილა თვალი თეორიასა და პრაქტიკას შორის განსხვავებაზე და საკუთარ ტყავზე იწვნიეს, რომ კეთილს არ ძალუდს მშეიღობაში იცხოვროს, როცა ეს ბოროტ მეზობლებს არ მოსწონთ. ჩვენთვის, საერთოდ, საინტერესო იყო გვენახა, თუ როგორ გახდნენ იძულებული, რეალობის და დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმის ზეგავლენით, ხელისუფლებით აღჭურვილი მარქსისტი თეორეტიკოსები ერთმანეთის მიყოლებით გაეწირათ თავიანთი ლოზუნები და იდეალები. ხელისუფლების აღებისთანავე მათ გააუქმეს სიკვდილით დასჯა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ იძულებული შეიქნენ, ისევ შემოეღოთ; აკორდული სამუშაო, როგორც ასოციალური, თავდაპირველად აკრძალეს, მაგრამ მცირე ხანში მისი შემოღებაც საჭირო გახდა და ა. შ.

პარტიის პროგრამისადმი ანგარიშის გაწევა ხშირად აიძულებდა მინისტრებს, ჯანსაღი აზრის საწინაღმდევოდ ეთქვათ უარი საჭირო და გამართლებულ ღონისძიებებზე. თანაჭარტიელებთან და „წითელ გვარდიასთან“ ბრძოლამ მათ ბევრი მძიმე წუთი განაცდევინა, ვიდრე ოპოზიციასთან დაპირისპირებამ.


ქართული მოსახლეობა ჩვენ, გერმანელებს, თავიდან გულგრილად, დროდადრო კი უარყოფითადაც გვეკიდებოდა, ქართველი



ოფიციალური ხელისაფარი ერთხელაც არ მოგვსაღმებიან, როგორიცაც აღმოჩენის შემთხვევაში მომდევნობილი გამორჩეობის საზოგადოებრივი განვითარების განვითარების მინისტრი, რომ მან მოგვიწვია და მხოლოდ დასახმარებლად მოვე-დით.

მოსახლეობის ჩვენდამი დამოკიდებულებაში მაინც შედარებით მაღალ დადგა გარდატეხის მომენტი, ბავარიის სამეფო სარეზერვო N 1 ეგერთა ბატალიონი, მისი შესანიშნავი მეთაურის შოირინგის ხელმძღვანელობით და მე-10 მოიერიშეთა ბატალიონი ....-ის<sup>35</sup> მე-თაურობით 8 ივნისს ფოთში გადმოსხდნენ და 10 ივნისს, როგორც პირველი გერმანული საჯარისო ნაწილები, თბილისში შემოვიდნენ. უკვე მეორე დღესვე გოლოვინის პროსპექტზე პრემიერ-მინისტრმა უორდანიამ გერმანიის და თბილისში განლაგებული საქართველოს ჯარების პარადი მიიღო. გერმანული შენაერთების კარგმა გარეგნულმა იერ-სახემ, უნაკლო საზეიმო მარშით ჩავლამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო მთავრობის წევრებზე, არამედ მოსახლეობაზეც და დადებითი ზეგავლენა იქნია მათ კეთილგანწყობაზე ჩვენდამი. ჯერ კიდევ 11-დან 12 ივნისის დამით გერმანული ჯარები თბილისიდან ისევ გზას გუდგნენ, რათა სუსტ ქართულ ძალებთან ერთად სამხრეთ საქართველოში შემოჭრილი თათართა ბანდები უკუგდოთ. სამხრეთ საქართველოში ჩატარებული ოპერაციებისა და ბრძოლების მაიორ შოირინგისეული დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ბავარიის სამეფო მე-15 ეგერთა პოლკის ისტორიაში. შოირინგის და მისი ოფიციალური დიდი ტაქტისა და მოხერხებულობის წყალობით შესაძლებელი გახდა თათართა ბანდების, რომელთაც თურქი ოფიციალური ხელმძღვანელობდნენ და თურქეთის რეგულარული ნაწილები უჭერდნენ მხარს, საზღვარს იქნება უკუგდება ისე, რომ ჩვენს მოკავშირესთან აშკარა ბრძოლამდე საქმე არ მისულა. წავიდა რა OHL-ის მხრიდან ზეგავლენის გამო დათმობაზე, ენვერმა უარი თქვა თბილისის წინააღმდეგ აშკარად დაგეგმილ შეტევაზე და თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან უკანვე გაიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯარების ექსპედიციისას სამხრეთ საქართველოში განსაკუთრებულად მძიმე ბრძოლებს არ ეხებოდა საქმე, შეტაკებანი ეგერთა ბატალიონს მაინც 4 მოკლულისა



გერმანელი და ქართველი ოფიცირები ერთად (ი. პოფმანის წიგნიდან:  
Kaukasien 1942/43. Das deutsche Heer und die  
Orientvölker der Sowjetunion. Freiburg, 1991. იგივე ფოტო  
გამოქვეყნებულია გურამ შარაძის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. I,  
ს. 57, წარწერით: „გერმანელი გიორგი კვინიტაძე მეომრებს შორის“).



ქართული კავალერია თბილისთან ახლოს 1918 წ.

და 12 მძიმედ დაჭრილის ფასად დაუკავდა.<sup>36</sup> ჩვენი მეგობრობა ქართული თველებთან გერმანული სისხლით განმტკიციდა.

მას შემდეგ, რაც გერმანულმა ჯარებმა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიები თათართა ბანდებისაგან გაწმინდეს და არასაიმედო დასახლებანიც შეძლებისდავარად განაიარადეს, ეგერებმა ერთი ასეული სამხრეთ საქართველოში დატოვეს და 24-25 ივნისს თბილისში დაბრუნდნენ. მოიერიშეთა ბატალიონი მაშინ გერმანულ კოლონია კატარინენფელდში<sup>37</sup> გაემგზავრა და მოგვიანებით კი – ქუთაისში გადავიყვანე. მე თბილისში ჩამოსვლის მეორე დღესვე მოვახერხე მოიერიშეთა ბატალიონს ყაზარმაში ვწვეოდი და გავსაუბრებოდი მაიორ შოირინგს. მას დავავალე, თბილისის გერმანული კომენდატურის საქმიანობისათვის ეხელმძღვანელა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე ლამაზი ძველი კლუბის შენობაში განთავსდა.

ობერ-ლეიტენანტ პფაფენბერგერის დაქვემდებარებაში მყოფი სარკინიგზო დაცვის ბატალიონი დავშალე, გამოთავისუფლებული ჯარისკაცები და ოჯიცრები კი ეგერთა და მოერიშეთა ბატალიონებში განაწილდნენ. ეგერებისაგან შედგა „კავკასიის ეგერთა პოლკი“ (მოგვიანებით ბავარიის სამეფო მე-15 ეგერთა პოლკი ეწოდა), რომელსაც მაიორი შოირინგი მეთაურობდა. პოლკი შედგებოდა მტაბისაგან და ორი ბატალიონისაგან (თითოეულში სამი ასეული) და მეტყვიანმფრქვევეთა ასეულისაგან. პირველ ბატალიონს შეუერთდნენ ნაღმსატყორცნების ოცეული და საველე ბატარეის ოცეული, რომლებიც საქართველოს მთავრობამ ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცა, რუსეთის არმიის ყოფილი 13 ოჯიცერი (ყველა ბალტიისპირელი გერმანელი), მათი ადრინდელი რანგის მიუხედავად, პოლკში ვადიანი სამსახურის ლეიტენანტებად დაინიშნენ. მათი უმეტესობა კარგად ასრულებდა თარჯიმნის ფუნქციებს.

მოიერიშეთა ბატალიონთან ჩამოყალიბდა აგრეთვე მეორე მსროლელი ასეული, ხოლო ფრონტისათვის გამოუსადეგარი ყოფილი სამხედრო ტყვეებისაგან თბილისის საგარნიზონო სასახურის ასეული შეიქმნა. ივლისის ბოლოს ეგერთა პოლკის ფორმირება დასრულდა. მისი ერთი ასეული სამხრეთ საქართველოში საზღვრის დაცვისთვის განწესდა: მოიერიშეთა ბატალიონის ერთი ოცეული ფოთში იყო დისლოცირებული და იქაური ცუდი კლიმატური პირობების გამო ყოველ 14 დღეში უნდა შეცვლილიყო.

დელეგაცია გერმანიის საკონსულოს ახლოს დაბინავდა შშპრეზენტაცია სამუშაოთისა და მოწყობილობით შენობაში, რომელიც თავისი ავეჯეულობით და მოწყობილობით საზღვარგარეთ მყოფ მდიდარ სომეხს ეკუთვნოდა. პირველ სართულზე დელეგაციის სამუშაო ოფისები განლაგდა, მეორე სართულზე კი – შესანიშნავი მისაღები დარბაზები, ჩემი სამუშაო და საძინებელი ოთახები, ასევე თითო-თითო ოთახი ლერსერისა და ბოტინგერისათვის მოვაწყვეთ. გარკვეული ხანი გავიდა, სანამ შენობა, რომელიც ადრე ქართულ სახელმწიფო დაწესებულებას კანცელარიის მაგივრობას უწევდა, კვლავ ამოქმედდებოდა.

იმ ოფიცირების და მოხელეების დასაბინავებლად, რომლებიც საჯარისო ნაწილებში არ ცხოვრობდნენ, „პალას-პოტელი“ დავიქირავეთ. იქვე მოწყო ღიული თავიცერთა კაზინოც. თარჯომნებად დელეგაციას ჰყავდნენ ბალტიისპირელი გერმანელები: ბარონი დრახენფალი, ბარონი ფრანკი, ბარონი ფონ ჰაშმი და მოგვიანებით აგრეთვე ბ-ნი ფონ ნორმანი. ჩვენ, ძირითადად, საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ისინი კარგი ადამიანები იყვნენ, თუმცა მათი შესრულებული სამუშაო ხანდახან სასურველს ოდნავ ჩამორჩებოდა ხარისხით.

ივნისის ბოლოს სოხუმიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ დაახლოებით 800-კაციანი თურქული რაზმი გადმოსხეს და იგი სოხუმის ჩრდილოეთი ბოლშევიკური ბანდების წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ ჯარს ზურგში მოექცა, მე უორდანიას სასწრაფო თხოვნით და იქაური მოსახლეობის დასამშვიდებლად მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი (ასეულის ნაწილი და მეტყვიამფრქვევეთა ერთი ოცეული) გავაგზავნე სოხუმისაკენ.

თურქების მხრიდან ხელშეკრულების ხელახლი დარღვევის გამო ჩემი ავსტრიელი და ბულგარელი კოლეგები და მე იძულებული გავხდით, დაყოლოდით საქართველოს მთავრობის დაქინებულ ხევწა-მუდარას და ერთხელ კიდევ გვეცადა modus vivendi<sup>38</sup> გვეპოვა თურქებთან. იმედი გვქონდა, რომ ბათუმში ვეპიბ-ფაშას-თან<sup>39</sup> მოლაპარაკებით თურქებსა და ქართველებს შორის შეთანხმებას მივაღწევდით. ჩვენს სატელეგრაფო შეკითხვაზე, სასურველია თუ არა ჩვენი სტუმრობა, თურქებისაგან პასუხი არ მიგვიღია. მიუხედავად ამისა, სამი მისიის მეთაური, რამდენიმე მხლებლით



თურთ, 29 ივნისის დილას ფოთში ჩაესხედით გემ „გვერდულზე“<sup>2</sup> და დიდებული ამინდის ხელშეწყობით, ხანმოკლე მგზავრობის შეძლება, შუადღის პირველი საათისათვის ბათუმის რეილზე დავდექით. ძალიან დიდხანს მოგვიწია ცდამ, ვიდრე ნავსადგურში შესვლის უფლებას მოგვცემდნენ და მხოლოდ ნაშუადღევის 4-სა და 5 საათს შორის შევძელით ნაპირზე გადასვლა.

ავადსახსენებელი ვეპიბი, პატარა, დაახლოებით 42 წლის სექტი კაცი, მართლაც ცბიერი, მოლაპარაკებებში გაქნილი აზიელი, თავისი გარეგნობითაც მხეცურად მოძალადე, უაღრესად არასიმპათიური, მაგრამ უდავოდ ძლიერი პიროვნება, მართალია, ძალიან მეგობრულად შეგვხვდა, თუმცა საქმისადმი სავსებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნა.

მან გადაჭრით თქვა უარი სამხრეთ საქართველოში თურქების მიერ ტყვედ აყვანილი გერმანელი ჯარისკაცების განთავისუფლებაზე. შევიტყვეთ, რომ სოხუმში დესანტის გადასხმა მას კონსტანტინეპოლისათვის უცნობებლად გაუკეთებია, რადგან აფხაზებს მისთვის დახმარება უთხოვიათ. სინამდვილეში, აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სოციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს ვეპიბს დახმარებისათვის. ჩემს კითხვაზე, სწორ მისამართზე მოვხვდით თუ არა მასთან, ვეპიბმა გვაცნობა, რომ იგი 5 საათზე მთავარსარდლობას თავის ძმას – ესად-ფაშას გადასცემდა. ენვერს იგი უკვე გადაეყენებინა თანამდებობიდან. სამწუხაროდ, ჩვენს მოლაპარაკებებს იმ საღამოს და მეორე დღეს სადილობამდის ესად-ფაშასთან უფრო ხელსაყრელი შედეგი არ მოუკია.

გარეგნული შეხედულებით ესადი პირდაპირ მისი ძმის საპირისპირ კაცი გახლდათ – სასიამოვნო, კეთილშობილური სახის პიროვნება, რომელიც კარგად ლაპარაკობდა გერმანულს და გულია, პატიოსანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრმ იგი ისევე ცბიერი და თავნება იყო, როგორც მისი ძმა, თუმცა არა მასავით მოხერხებული და ცინიკური. საუბარში იმ საბაბს იშველიებდა, რომ ოფიციალური მოლაპარაკებებისათვის რწმუნებანი არ გააჩნია. მან მაშინვე განაცხადა უარი გერმანელ ტყვეთა განთავისუფლებაზე და ამტკიცებდა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში ვერ შე-

ვუშვებთ, რადგან მათ იქ საშინელებანი აქვთ ჩადენილიო; თქვენი მიზანი რომ მას არ შეუძლია გაათავისუფლოს თურქების მიერ უკანონოდ დაკავებული ტერიტორიები, რადგან საამისო უფლებამოსილებანი არ მაქვსო. სოხუმთან დაკავშირებული დესანტის გამო მას საჭიროდ მიაჩნდა ამ ცნობის, როგორც არასწორის, საერთოდ უარყოფა და ა. შ.

თუმცა ჩვენ საბოლოოდ მართლაც ენერგიულად და პირდაპირ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება, მაგრამ ბათუმი უშედეგოდ დავტოვეთ. სამაგიეროდ, ფოთისკენ გამგზავრებულებმა, გზაში ესადის რადიოგრამა მიეცილეთ, რომ იგი — ალბათ ენვერის ბრძანების საფუძველზე, — მზადაა გაათავისუფლოს ტყვე გერმანელები და როცა ფოთში ჩავედით, დაგვნედა ცნობა, რომ სოხუმთან გადასხმულ თურქების ჯარს საქართველოს ტერიტორია უკვე დაეტოვებინა. მაშასადამე, ჩვენი მისია მთლად უნაყოფო არ ყოფილა.

თურქების გენერალურმა ინტენდანტმა ისმაილ ჰაკი-ფაშამ, უჭკვიანესმა და, ამავე დროს, გაიძერა ყალთაბანდმა დეპეშით მოწიწებით მთხოვა შუამდგომლობა ქართველებთან, რათა მათ ნება დაერთოთ აზერბაიჯანში შეძენილი ბამბა საქართველოს რკინიგზით გადაეტანათ. სანაცვლოდ იგი საქართველოს მაზუთით მოამარაგებდა. 1 ივლისს თბილისში დაბრუნებული სასწრაფოდ შევნედი ქორდანიას, რომ მისთვის ჩვენი მოლაპარაკებების შედეგები მომეხსენებინა. მე მას ვურჩიე, სახელდობრ ბამბით დატვირთული ტრანსპორტი ბათუმისაკენ გაეტარებინა და საქართველოს რკინიგზა თურქეთის სამხედრო ტვირთებისათვის მანამდე ჩაეკეტა, სანამ თურქები ახალქალაქისა და ახალციხის ოლქებს არ დაცლიდნენ.

საქართველოს მთავრობამ კარგად გაითავისა ეს წინადადება. როცა ღუდენდორფმა ივლისის შუა რიცხვებში მოითხოვა თურქეთის სამხედრო ტვირთების გატარება მათ მიერ უკანონოდ დაკავებული ტერიტორიების დაუცლელად, მე მას მოვახსენე, რომ საჭირო იქნებოდა ჩემი მაშინვე უკან გაწვევა, თუ ის თავისი ბრძანების შესრულებას დაუინებით მოითხოვდა. მიუხედვად იმისა, რომ თურქებს საქართველოს რკინიგზის ჩაეტვამ თავიანთი სამხედრო ტვირთების გადაზიდვაში დიდი სიძნელები შეუქმნა, გაჯიუტებულმა ენვერმა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა დასახელებული ტერიტორიების დაცლა, როცა, ბაქოს ხელში ჩაგდებისათვის ნური ფაშას<sup>40</sup>



წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, აგვისტოს პირველ ჰელვეტიკურ თურქებისათვის რკინიგზით სარგებლობა გადაუდებელ საჭიროებად იქცა. ამის შესახებ მოგვიანებით ქვემოთ მექნება საუბარი.



გერმანიის ჯარების რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად,<sup>41</sup> ქვეყნის განთავისუფლების საქმე შედარებით სწრაფად მიღიოდა წინ. ღამეული სროლები თბილისში მაღე სავსებით შეწყდა და სოფლადაც თვალსა და ხელშეუ გაუმჯობესდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების საქმე. რამდენიმე გერმანული ფოლადის მუშარადის გამოჩენაც საკმარისი გახდა, რომ მოთარეშე ბანდები იქდან გამქრალიყვნენ. ადგილობრივი მემამულები მოსვენებას არ გვაძლევდნენ თხოვნით, რომ მათთვის რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცის მიმაგრებით მოსავლის უსაფრთხოდ დაბინავების საშუალება მიგვეცა. რამდენადაც ჩვენი მცირერიცხოვანი ძალები ამის საშუალებას გვაძლევდა, ასეთ თხოვნებსაც ვაკმაყოფილებდით.

საქართველოს მთავრობის მხრდან აშკარად დაუფარავ, მტკიცე წინააღმდეგობას წავაწყდი, როცა მოვინდომე, ვარგისი რეგულარული არმიის ჩამოყალიბებისათვის ბიძგი მიმეცა. ამ დროს განსაკუთრებით საგრძნობი იყო მარქსისტული უტოპიებისა და მინისტრების პარტიულობის ზეგავლენა მათსავე საქმიანობაზე და შიში „წითელი გვარდიის“ წინაშე. ბოლოს იძულებული გავხდი ზეწოლის საშუალებაც გამომეუწებინა.

მე პრემიერ-მინისტრის ჯერ ზეპირად და შემდეგ ნოტის საშუალებით განვუმარტე, რომ საქართველოს მთავრობას მანამ არ შეუძლია მისთვის ასე ძლიერ საჭირო სესხის თაობაზე შეთანხმების მიღწევის იმედი პქონდეს გერმანიასთან, ვიდრე საკმარისად ძლიერი არმიის ჩამოყალიბებით საკუთარი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი გარანტია არ შეუქმნია. ბერლინში ვთხოვე, რომ მოლაპარაკებანი სესხის შესახებ იმდენხანს გაეჭირურებინათ, სანამდე საქართველოს მთავრობა საკუთარი არმიის ჩამოყალიბების საკითხში დათმობაზე არ წავიდოდა. ამ ზეწოლამ სასურველი გავლენა მოახდინა. კმაყოფილი დაერჩი, რომ საქართველოს ეროვნულმა კრებამ ჩემს მიერ გერმანული ნიმუშის მიხედვით მომზადებული სამხედრო კანონ-პროექტი 14 აგვისტოს ერთხმად მიიღო



მცირედი შესწორებებით. ამას გარდა, კვლავ შემოიღეს ოევოლუტურის დროს გაუქმებული სამხედრო იურისძიებით. საქართველოს მთავრობა ში თავიდან უნდა შექმნილიყო ინფანტერიის 2 დივიზია, სასაზღვრო რო დაცვის დივიზია რუსული ნიმუშის მიხედვით, საკავალერიო დივიზია 3 პოლკით და საჭირო დამხმარე ნაწილებით და ცალკეული საარტილერიო ბრიგადა – საერთო რიცხოვნობით მშვიდობიანობის პერიოდისათვის 30-40 ათასი კაცის რაოდენობით.

გენერალ გედევანოვის<sup>42</sup> სახით სამხედრო მინისტრმა საქმის კარგად მცოდნე და სიმპათიური მოადგილე შეარჩია, ვისთანაც ჩვენ სასიამოვნო და ნდობით აღსავსე ვითარებაში თანამშრომლობა შეგვეძლო. მე მის განკარგულებაში გადავეცი მაიორი გრაფი ვოლოჟისკელი და რამდენიმე სხვა ოფიცერი. ჩამოსაყალიბებელი საჯარისო ნაწილების პირადი შემადგენლობის საშტატო განაწესი მე შევიმუშავე, ისევე, როგორც სამხედრო სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმა. ქართველების მიერ ჩემთვის ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი ამ სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა პატარა არმიისათვის ითვალისწინებდა – ნამდვილად აღმოსავლური ხელგაშლილობით – ძალიან დიდსა და ძვირადღირებულ აპარატს. მუშაობა არმიის რეორგანიზების ხაზით ნელა მიიწვედა წინ, ვინაიდან ქართველ ოფიცერთა ნაწილი გენერალური შტაბის უფროსის გენერალ თავად ანდრონიკოვის მეთაურობით ფიქრობდა, რომ ჩევნზე – გერმანელებზე უკეთესად ესმოდა ეს საქმე და საბოტაჟს გვიწყობდა. არმიის რეორგანიზაციის საქმე წლის ბოლომდე მაინც იმდენად წარმატებით განვითარდა, რომ ქართველებმა საკუთარი ძალებით შეძლეს სომხების უკუგდება, როცა მათ გერმანიის ჯარების თბილისიდან წამოსვლის მეორე დღეს მოღალატურად და ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და თბილის ერთი სამარშო დღის სავალზე მიუახლოვდნენ.



16 ივნისის საღამოს<sup>43</sup> ჩემი ამაღით ელიზავეტოპოლში (განვა – აზერბაიჯანის იმდროინდელი დედაქალაქი) გავემგზავრე აზერბაიჯანის მთავრობისათვის რწმუნების სიგელების გადასაცემად. ამასთან მინდოდა, თურქეთის მთავრობის წარმომადგენელს აზერბაიჯანში ნური-ფაშასაც ვწვეოდი. განვა დიდ სოფელს წარ-



მოადგენს რამდენიმე ნაკლებად ქალაქური იერის შენობით, რომელსაც ლამის ტროპიკული მცენარეულობით დაფარული მდინარის კალაპოტი გამოჰყოფდა ერთმანეთისაგან ქალაქის თაორულ და სომხეურ ნაწილებს, თურქების მოსვლამდე ქალაქის ორივე ნაწილს შორის სისხლიანი მტრობა მძინვარებდა. აზერბაიჯანის მთავრობასთან ვიზიტი ურთიერთთავაზიანობის დადასტურებით შემოიფარგლა მხოლოდ და არაუერი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მთავრობას, ჩანს, ძალიან ცოტა გავლენა აქვს მოვლენებზე და ფაქტიური დიქტატორი ნური-ფაშაა. მე განსაკუთრებული დაბეჯითებით მარწმუნებდნენ, რომ აზერბაიჯანი ბაქოს. გარეშე არასიცოცხლისუნარიანია — შეხედულება, რომელსაც, ბუნებრივია, ნურიც იზიარებდა, მაგრამ მან დამიდასტურა, რომ არა აქვს განზრახული შეუტიოს ბაქოს, აზერბაიჯანის კონსოლიდაციის საქმეში არსებით სიმნელეს ზმაში ვხედავდი, რომ ქვეყანას მცირერიცხოვანი და ისიც ნახევრად განათლებული ზედაფენა ჰყავდა, რის გამოც ერთობ აკლდათ სახელმწიფო მართვა-გამგეობის უნარის მქონე პოლიტიკოსები.

დივიზიის გენერალი და გენეტიაბის ადიუტანტი ნური-ფაშა — ენვერის ძმა — 28-დან 30 წლამდე ასაკისაა, ენვერივით ლამაზი არაა, მაგრამ საკმაოდ კარგი იერისა და არცთუ უსიმპათიოა. იგი, თუმცა ძალზე თავაზიანი იყო, მაგრამ მისი ნდობა მაინც არ შეიძლებოდა. ძალზე გულუბრყვილოდ მიყვებოდა, დიდ წევრს იმიტომ ვატარებ, რომ უფრო ასაკოვანი გამოეჩნდე და თანამოაზრებს შორისაც მეტი ავტორიტეტი მქონდეს.

ჩვენი განჯაში სტუმრობის მერე, მაშინვე ვეწვიეთ კავკასიაში გერმანულ კოლნიათაგან უდიდესს, ულამაზესს და უმდიდრესს — პელენენდორფს. როგორც პალესტინაში, ასევე კავკასიაშიც მე თავისებური მშობლიურის განცდის გრძნობა დამეუფლა. ეს გასაგებია, როცა უცხო მხარეში, უცხო ხალხს შორის სამშობლოდან თითქმის სამი ათასი კილომეტრით მოშორებული, უცბად მშვენიერ, დიდ და აკურატულ სოფელს შეხვდები, თანაც შვაბიური სტილით ნაგებს — ფართო, ჩრდილოვანი ქუჩებით, ხშირად ამაღლევებელი, უბრალო ეკლესიით, ყვავილებით შემკული ბაღებით და უამრავი ქერა ბავშვით, რომლებიც ნაღდ შვაბიურ დიალექტზე გვესალმებოდნენ.



1817 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვიდნენ პირველი გერმანელი კოლონისტები, და თბილისთანვე ახლოს მარიენფორტის დში დასახლდნენ. ესენი იყვნენ ცველანი შვაბები – 178 სული, რომლებმაც თავიანთი სამშობლო მიატოვეს ნაწილობრივ მაშინ მთელ სამხრეთ გერმანიაში მძვინვარე შიმშილობის, ნაწილობრივ კი რელიგიური მიზეზების გამო – როგორც სექტანტებმა. იმავე წლის ბოლოს კიდევ დანარჩენი 500 შვაბიური ოჯახიც ჩამოვიდა, რომლებმაც დაარსეს კოლონიები ელიზაბეტტალი, ალექსანდერს დორფი, ახალი თბილისი, კატარინენფორტი, ანენფელდი და ჰელენენდორფი. სულ ჩამოსახლდა 531 შვაბიური ოჯახი, დაახლოებით 2700 სული. მაშინდელი რუსეთის მთავრობა ფართო დახმარებას უწევდა და ხელს უწყობდა გერმანელთა კოლონიებს, სურდათ, ცოტა ზნის წინ დამორჩილებულ, რუსეთის ძალმომრეობითი ბატონობისადმი შინაგანად მოწინააღმდეგე ქვეყანაში მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ელემენტი დაეფუძნებინათ. კოლონიებს მიეცათ უფლება, პქონოდათ საკუთარი თვითმმართველობა, გემანული ეკლესიები, გერმანული მოძღვრებითურთ და გერმანული სკოლები გერმანელი მასწავლებლებითურთ. უწინარეს ყოვლისა, არაგერმანელებს აკერძალათ გერმანულ კოლონიებში დასახლება, რაც გერმანელთა ერვონული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიება გახლდათ, რადგან ამით შერეული ქორწინებანი თუ მთლად არ გამოირიცხა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე გართულდა მაინც. შვაბების რკინისებური სიბეჭიოთის, ამტანობის და ადაპტაციის უნარის დამსახურება იყო, რომ კოლონიებმა, განსაკუთრებით იქ, სადაც მათ შეეძლოთ მევენახეობისათვის მოეკიდათ ხელი, დიდ აყვავებას და ნაწილობრივ ძალზე მნიშვნელოვან კეთილდღეობასაც მიაღწიეს. ჩვენი სტუმრობისას პელენენდორფში რამდენიმე მილიონერი იყო. ბუნებრივა, კოლონიების განვითარების პროცესი სერიოზული კრიზისებისა და ზოგჯერ წარუმატებლობების გარეშე არ მიმდინარეობდა. კოლონისტებს ხშირად უსდებოდათ იარაღის ხელში აღება, რომ ოჯახის წევრები და საკუთარი ავლადიდება ყაჩაღური ბანდებისაგან დაეცვათ.

გერმანული კოლონისტები და განსაკუთრებით მათი სავაჭრო სახლები, თავიანთი საქმიანი თვისებებისა და საიმედოობის გამო,



დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ომის წინა ბოლო ათწლეულში კავკასიაში გაძლიერებულად მიმდინარე რუსიფიკაციონული მისწრაფებების ზეგავლენას გერმანული კოლონიებიც განიცდიდნენ. 1887 წელს გერმანული კოლონიები რუსულ საზედამხედველო უწყებას დაუქემდებარეს. კოლონიები საგადასახადო დაბეგვრის განსაკუთრებულ კატეგორიაში მოაქციეს: სასოფლო-სამეურნეო კულტურები — განსაკუთრებით ვენახები — ორ-სამჯერ უფრო მეტად იბეგრებოდა, ვიდრე არაგერმანულთა მფლობელობაში არსებული. 1912 წელს მეფისნაცვალმა შუამდგომლობა აღმრა, რომ გერმანული კოლონიები საერთო კანონისათვის დაექვემდებარებინათ და მათვის დასახლებისას მინიჭებული პრივილეგიები ჩამოერთმიათ. ამის მიუხედავად, გერმანული კოლონისტები მაინც ინარჩუნებდნენ რა კულტურულ თვითყოფადობას, რუსეთის მეფის კარგი და ლოიალური ქვეშევრდომები გახდნენ, ბევრი მათგანის შვილები რუსეთის არმიაში მსახურობდნენ, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის წინ საყოველთაო გერმანოფობისა და ნერვიული ჯაშუშომანიის სუსტი მათაც მთელი ძალით იწვინის. კოლონიებს გაუკონარი მასშტაბის რეკვიზიციები დაატყდა თავს, ბევრი ღირსეული და ავტორიტეტული კოლონისტი, უმნიშვნელო საბაბით, უდანაშაულოდ ჩააგდეს ციხეში ან ციმბირის გზას გაუყენეს.

ცარისტული იმპერიის დაშლის შემდეგ გერმანულ კოლონიებში თავი იჩინა მოთხოვნილებამ, რომ კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით თავიანთ გერმანულ სამშობლოზე აეღოთ ორიენტაცია. საკუთარი შვილებისათვის გერმანულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა რომ გაეადვილებინათ, გერმანელმა კოლონისტებმა ჩვენი თანადგომით და არცთუ უმნიშვნელო ფინანსური მხარდაჭერით გერმანული რეალური გიმნაზია დააპიროს. ჩვენ საჯარისო ნაწილებიდან აუცილებელი ჰედაგოგები გამოვყავთ. სკოლა დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო გერმანელ კოლონისტთა შვილებში, არამედ ქართველები და რუსებიც სიამოვნებით აგზავნიდნენ თავიანთ ბავშვებს იქ.

გერმანიასა და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობების გამოცემების და გაადვილების მიზნით, თითქმის მარტო გერმანული კოლონიების კაპიტალით, „გერმანულ-კავკასიური ბანკი“



დაარსდა, ერთადერთმა თბილისში გამომავალმა გერმანულმა გაუ-  
ზეთმა – „დი კაუკაზიშე პოსტმა“<sup>44</sup> გერმანელ იფიცერთა და უცხალითება  
რისკაცთა შორის რამდენიმე თანამშრომელიც შეიძინა. უწინარეს  
ყოვლისა ჯარის ნაწილებიდან ასოთამწყობების მივლინებით მას  
კვლავ რეგულარულად გამოსვლის პირობები შევუქმენით.

პოლიკლინიკებისა და მედპუნქტების გახსნით გერმანელი ექი-  
მები საზოგადოების სამსახურში ჩადგნენ და მაღე მოსახლეობის  
ყველა ფენის დიდი მოწონება დაიმსახურეს. გერმანული ჯარების  
გასვლის შემდეგ გერმანული სამხედრო ლაშარეთის მთავარმა ექიმ-  
მა, შტაბის ექიმმა დოქტორმა მერცავილერმა ეს დაწესებულება  
სამოქალაქო საავადმყოფოდ გადააკეთა, რომელიც თავისი არსე-  
ბობის მანძილზე განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა.  
ბოლშევიკების მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ჩეენს მიერ დი-  
დი შრომითა და სიყვარულით შექმნილმა კულტურულმა დაწესე-  
ბულებებმა არსებობა შეწყვიტეს და გერმანული კოლონიებიც მეტ-  
ნაკლებად განადგურდნენ.

პელენენდორფში ჩეენი სტუმრობა მართლაც მშვენიერ და შთამ-  
ბეჭდავ ზეიმად გადაიქცა. საკმაოდ მოზრდილი დასახლება დრო-  
შებითა და გირლიანდებით საზეიმოდ იყო მორთული. სოფლის ფარ-  
თო მოედანზე, სადაც საზეიმო ფორმაში გამოწყობილი მილიცა  
იდგა, ბურგომისტრმა მისასალმებელი სიტყვით მოგვმართა, ბო-  
ლოს ეკლესიაში მიგვიწვიეს და საგალობლის შესრულების შემ-  
დეგ მდვდელი მოგვესალმა. მილიონერი მევენახე გლეხის ფორე-  
რის ოჯახში მართლაც ნამდვილად შვაბიური ყავის სმის შემდეგ  
სოფელი დავათვალიერეთ და ერთ-ერთი დიდი ღვინის სარდაფი  
ვნახეთ. საღამოს, კლუბში, სადაც ორივე სქესის მოზრდილი წარ-  
მომადგენლები შეიკრიბნენ, საზეიმო შეხვედრა გაიმართა, მრავა-  
ლი გულთბილი გამოსვლით, მუსიკითა და სიმღერებით გაჯერე-  
ბულ საღამოზე თვალშისაცემი იყო ლამაზი ქალიშვილებისა და  
ქალბატონების სიმრავლე.

უგვე ორი წელი იქნებოდა, რაც კავკასიელი მევენახეები თავი-  
ანთ მოსავალს ვერ ყიდიდნენ, რადგან მისი რუსეთში გატანის და  
გასაღების საშუალება არ არსებობდა, ამასობაში ახალი მოსავა-  
ლიც კარს იყო მომდგარი და ყველა კასრი პირთამდე ავსებული.  
ჩვენ დიდი რაოდენობის კარგ და მარგებელ, ტანინით მდიდარ კავ-



კასიურ ღვინოებს სასაცილოდ დაბალ ფასებში შევიძენდეთ საჭმა-  
შობლოში წამოსაღებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაოდ დაკუშვრი ზე-  
ეწინით, რომ ცარიელი კასრები გამოეგზავნათ.

ასევე ძალიან გვადარდებდა საქართველოში საწყობებში დაგ-  
როვილი უკანასკნელი ორი წლის თამბაქოს მდიდარი მოსავალი.  
მე საქართველოს მთავრობას თხოვნით მივმართე, რომ მთელი ამ  
მოსავლით სარგებლობის უფლება ჩვენთვის მოეცა. უსასრულოდ  
დიდხანს გაგრძელდა ლოდინი, ვიდრე გერმანული საშემსყიდვე-  
ლო საზოგადოება ბოლოს და ბოლოს წვრილ ებრაელ შემსყიდვ-  
ელს წარმოგზავნიდა. მან ფასები ძალიან გადამეტებულად მიიჩნია  
და ხელცარიელი გაბრუნდა უკან. მეთამბაქო გლეხებს უული აუ-  
ცილებლად ესაჭიროებოდათ და მე არ შემეძლო, გაყიდვაზე აკრძა-  
ლვა დიდხანს შემენარჩუნებინა. იგი მაშინვე შეისყიდეს თურქმა  
ვაჭრებმა და მოვიანებით კი გერმანულმა საშემსყიდველო საზო-  
გადოებამ მათგან ბევრად უფრო მაღალ ფასებში შეიძინა თამბაქო,  
ვიდრე ქართველებისათვის უნდა გადაეხადათ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე შესაძლებლობა მოგვეცა სპ-  
ილენძის დიდი საბადო შეგვეძინა, მაგრამ ბერლინიდან გვაიძულეს,  
ყიდვაზე უარი გვეთქვა, რადგან ამისთვის უფლებამოსილნი არა  
ხართო!

როცა კავკასიას ვტოვებდით, ფოთში მარგანეცის მთები იყო და-  
ხვავებული. ჩვენმა ქვეყანამ ვერ მოაბა თავი, რომ მაღნის ტრანსპ-  
ორტირებისათვის აუცილებელი გემები გამოეგზავნა და იგი ანტან-  
ტის ჩაუვარდა ხელში.

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიაში ყოველდღიური ცხოვრებისა-  
თვის აუცილებელი ფართო მოხმარების საგნების უკიდურესი დე-  
ფიციტი იყო. ჩემს არაერთგზის და დაუინებულ მოთხოვნას, რომ  
გერმანიაში ვერ კიდევ არსებული ფართო მოხმარების საგნებით  
გემი დაეტვირთათ და გამოეგზავნათ, შედეგი არ მოჰყოლია. ჩვენ-  
მა ზედმეტად ორგანიზებულმა ბიუროკრატულმა სისტემამ არ გაა-  
მართლა ამ შემთხვევაში. ეს რომ ებრაელი ფირმისათვის დაევა-  
ლებინათ სათანადო მოგების გარანტით, უეჭველია, ამოცანა გა-  
დაჭრილი იქნებოდა. ამგვარად, გარდაუვალი იყო, რომ მტრული  
აგენტების ზეგავლენის ქვეშ მყოფ კავკასიელებში არც თუ მთლად  
არასწორმა აზრმა მოიკიდა ფეხი და სულ უფრო მეტად ვრცელდე-



ბოდა, რომ ჩვენ, გერმანელები, მათ ქვეყანას სისხლსა ვწოვთ ჟამანათვა  
მათვის ამის გამო არაფრის მიცემა არ გვინდა. რადგან ჩვენ მზრდობით და არაფრის ვყიდდით, ამიტომ მანეთის შოვნისასც ყოველთვის დიდ სიძნელეებს ვაწყდებოდით.

აქედან მე ის დავასკვენი, რომ შორეულ ქვეყნებში მსგავსი ოპერაციების ჩატარების პროცესში, ეკონომიკურ პირობებს და ტრანსპორტურების შესაძლებლობებს უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე ეს ჩვენს შემთხვევაში მოხდა.

ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრაში მეტად ხელისშემშლელი აღმოჩნდა სამშობლოსთან უკიდურესად არახელსაყრელი საინფორმაციო კავშირი; ტელეგრამები ბერლინიდან და ბერლინში ხშირად კვირაობით იყო გზაში. თავიდანვე ჩვენს ხელთ არსებული რადიოგადამცემი კავშირის დამყარების საშუალებას გვაძლევდა მარტოდენ კონსტინტინოპოლისან და არა გერმანიასთან.

ჩემი თხოვნის შემდეგ შძლავრი რადიოსადგური გამოგვიგზავნეს, იგი თბილისის ახლოს დავამონტაჟეთ და პირველი ცნობა, რომელიც გერმანიიდან მივიღეთ, იყო ებერტის<sup>45</sup> განცხადება პრეზიდენტის პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით.



თბილისში მყოფი სომხეთის ერვონული საბჭოს<sup>46</sup> წარმომადგენლის თხოვნით, მე და ჩემი კოლეგა ბარონი ფრანკენშტაინი, რამდენიმე მხლებელთან ერთად, 29 ივლისს ჩვენი რწმუნების სიგელების სომხეთის მთავრობისათვის გადასაცემად ერევანში – სომხეთის პატარა რესპუბლიკის დედაქალაქში გავემგზავრეთ. თბილისიდან ჩვენ შუაღამისას გავედით, რადგანაც ამ ქვეყნებში რკინიგზა არ ჩქარობს, უკვე დღე იყო, როცა მცირე კავკასიონი გადავკვეთოთ. ჩვენი საოცრად ფერწერულ გარემოში ვმგზავრობდით. საათობით მიეგმგზავრები კაცი წარმოუდგენლად ღრმად ჩაჭრილ და ალაგ-ალაგ უფსკრულისებრ შევიწროებულ მდინარის ხეობაში. ვერტიკალურად ჩამოშვებულ ციცაბო კლდეებს ლამაზი, ასაკოვანი ფოთლოვანი ტყეებით დაფარული სერები ენაცვლებიან. მიუხედავად იმისა, რომ თურქმა ფაშამ მგზავრობის ნებართვა წინდაწინ მოგვცა, თურქების მიერ დაკავებული ტერიტორიის საზღვარზე გაგვაჩერეს და ერთი საათი გვალოდინეს, სანამ გზის გაგრძელების



ნებას მოგვცემდნენ. საღამოს 9 საათისათვის ერევანშია წაცელები, სადაც დიდი სამხედრო მიღება მოეწყო, რკინიგზის სადგურზე, რომელიც არა მარტო ცუდად შემოსილი სომხური ჯარის იერ-სახის გამო, არამედ, პირველ ყოვლისა, ყოველგვარი განათების უქონლობის გამო, რაღაც სრულიად განსაკუთრებულ უსიამონო შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ ნამდვილად კეთილი სურვილით ნაკარნახევი იყო. მე ჩემს ადიუტანტთან ერთად იქაური კონიაკის მწარმოებლის კარგად მოწყობილ, კომფორტაბელურ კერძო სახლში მომათავსეს.

ღამის 12 საათზე ერევნის ბურგომისტრმა ჩვენს პატივსაცემად ბაღის რესტორანში სუფრა გაშალა, მდიდრული ვახშმით და შესანიშნავი სომხური ღვინოებით გაგვიმასპინძლდა, მეორე დღეს სადილობამდე შეხვედრები გვქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცოტათი ქალაქსაც გავეცანით. იგი ნამდვილად აზიურ შთაბეჭდილებას ახდენს მნახელზე და მიწისძვრის საფრთხის გამო თითქმის მთლიანად ერთსართულიანი სახლებითაა განაშენიანებული.

მთელი მოგზაურობის ჟეველაზე საინტერესო მოვლენა სომხების პაპთან-კათოლიკოსთან<sup>47</sup> ვიზიტი გახლდათ. მისი რეზიდენცია ეჩმიაძინშია — ერევნის დასავლეთით, დაახლოებით 15 კმ-ით მოშორებულ უძველეს მონასტერში. ლტოლვილთა უთვალავ სადგომს ჩავუარეთ ავტომობილით გვერდით, რომლებშიც თურქებს გამოქცეული, უკიდურეს სიღატაკეში მყოფი სომხები თავს აფარებდნენ და უეჭველი შიმშილით სიკვდილისაკენ მიექანებოდნენ. ჩვენთვის უაღრესად სამარცხვინო იყო, რომ საომარი ვითარება გვაიძულებდა, ისეთ მხეცებთან გვეთანამშრომლა, როგორებიც თურქები იყვნენ და მათ წინააღმდეგ მოქმედება არ შეგვეძლო, როგორც ეს კაცომყვარეობის მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

მონასტერი ძალზე ძველია, მაგრამ ერთობ ნაკლები სილამაზის, საოცარია მხოლოდ ხედები, რომლებიც აქედან იშლება ერთის მხრივ — დიდი და მცირე არარატისა და მეორეს მხრივ — თოვლით დაფარული ალაგიოზისა. ჩვენ გადავჭრით მონასტრის ფართო ეზო, სადაც ათასობით ლტოლვილი დაბანაკებულიყო, ისინი ჩვენს წინაშე მუხლს იყრიდნენ და გვესალმებოდნენ შეძაბილით: „მოგვეცით პური“. შემდეგ, გარკვეული ცერემონიალის დაცვით,



ჩვენ 20-მდე მაღალი რანგის სასულიერო პირით გარემოცულ ქართული თოლიკოსთან შეგვიყვანეს. ეს იყო ლამაზი, დაახლოებით 70 წლის მატივმოსილი მოხუცი გრძელი, კარგად მოვლილი, თოვლივით ქათქათა წვერითა და თმით, საკუთარი მდგომარეობის ღირსებით და მაღალი პასუხისმგებლობით გამსჭვალული – მოკლედ, როგორც ეკლესის საჭეთმკყრობელი წარმოგვიდგენია. რუსოფილურად განწყობილი სომეხი კათოლიკოსი ჩვენში – გერმანელებში საკუთარი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრის მეგობარსა და მოკავშირეს ხედავდა, რის გამოც პასუხისმგებლობას გვაკისრებდა მის მეურვეობას მინდობილთა მწარე წვედრისათვის. ორი მოხუცი ეპისკოპოსი თარჯიმნობდა, რომლებიც ტახტზე მჯდომა კათოლიკოს-მა თითქმის ერთსაათიანი აუდიენციისას ფეხზე დააყენა. ეს მიღება ძალიან ამაღლებელი შემთხვევა იყო ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ, როცა პატარა დარბაზში გარედან შემოჭრილი მონასტრის ეზოში მყოფ ლტოლვილთა ბობოქარი ხმაური, ზღვის მოქცევის დარად, დროდადრო ხან ძლიერდებოდა და ხან მინელდებოდა ხოლმე, მოხუცი მღვდელმთავარი თავისი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის შემაძრწუნებელი აღწერისას ისეთი აღლვებით ლაპარაკობდა, რომ მთელი სხეული უთროდა, ხანდახან იგი ისე აგრესიული ხდებოდა, რომ მეც იძულებული ვიყავი, ძალიან სერიოზული და გადამწყვეტი ტონით მელაპარაკა. არ მოვრიდებივარ, მიმეთითებინა სომხების ღალატზე თურქებისადმი, იმ საშინელებებზე, რომლებიც სომხებმა ჩაიდინეს მუსულმანთა წინაღმდეგ და თურქების ნამოქმედარზე არა ნაკლებ საზარელნი იყვნენ. ბოლოს იმაზე შევთანხმდით, რომ კათოლიკოსს დახმარებისათვის თხოვნით უნდა მიემართა მისი უდიდებულესობა გერმანიის კაიზერისათვის.<sup>48</sup> მე განვაცხადე, რომ მზად ვიყავი, ეს დოკუმენტი მის უდიდებულესობისათვის გადამეგზავნა. შემდეგ კათოლიკოსმა ჩვენი მხლებლების მასთან წარდგენა ინება და ყველანი საღილზე მიგვიწვია, რომლის დროსაც იგი მეტად თავაზიანად და ყურადღებით გვმასპინძლობდა.

მონასტრის მდიდარ და უაღრესად საინტერესო ბიბლიოთეკაში სტუმრობის შემდეგ ჩვენ ერევანში დატბრუნდით და იქ სხვადასხვა სახის მოღაპარაკებანი გავმართეთ სომხეთის მთავრობის წევრებთან. საღამოთი საყოველთაოდ მიღებული ბანკეტი გაიმართა – მრავალი ტყვაობითა და შესანიშნავი ღვინოებით. შუაღამისას,

ჩემს მხლებლებთან ერთად, მე ერევნიდან გამოვემგზავრე, ფრანკენშტაინი კი იქ დარჩა, რომ მეორე დღეს სომხეთის პარლამენტის გახსნას დასწრებოდა.

სომხეთის მდგომარეობა, ფაქტობრივად, მართლაც ძალიან საეჭვოდ გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც ჩვენ თურქებს სომები ხალხის დარჩენილი ნაწილის ამოწყვეტაში ხელი შევუშალეთ, მათ ახლა მთელი ხალხის განადგურება უკვე შიმშილის მეშვებით სურდათ. სომხებს იმ მცირე დარჩენილ ტერიტორიაზე, ჯერ თავისი 700 ათასი მცხოვრების გამოკვებაც რომ არ შეეძლო, ახლა კიდევ ნახევარი მილიონი ლტოლივი დაემატა, რომლებმაც მთელი ავლადიდება დაკარგეს, შეტევაზე გადმოსული თურქების შიშით საცხოვრებელი კერიდან აიყარნენ და ახლა შიმშილის, სიცივის, ავადმყოფობებისა და ეპიდემიებისაგან იხოცებოდნენ. ჩვენი ყველა მცდელობა, გვეიძულებინა თურქები, რომ ლტოლვილი სომხებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ, ამაო გამოდგა. ისინი უსაფუძლო არგუმენტს იშველიებდნენ, ლტოლვილთა დაბრუნება თურქეთის არმიას საფრთხეს უქმნისო. ასეთი პოზიცია არა მარტო ულმობელი და არაადამიანური, არამედ არაგონივრულიც იყო, ვინაიდან თურქები მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ვერ ახერხებდნენ მდიდარი მოსავლის აღებას.

ჩვენ სომხებს ვეხმარებოდით მარცვლეულით, მედიკამენტებით, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენი შეზღუდული საშუალებები გვაძლევდა, მაგრამ ყველაფერი, რისი გაკეთებაც ჩვენ მოვახერხეთ, წვეთი იყო მხოლოდ ზღვაში.

დოქტორ იოჰანეს ლეპსიუსის<sup>49</sup> ნაშრომში „გერმანია და სომხეთი 1914-1918“, რომელიც 1919 წელს გამოსცა ჰოტსდამის „ტემპელფერლაგმა“, 402 და შემდეგ 410, 420, 423, 428, 431, 432 და 435-ე გვერდებზე გადაბეჭდილია ჩემი მოხსენები, რომლებიც მე მაშინ რაიხსკანცლერს და საგარეო საქმეთა სამინისტროს გავუგზავნე.

პრემიერ-მინისტრი უორდანია შეშფოთებას ვერ ფარავდა იმის გამო, რომ რუსებისაგან წაქეზებული მღელვარებანი შეიძლებოდა დაწყებულიყო და ჩვენს — გერმანელების წინააღმდეგ თავდასხმები განხორციელებულიყო. მე მას შევთავაზე, არასაიმედო ელემენტები, რაც შეიძლება მეტი, ფოთში დაცლილი გემებით სევასტოპოლისში მდიდარი მოსავლის აღებას.



ოლისაკენ გაეგზავნა. მოვახერხეთ კიდეც რამდენიმე ტრანსპორტის გაშვება, მაგრამ ლუდენდორფის ბრძანებამ მოგვისწრო, რესურსების ტრანსპორტირება შეგვეწყვიტა, დაახლოებით 2000 რუსს, რომელიც ამ ბრძანების მოსვლის მომენტში უკვე გემზე იჯდა, სევასტოპოლში მიღებაზე უარი უთხრეს და ისევ უკან დააბრუნეს კავკასიაში. ნაცვლად იმისა, რომ ამ საცოდავებს სამშობლოში დაბრუნებაში დავხმარებოდით, ჩვენ ისინი უფრო უარეს დღეში ჩავაგდეთ. კარგი იქნებოდა, ამ ხალხის მოსმენის სურვილი ჰქონოდათ მათ მშობლიურ სახელისუფლებო ინსტანციებს, კიდრე ისეთ ბრძანებას გასცემდნენ, რომლის მოსალოდნელი შედეგების შეფასება სრულიად არ შეეძლოთ!



ჩვენსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის თანდათანობით აეწყო საზოგადოებრივი ურთიერთობები. თბილისში ჩამოსკლიდან რამდენიმე დღეში საქართველოს მთავრობამ თავადაზნაურთა კლუბის პარკისმაგვარ ბაღში ჩვენს პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომელზეც რამდენიმე ასეული კაცი იყო მოწვეული, მათ შორის – ადგილზე მყოფი ყველა გერმანელი, ავსტრიელი და ბულგარელი სტუმარი. საღამოს ცხრა საათისათვის ვიყავით მოპატიუებულნი. თავიდან, ბრწყინვალე დელიკატესებით და სპირტიანი სასმელებით გაწყობილ მაგიდებთან ფეხზე მდგარნი მივირთმევდით ყველანი ერთად „ზაკუსკას“, შემდეგ ადგილები დავიკავეთ ღია ცის ქვეშ გაწყობილ უზარმაზარ, ყვავილებით უხვად შემკულ მაგიდებთან. თვითონ მე პრემიერ-მინისტრის გვერდით ვიჯექი, საჭმელი ნამდვილად შესანიშნავი იყო, მაგრამ ისე ნელ-ნელა მოქონდათ, რომ საათნახვარ-ორ საათს სუფრასთან ჯდომა გვიწევდა. თანდათან მშვენივრად აგრილდა, რაც თაკარა, სიცხიანი დღის მერე ნამდვილი ნეტარება იყო. უმშვენიერესი მუსიკის ჰანგები, ეროვნული სიმღერები ბრწყინვალე გუნდების შესრულებით და ეროვნული ცეკვები ამოკლებდნენ შუალედებს ცალკეულ კერძებს შორის. მოცეკვავეთა შორის – სრულდებოდა წყვილის, ან მამაკაცის სოლო საჩვენებელი ნომრები – იმყოფებოდნენ სამხედრო ფორმიანი ბრიგადის მეთაური და სმოკინგში გამოწყობილი პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი. ცეკვები ძალიან გრაციოზული და მოხდენილი, ხანდახან

კი წმინდა აკრობატული იყო. საკავალერიო პოლკის ჯარისკაცებს  
მა შეასრულეს ცეკვა ზანჯლებით.

უორდანიამ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ფრანგულ ენა-  
ზე. მე ქარაფშუტულად მომივიდა, წინასწარ არ მოვმზადებულვარ  
და საპასუხო სიტყვის წარმოთქმა, ასევე ფრანგულად, იმპროვი-  
ზებულად მომიხდა.

სიტყვა ძალიან კარგი გამოვიდა და არაჩვეულებრივად მქუხა-  
რე აპლოდისმენტები გამოიწვია. ასე იზრდება ადამიანი თავის მა-  
ღალ მიზნებთან ერთად. ამას გარდა უამრავი სხვა სიტყვებიც იყო:  
კარგად და ბევრი ღვინო შეისვა. მე შესაძლებლობა მქონდა, ბევრ  
სხვა ამდაგვარ გულუხვ საზეიმო სუფრასაც დავსწრებოდი. ოპო-  
ზიციური გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენს პატივსაცემად გა-  
მართული საზეიმო მიღება 40 ათასი მანეთი დაჯდაო, რაც მაშინ-  
დელი არანორმალურად დიდი ფასების და რუბლის გაუფასურე-  
ბის პირობებში საესებით შესაძლებელია. ასეთი შემთხვევის დროს  
პატივცემულ მინისტრებს სრულიად ავიწყდებოდათ, რომ ისინი სო-  
ციალ-დემოკრატები იყვნენ.

რუსეთის არმიის ყოფილი გენერლის გაბაევის<sup>50</sup> —ძალზე ავ-  
ტორიტეტული, ღირსეული და განსაკუთრებულად თავაზიანი ძვე-  
ლი ყაიდის ქართველის — მიპატიუებამ ჩვენ შესაძლებლობა მოვკ-  
ცა, ქართველების სტუმართმოყვარეობას ოჯახში გავცნობოდით.  
ეს წვეულებაც მხოლოდ საღამოს 10 საათზე დაიწყო. ისინი,  
ჩვეულებრივ, ალიონამდე გრძელდება ხოლმე და დიდ მოთხოვნებს  
უყენებდა მონაწილეთა სმისუნარიანობას. ზოგიერთ ჩემს მხლე-  
ბელთაგან განსხვავებით, მე ამ პირობებს სავსებით ვაკმაყოფილებ-  
დი. დიდი მსგავსება ვნახე ქართველების და ჩვენებური სტუდენ-  
ტური ღვინის სმის ნორმებს შორის. ბევრი სასმისის დაცლა, საჯ-  
არიმოების შესმა და სხვა ამდაგვარი, თამადის მეთაურობით, ქარ-  
თველებში ჩვეულებრივი ამბავია. ამ დროს ხმარებაში იყო ძველე-  
ბური ქართული, სპეციფიკური სახის, კოვზისმაგვარი, კეთილშო-  
ბილი ლითონისაგან დამზადებული სასმისები.

განსაკუთრებით პურმარილიანი იყო შამპანურების და კონია-  
კების მეწარმის, მდიდარი სომეხის, ანანოვისა<sup>51</sup> და მისი ახალგაზ-  
რდა ლამაზი ცოლის, რუსი გენერლის ქალიშვილის სახლი. ანა-  
ნოვს თბილისიდან ავტომობილით ერთი სათის სავალზე, კოჯორ-

ში, მაღლობზე, მიმზიდველ სტილში აგებული ხის დიდი სააგარაკო ქონი სახლი პეტრებია, სადაც ჩვენ მეტ-ნაკლებად მშვენიერი ქალბაშლით ტონებისა და გოგონების გარემოცვაში, შამპანურებითა და ცეკვებით უამრავი სიამოვნება განვიცადეთ. ტაფობში გაშენებული თბილისის სულისშემხუთველი სიცხის მერე უდიდესი შვება იყო მცირე კავკასიონის მთისწინეთის მაცოცხლებელი გრილი პარაზის ჩასუნთქვა. ციცაბო ბორცვისაკენ მიიკლაკნებოდა არაუშავს გზა, რომლის ორივე მხარეს მობიბინე პურის ყანები და ყვავილებით უხვად მოკაზმული მდელოები გადაშლილიყვნენ.

როცა ჩემს გამგზავრებამდე ანანოვის ოჯახს გამოსამშვიდობებელი ვიზიტით ვეწვიე, სალონში ვერ მიმიღეს, რადგან იქ უკვე ჩემი და ჩვენი მემკვიდრეობა ინგლისელ ოფიცრებს დაეჭირათ! დამახასიათებელია კავკასიის მაშინდელი ვითარებისათვის. შემდეგი პატარა შემთხვევაც: როცა ერთხელ ანანოვთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე მივდიოდი, ჩვენ ერთი პიროვნება შემოგვხვდა, რომელიც თავისი კარგი შესახედაობით და ზღაპრული ელეგანტურობით თვალში მომხვდა. ბ-ნი ანანოვიც ხაზგასმული თავაზიანობით მიესალმა მას. ჩემს კითხვაზე, თუ ვინაა ეს ბატონი, ბ-ნმა ანანოვმა მიპასუხა: „ეს არის თავადი „X“. იგი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ყაჩაღია, ორი წლის წინ მან მთებში დამიჭირა, თავის სასახლეში წამიყვანა და ძალიან დიდი გამოსასყიდი თანხა გამომძალა. მე ტყვეობის განმავლობაში, როგორც სტუმარს, დიდი პატივით მექუეოდნენ, მაგრამ უეჭველად დავიღუპებოდი, გამოსასყიდი რომ არ გადამეხადა“. ჩემს კითხვაზე, განთავისუფლების მერე რატომ არ განუცხადა ამ კაცზე ხელისუფლებას, ანანოვმა მომიგო: „მე არც კი დავფიქრდებოდი, ამას გავაკეთებდი, მაგრამ ხელისუფლებაში რომ განმეცხადებინა, დღეს ჩემი ოჯახის არცერთი წევრი ცოცხალი არ იქნებოდა“. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობისას ანანოვს ოჯახთან ერთად ქეენის დატოვება მოუხდა, აქედან მოყოლებული, ისინი ნამდვილად ღარიბულ პირობებში ცხოვრობენ პარიზში.

რამდენადაც კავკასიელები და, განსაკუთრებით – რაინდული სულისკვეთების ქართველები თავაზიანი და სტუმართმოყვარენი არიან, იმდენად არაჩვეულებრივად მოქანცველია სამუშაოდ განწყობილი კაცისათვის მათი ქეიფები და ხალისიანი საღამოები. ყო-



ველი სუფრა გათენებამდის გრძელდება და ძალიან ბევრი ლიტერატურის უნდა სვა კაცმა, შესაბამისად, სამუშაო დღეც გვიან იწყება ასახულისა საათამდე უმაღლესი თანამდებობის პირებს ვერ ნახავდი სამსახურში და ნასადილებს, უმეტეს შემთხვევაში 3 საათისათვის, ყველაფერი მთავრდებოდა.

თბილის მართლაც შესანიშნავი თეატრი ჰქონდა. მთავრობამ მე იქ ლოუა გამომიყო, სადაც ხანდახან ოპერას ვისმენდი, ანდა ბალეტს ვუყურებდი. მე აქ შევხვდი მიუნხენიდან ჩემთვის კარგად ნაცნობ მხატვარ ზალცმანს, რომელიც თეატრის სამხატვრო კონსულტანტი იყო.

მეფის დროს გენერალი ტამანშევი მუშაობდა ინტენდანტად. მისმა ინტელიგენტურმა, ძალიან მოხერხებულმა და არისტოკრატიულმა მეუღლემ — ასაკშეპარულმა ლამაზმანმა კლუბი გახსნა, სადაც კარგი საზოგადოება იყრიდა თავს და რომლის მუშაობაც მას ცოტაოდენ მოგებას უტოვებდა, ჩვენ იქ დრდადრო ყავას მივირთევდით და მის ნახელავ ნამცხვარსაც შევექცეოდით. ტამანშევის სახლში საუზმე მთლიანად ევროპულ ყაიდაზე მიდიოდა ხოლმე და მაღალი წრის სტუმრებითაც გამოიჩეოდა.

როცა მე, ჩვენი თბილისში ყოფნის დასასრულს, საღამოთი თეატრში წასვლა მოვინდომე, ლოუის მორიგე ქალმა შიშით გულგახეთქილმა მიმითითა გარდერობში დაკიდებულ პალტოებსა და ქუდებზე, რომლებიც ინგლისელ ოფიცრებს ეკუთვნოდათ. ისე, რომ ჩემთვის არც უცნობებია, მთავრობამ ჩემი ლოუა ამასობაში თბილისში ჩამოსულ ინგლისელ ოფიცრებს გადასცა. ეს იმ შემთხვევათა რიგს განკუთვნებოდა, როცა ჩვენ მთავრობაში მოსული უბრალო ხალხის ტლანქი მანერების და მიუხვედრელობის გამო უსიამოვნო სიტუაციაშიც აღმოვჩენილვართ ხოლმე. თავისი დასაბუთებული მიზეზი ჰქონდა იმას, რომ ადრე დიპლომატია მაღალი საზოგადოებრივი წრეებიდან იღებდა შევსებას. ჩემი მწვავე საჩივრის გამო მინისტრმა ბოდიში მოიხადა და ყველაფერი თავის ერთ-ერთ მდივანს გადააბრალა.

ჩემს სახლშიც იმართებოდა ხალისიანი საღამოები. კვირის განმავლობაში ბევრჯერ მყოლია სტუმრები სადილობისას, ანდა ვახშმად. გვარიანად მოწყობილი ბინა და წარმომადგენლობის ხარჯებისათვის განკუთვნილი საჭირო ფული, მიუხედავად მაღალი ფა-

სებისა, საშუალებას მატლევდა ხელგაშლილი კონფილიციავი სტუმ-რების მიღებისას. შულენბურგი, ლერსნერი და ბოტინგერი სადღესაცმლად ჩემი მუდმივი სტუმრები იყვნენ. ცნობილი გერმანელი და თურ-ქი მოღვაწების ხშირი ვიზიტები გამუდმებულ საბაბს იძლეოდნენ სტუმრების მოწვევისათვის, რასაკვირველია, ჩემთან სტუმრობდნენ ხელმძღვანელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები და მაღალი რანგის გერმანელი ოფიცრები, სამწუხაროდ, იძულებული გავხ-დი, თავიდან ჩემს მიერ მოწვევული რუსი მზარეული გამეგდო, რო-მელიც ბრწყინვალე საჭმელებს აკეთებდა, მაგრამ უსირცხვილოდ ქურდობდა, სამაგიეროდ მისი შემცვლელიც არ გახლდათ ნამდვი-ლად ურიგო პიროვნება. მგონია, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილ-ზე არ მიცხოვრია ისე კარგად, როგორც თბილისში ხანმოკლე ყოფ-ნისას. კავკასიაში ყოფნისას, მიუხედავად ზაფხულის პაპანაქება სიცხისა, ჯანმრთელობის მხრივაც, ძირითადად, კარგად ვგრძნობ-დი თავს — განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ბევრი წვალების მერე ცხენი ვიშოვე და დილაობით ვჯირითობდი. სამწუხაროდ, ყვ-ელა ჩემი თანმხლები ვერ იტანდა თბილისის ჰავას და ბევრ ალკო-ჰოლს, ამიტომ ჯარში ავადმყოფთა რიცხვი საკმაოდ მაღალი იყო. მინდა ვირწმუნო, ამაში კლიმატურ პირობებს უფრო ნაკლები ბრა-ლი მიუძღვდა, ვიდრე ცხოვრების არაგონივრულ წესს.

განსაკუთრებულად საძნელო და საჩოთორო საკითხი იმიერკა-ვკასიელთა და მთიელთა სურვილებისადმი ჩვენი დამოკიდებულე-ბა იყო. მათ თავდაპირველად მხარდაჭერის თხოვნით თურქებს მი-მართეს, რომლებმაც ფართომასშტაბიანი დახმარება აღუთქვეს. სა-ვსებით შეესაბამებოდა ენვერის თურანისტულ იდეებს ის, რომ იგი უმეტესად მუსულმანურ მთის ხალხებს არა მარტო ინსტრუქტო-რებს, იარაღსა და ტყვია-წამალს შეპირდა, არამედ თურქული დი-ვიზიის გაგზავნაც აღუთქვა სამომავლოდ.

რუსეთთან ახალ ოში რომ არ ჩავეთრიეთ, თურქები უნდა შე-გვეჩერებინა, მაგრამ ინსტრუქტორების გაგზავნისათვის ხელის შეშლა არ შეგვეძლო და არც გვსურდა. ეს სრულიად საკმარისი გამოდგა, რომ წლის ბოლომდე მართლაც შესამჩნევად გაციებუ-ლიყო მთიელთა სიმპათიები თურქი მეგობრების მიმართ, როგორც ეს, ძალიან უბრალოდ, აზერბაიჯანშიც მოხდა.

თბილისში ყოფნის მანძილზე მუდმივად გვეხვივნენ გარს ჩრდი-



ლოკავებასიელ და მთიელ ხალხთა წარმომადგენლები და ჩვეულებები, რომლებიც უკვე ჩვენგან მოითხოვდნენ და ხმარება უშესებების თურქებს არ ვაძლევდით ამის ნებას. „ჩვენ დამოუკიდებლობა გვ-სურს, ჩვენთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, თქვენ თუ თურქები ან ორივე ერთად მოგვეხმარებით. ჩვენ გვსურს თავისუფლება და არ გვინდა, დამოკიდებული იყოთ არც თქვენგან, არც თურქებისაგან და არც რუსებისაგან. თუ თქვენ არ დაგვეხმარებით, მაშინ ჩვენ ყველა დროისათვის სამუდამოდ დაკარგულები ვართ“<sup>1</sup>. შემაძრწუნებელი იყო ადამიანების უბედურებისა და სასოწარკვეთილების ხილვა, როცა მათთვის უნდა ამებსნა, რომ საერთო მდგომარეობა და მატერიალური სახსრები იმ დროს მათი სურვილების აღსრულების საშუალებას არ გვაძლევდა.

დაზავებამდე ცოტა ხნით ადრე მიღწეული შეთანხმების მიხედვით, გერმანიის დელეგაციის მეთაურმა ივალდებულა მთიელთა რესპუბლიკაში გასაგზავნად წესრიგისა და სიმშეიდის შენარჩუნებისათვის გერმანული ჯარები გამოეყო და საკუთარ მთავრობასთან ეშუამდგომლა, რომ მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გერმანიისა და მისი მოკავშირებისაგან, ასევე რუსეთისაგანაც, აღიარებული ყოფილიყო და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დარეაულირების მიზნით სახელმწიფო ხელშეკრულებები დადებულიყო. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ხელი შეუშალა მომზადებული ხელშეკრულების პროექტის ხელმოწერას.

ბაქედან მაზუთის მოწოდების შეწყვეტამ ქართველები აიძულა, რკინიგზის მუშაობა ქვანახშირით გათბობაზე გადაეცვანათ. კაპიტან გემოლის და მისი თანამშრომლების სიმარჯვისა და სიბეჭითის მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ სარკინიგზო სისტემაზე სასურველი გავლენის მოპოვება. ამ საქმეში ჩვენ წინააღმდეგობებს წავაწყით, რომლებიც ნაწილობრივ რკინიგზათა მინისტრის პიროვნებით, ნაწილობრივ — რკინიგზელთა განსაკუთრებით, ერთიანი და მკაცრად დისციპლინირებული სოციალისტური ორგანიზაციების წინაშე მთავრობის შიშით იყო გამოწვეული. იმის მერე, რაც დიდი წვალებით შევძელით ლოკომოტივების მაზუთისაგან ქვანახშირზე გადაკეთება, გამოირკვა, რომ უფრო მოხერხებულ მაზუთით გათბობაზე მომუშავე განებივრებული ცეცხლფარეშები ნა-



ხშირით გათბობის ფიზიკურ დატვირთვას ვერ უძლებდნენ. ამასთავად თან, არცთუ საქართველოს მთავრობის ბრალის გარეშე, ხელა დაწყებული გაფიცვები ქვანახშირის მაღაროებში რკინიგზის მომარაგებას მეტად საჭირო ნახშირით საეჭვოს ხდიდა. მალე რკინიგზა ჩვენს მტკიცნეულ ადგილად გადაიქცა და თანაც – ხანგრძლივი დროით.

მე ადრიანი დილიდან გვიან საღამომდე მთხოვნელთა მიღებით ვიყავი დაკავებული, ვისმენდი მათს პროტესტებს, საჩივრებს და ხვეწია-მუდარას.

თათრები უჩიოდნენ ქართველ სამხედროებს (მათ თათრული სოფლების განიარაღება ჰქონდათ დავალებული), რომ ისინი თავიანთ ძდგომარეობას ქურდობისა და ძარცვა-გლეჯისთვის იყენებდნენ.

ეროვნულ-დეკოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას. მაღალჩინოსანი ქართველი ოფიცრები მთხოვდნენ, დავხმარებოდი მათ „წითელი გვარდიის“ წინააღმდეგ, რომელსაც მთავრობა ყველაფრით ეხმარება, მაშინ, როცა არმიისათვის არაფერი არსებობს.

ქართველი დიდგვაროვანი პიროვნება, რომელსაც საქართველოს მთავრობამ უკრაინაში პურის ფქვილის შესყიდვა დაავალა, სარეკომენდაციო წერილს მთხოვდა იქაურ გერმანულ უწყებებთან. გერმანელთა ეროვნულ საბჭოს ჩემი მხარდაჭერა იმაში სჭირდებოდა, რომ არ დაეშალათ მიღიცია გერმანულ კოლონიებში. საქართველოს კათოლიკეთა დეპუტაცია მთხოვდა მათ თანამორწმუნეთა დაცვას თურქთა ჩაგრისაგან. თბილისში აკრედიტებულმა აზერბაიჯანის დესპანმა ბ-ნმა ჯაფაროვმა – ძალზე მოხერხებულმა და საქმიანმა კაცმა – მთხოვა, შუამავლობა გამეწია აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს შორის სასაზღვრო უთანხმოებათა გამო. ამ საქმის მოგვარებას თითქმის აღარაფერი უკლდა, რომ მე ისევ ორივე მთავრობას შორის შუამავლობამ მომიწია, რადგან ისინი რუსეთის ქონების მექვიდრეობის საკითხზე ურთიერთს ექიმპებოდნენ.

სომხების ეროვნული საბჭოს დელეგატები თურქების მიერ ახლადჩადენილ საშინელებათა შესახებ მომახსენებდნენ და თან დახ-



მარებას მეხვეწებოდნენ. ისინი დიდი წუხილითა და შეშფრთული ლაპარაკობდნენ სომეს ლტოლვილთა შორის მოდებულ სხვადასტუმყავა ვა გადამდებ სწეულებებზე.

ვინმე თურქმა ოფიცერმა საქართველში დიდი რაოდენობით ლობიო შეიძინა. ახლა ის მოდის ჩემთან და მე საქართველოს მთავრობისგან საექსპორტო ლიცენზია უნდა გავუხერხო, ამ დროს კი თურქებმა მათ შეირ დაკავებული ტერიტორიებიდან ყოველგვარი ექსპორტი აკრძალეს საქართველოს მიმართულებით.

ეროვნულ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი ქართველი ოფიცერების ერთ-ერთ წარმომადგენელს დიდხანს ვუხსნიდი, რომ მას და მის მეგობრებს პატრიოტული ვალი აკისრებთ, გვერდით ამოუღგნენ მთავრობას ახალი არმიის ჩამოყალიბების საქმეში და გზა დაუხშონ გამოუსადეგარ ელემენტებს ოფიცერთა თანამდებობებზე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან საუბრისას ისევ და ისევ მათი ღრმა იმედგაცრუება იჩენდა ხოლმე თავს იმის გამო, რომ მე საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ამბებში უფრო რადიკალურად არ ვერეოდი და მხარს არ ვუჭერდი მათ ბრძოლას სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ისე, საშინაო პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატები, სხვათა შორის, მწვავე ოპოზიციაში ედგნენ მთავრობას და მაინც ძალიან მოსაწონი იყო, რომ ყველა ეროვნულ და საგარეო პოლიტიკურ საკითხში ყოველგვარი ოპოზიცია დუმილს არჩევდა.

თბილისში მცხოვრები გერმანიის იმპერიის მოქალაქეები მოხვდნენ, რომ გერმანული კლუბის დაფუძნებაში დავხმარებოდი მათ. კაზაკთა ოფიცერი ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე მე-საუბრებოდა და ამტკიცებდა, ბოლშევიკების საქმე წასულია და კაზაკები გერმანიისადმი მეგობრულად არიან განწყობილიონ. გერმანელ ინჟინერს სვერა, რომ საქართველოში, ნატანების ახლოს, სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ნავთობის საბადოს მიაგნო და სახელმწიფო მხარდაჭერას ითხოვს. ნური-ფაშას შტაბის ოფიცერი მგზნებარე პროტესტს გადმომცემს, რადგან ქართველებს – ისე, რომ არ ვიცოდი – ულტიმატუმის ფორმით მოუთხოვიათ აზერბაიჯანის ჯარის უკან დაწევა სადაო სასაზღვრო პუნქტიდან და აზერბაიჯანელებს განიარაღებითაც დამუქრებიან.

ეორდანია „კაუკაზიშე პოსტის“ განწყობილების გამო შე-

მომჩივის და მის ანტისოციალისტურ პოზიციაში ქართველი სოციალ-დემოკრატების გერმანელებისადმი გაღიზიანებული დამწევლითია კიდებულების მთავარ მიზეზს ხედავს. ჩემს მიერ ხელახლა დას-მული საკითხის – „წითელი გვარდიის“ დაშლის თაობაზე კი მას გაგონება არაფრის უნდოდა.

რუსი გენერალი, ვისზედაც ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოს მთავრობის და გერმანელების წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ინტრიგების „spiritus rector“-ი<sup>52</sup> იყო, მოვიდა ჩემთან და მთხოვა, მიმეღო ზომები ქართველთა მიერ დატყვევებული მისი მეგობრების განთავისუფლებისათვის. გულის ამაჩუყებელი სიტყვებით აღწერა ის სიღატაკე, რომელშიც კავკასიაში უკან შემობრუნებული რუსი ოფიცირები და მათი ოჯახები ცხოვრობდნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული ოპოზიციის მეთაურთან ბ-ნ სპირილონ კედიასთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დამაღონებელი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ პარტიის წევრებს ყოველგვარი ორგანიზატორული ნიჭი, ყოველგვარი ენერგია და შემოქმედებითი ხალისი ეკარგებოდათ და ფუჭსიტყვაობაში იხარჯებოდნენ. ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების მიღწევა ევოლუციის და არა რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მკაცრი პარტიული ორგანიზაციის, მიზანმიმართული პროპაგანდის, მათი მისწრაფებების მხარდამჭერი პარტიული პრესის დაფუძნებისათვის სახსრების გამოძებნის საშუალებით პრაქტიკულად ემუშავნათ, ეროვნულ-დემოკრატების მოღვაწეობა უნაყოფუ მეოცნებებით, კრიტიკითა და დეკლარაციებით ამოიწურებოდა, მმართველი პარტიის ტერორით შეშინებულები, ისინი მთელ იმედებს უცხო ძალის დახმარებაზე ამყარებდნენ, უხვნელ-უთესეველად სურდათ მოსავლის მოწევა. რამდენადაც მგზნებარე იყო ქართველების მისწრაფება დამოკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, იმდენად ნაკლებმომწიფებული იყვნენ ისინი აქედან გამომდინარე ამოცანების გადასაჭრელად. მიუხედავად მათი მარქსისტული თუ რეაქტიული განწყობილებისა, ჯერ კიდევ არ პყავდათ კვალიფიცირებული ხელმძღვანელი კადრები.

ქართველი თავადაზნაურობის მოზრდილი დეპუტაცია გორის რაიონიდან – გიოც ფონ ბერლიზინგენის<sup>53</sup> ყაიდის ტიპები – შუ-



ამდგომლობას მთხოვდა მთავრობასთან. ამ ხალხს არ შეეძლოთ თავიანთ მამულებში დაბრუნება, რადგან ეშინოდათ, რომ გლუქუსი მოკლებულნი, ისინი ოჯახებთან ერთად რეალურად შიშილობდნენ. მათ უნდა დავხმარებოდი, რომ სულ მცირე საიჯარო პროცენტი მაინც მიეღოთ გლეხებისაგან, რომელთაც ეს ვალი რევოლუციის წინა პერიოდიდან ჰქონდათ. მე ამ საქმეზე ვესაუბრე შინაგან საქმეთა მინისტრს რამიშვილს და სერიოზული შენიშვნებიც მივეცი, მაგრამ ნაკლებ გაგებასა და თავაზიანობას წავაწყდი.

ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ბ-ნი კუჩეკი მეწვია კიევსა და როსტოვში თავისი ვიზიტების დასრულების შემდეგ. იგი მიმტკიცებდა, რომ იქაური გერმანული უწყებებისაგან თითქოს გარანტია ჰქონდა, რომლის თანახმადაც გერმანია მის რესპუბლიკას ფულით, იარაღითა და ტყვია-წამლით ფართო-მასშტაბიან დახმარებას აღმოუჩენდა. მე კი — შოვლენათა უშუალო მონაწილეს — არც საგარეო საქმეთა სამინისტრომ და არც OHL-მა ამის თაობაზე რაიმე ინფორმაცია არ მომაწოდა, თუმცა, რასაკვირველია, სრულებით არაა უეჭველი, რომ ბ-ნმა კუჩეკმა სიმართლე თქვა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბ-ნი უკრული — გარეგნულად სიმპათიური კაცი, მაგრამ სავსებით უმნიშვნელო ფიგურა — მეწვია და დამიხასიათა საქართველოს უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ბოლოს მთხოვა, დავხმარებოდი, რომ გერმანიიდან საქართველოში ფინანსურ საკითხებში მრჩეველი გამოვზიარდათ. ამ საქმის მოვარებას მე მას დიდი ხალისით დავპირდი, ვინაიდან ფინანსურ საქმეებში, განსაკუთრებით კი გერმანულ-კავკასიური ბანკის დაარსების საქმესთან დაკავშირებით, კომპეტენტური მრჩევლის ნაკლებობას მეც მტკიცნეულად განვიცდიდი.

თბილისში ცველაზე აეტორიტეტული გერმანელი ბ-ნი არტურ ლაისტი<sup>54</sup> „კაუკაზიშე პოსტის“ აუცილებელი რეორგანიზაციის საქმეში საჭირო დახმარებას მთხოვდა და ა. შ. მე ამ პატარა წვრილმანი ამბების თაობაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ადვილად წარმოიდგინოთ, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები. ჩვენდამი — გერმანელებისადმი გა-



ცხადებული დიდი ნდობა, რომ ადამიანები ყოველი მხრიდან თავის  
ანთი საზრუნავით, გასაჭირითა და სურვილებით მოგვმართავდნენ ჩატარებული  
რამდენადაც სასიამოვნოა, იმდენად დიდ მოთხოვნებს გვიყენებდა  
და არაერთგზის უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილვართ, ვი-  
ნაიდან სწორედ კეთილი ნებით არ შეგვეძლო იმ დახმარების გაწე-  
ვა, რასაც მოელოდნენ და იმედოვნებდნენ ჩვენგან. ჩემი სამუშაო  
დღე ადრიან დილით ექვს საათზე იწყებოდა და ხშირად გვიან ღა-  
მით მთავრდებოდა.



აგვისტოს პირველ დღეებში გემმა „კორკოვადომ“ ბავარიელი  
ობერლეიტენტის აშენაუერის მეთაურობით პოლკის შტაბი, ეგერ-  
თა 2 ბატალიონი და 2 ბატარეა (ცხენების გარეშე) ჩამოიყანა.  
დამატებით კიდევ ერთი ბატარეა და ტანკსაწინააღმდეგო დივიზი-  
ონი უახლოესი ტრანსპორტით უნდა ჩამოსულიყვნენ. 28-ე ავია-  
დივიზიონი წინა ტრანსპორტით ჩამოვიდა და თბილისის ახლოს  
ქართული საფრენოსნო სკოლის აეროდრომზე განლაგდა.

4 აგვისტოს თბილისში საქართველოს მთავრობასთან სახელ-  
მწიფო ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის არმიათა ჯგუფის უმაღლესი  
მთავარსარდალი ჰალილ-ფაშა, რომელსაც თითქოს მომავალ გა-  
ზაფხულზე ბაღდადი უნდა გამოეგლიჯა მტრისთვის ხელიდან. მე  
მას ჩამოსვლისთანავე რკინიგზის სადგურზე შევხვდი: ჰალილი და-  
ახლოებით 35 წლის, იმვიათად კარგი შესახედაობის და თავაზია-  
ნი თურქი, ენგერ-ფაშას ბიძა. ჭკვიანი და მოხერხებული —  
ხალისიანი ბუნებისა და გერმანელთა მიმართ, არა აშკარად, მტრუ-  
ლად განწყობილი. ვინაიდან „ახალგაზრდა თურქ“ ოფიცერთა უმე-  
ტესობის მსგავსად ისიც ძალიან სწრაფად დაწინაურდა — საფუძვ-  
ლიანი პროფესიული ოსტატობა და ცოდნა აკლდა. ჩანდა, მას საკ-  
მარისი კეთილი ნება გააჩნდა ჩვენთან და ქართველებთან ურთიერ-  
თგაგების მიღწევისათვის. მისი შტაბის უფროსი, ძალიან უნარია-  
ნი და საქმის მცოდნე, ბავარიის გენშტაბის პოდპოლკოვნიკი პარა-  
ქვინი, აშკარად მისი ნდობით სარგებლობდა და კეთილისმყოფელ  
ზეგავლენას ახდენდა მასზე.

საქართველოს მთავრობამაც და მეც თავმომწონე ფაშას ძალიან  
ვასიამოვნეთ. თავის მხლებლებთან ერთად იგი ორჯერ იყო ჩემთან

სუფრაზე და საქართველოს მთავრობაშაც გამართა მის პატივსაცემად თავისი ერთ-ერთი დიდი მიღება.

ამ ბანკეტზე მოვიდა ცნობა, რომ ნური-ფაშამ ენვერისადმი და-პირებების და ჩემსა და ობერლეიტენანტ ფონ ფელდმანისადმი მი-ცემული სიტყვის მიუხედავად, რომ იგი ბაქოს არ შეუტევდა, ეს მაინც გააკეთა და საგრძნობი მარცხიც იწვნია. მან ბაქოს არასაკმა-რისი ძალებით შეუტია და თან ეს საქმე უნიჭო გენერალს დაავა-ლა, თავად კი, მთელ თავის შტაბთან ერთად, მშვიდად იდგა განჯა-ში, ახლა კი ჰალილს სთხოვდა სასწრაფოდ დახმარებას. მეორე დღეს საგანგებო მატარებლით გავემგზავრე განჯაში ჰალილთან ერთად, რომ მდგომარეობის გამოსწორებისათვის საჭირო ღრის-ძიებები ადგილზე განვეხილა. მუშაობის ნაცვლად ჩვენ იძულე-ბული გავხდით ჰალილის პატივსაცემად გამართულ დიდ ბანკე-ტებში მიგვეღო მონაწილეობა. მე რომ განჯაში ჰალილთან ერთად კარგად შეხმატებილებული ჩამოვედი, ამან დიდი მთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინც ფიქრობდა, რომ ჩვენი და ოურქების უთა-ნხმოებიდან სარგებელს ნახავდა. მე ამ შეხვედრების დროს, სადაც სიტყვით გამოსვლა აუცილებელი იყო, რთულ მდგომარეობაში აღ-მოვჩნდი, რადგან სამშობლოდან ინსტრუქციების უქონლობის გა-მო ბოლომდე არ შემძლო კარტების გახსნა და მუდმივი ლავირება მჭირდებოდა. აზერბაიჯანის მთავრობის წევრები, სხვათა შორის, ძალიან გამოიჩინენ გაგებით და აშკარად ცდილობდნენ, ჩვენ-თან კარგი ურთიერთობები დაემყარებინათ. ჩანდა, ნური-ფაშას თა-ვნებობა უკვე მათ ნერვებზე მოქმედებდა. თბილისიდან გამგზავრე-ბამდე სასწრაფო ტელეგრამა გავუგზავნე საგარეო საქმეთა სამი-ნისტროს თხოვნით, რომ შეცვლილი მდგომარეობის და ვითარების გამო, როცა ინგლისის ჯარების ყოფნა ბაქოში ახლა უეჭველად დადასტურებულია<sup>55</sup> და ამის გამო რუსული მხარის პროტესტი მოსალოდნელი არაა — ნება დაერთოთ გერმანის ჯარებისათვის მონაწილეობა მიეღოთ ბაქოზე ამიერიდან აუცილებელ შეტევაში.

ჰალილი განჯაში დარწმუნდა, რომ მისი ძმისწული ნური, რო-მელმაც, შართალია, თავი გამოიჩინა, როგორც პროპაგანდისტმა და ორგანიზატორმა, მხედრული თვალსაზრისით უნიჭო კაცი იყო და არ შეეძლო, სამხედრო მდგომარეობა ემართა. მან შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მისი მეთაურობისათვის დაექვემ-



დებარებინათ ე.წ. „ისლამის არმია“, ანუ აზერბაიჯანში განლაგებული თურქეთის ჯარები. თავის უფროსებთან ურთიერთობა ჰქონდა ლილს განსაკუთრებით გაურთულა იმან, რომ თავდაჯერებულ ესად-ფაშას ბათუმში, ჩემი და პალილის პროტესტების მიუხედავად, აქამდე არ ჩაუთვლია საჭიროდ ნატანებში საქართველოს სატელეგრაფო ქსელთან კავშირის აღდგენა. პალილს, საერთოდ, ყველა თავის ღონისძიებაში სიძნელე იმანაც შეუქმნა, რომ ესად-ფაშას მე-3 თურქული არმია მას არ დაუქვემდებარეს. თურქ გენერლებში განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღრეკილება, იფიქრონ მხოლოდ პირად ინტერესებშე და უშუალოდ მათშე დაქვემდებარებული ჯარების მოთხოვნილებებშე, აქაც ისევე უარყოფითად იგრძნობოდა, როგორც ამ ჯარების პოლიტიკური პოზიციის ზეგავლენა გენერლების მიღწევებსა და მორჩილებაზე. სომხებისადმი ფანატიკური სიძლული და მათი სრული ამოწყვეტის სურვილი თურქული გენერალიტეტის შიგნით მრავალი უთანხმოებისა და ინტრიგის საბაბს იძლეოდა. იმ დროს, როცა თურქების ყველა ინსტანციას მთელი თავისი ძალა ბაქოსთან მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გამოყენებინა, ესად-ფაშამ სწორედ ეს მომენტი ჩათვალა ხელსაყრელად, რომ თურქულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 600-მდე ჯარისკაცი, რამდენიმე ტყვიამფრქვევით, საქართველოს სანაპიროზე, სოხუმის ახლოს გადმოესხა პატარა რაზმებად. საქართველოს მთავრობის თანხმობით მე იქ გავგზავნე მოიერიშეთა ბატალიონის მეთაური რამდენიმე ასეულით და დავავალე, ხელთ ეგდოთ თურქი ჯარისკაცები, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, იარაღის გამოყენებლად, განეიარაღებინათ და როგორც შეპყრობილი დეზერტირები, უკანვე გაეგზავნათ ესადისათვის. ეს წმენდის აქცია სწრაფად და ინცინდენტის გარეშე ჩატარდა.

ჩემი მდგომარეობის გასაადვილებლად ამასობაში თბილისში ჩამოსულ და ჩემთვის პალესტინიდან ნაცნობ ფრიად პატივსაცემ პოლკოვნიკ ბარონ ფონ დერ გოლცე – ცნობილი ფელდმარშლის შვილს,<sup>56</sup> მაგრამ ჯერ კიდევ არა მამამისივით გავლენიანს – დავავალე საქართველოში განლაგებული გერმანიის ჯარების მეთაურობა და მცირერიცხოვანი შტაბიც დავუქვემდებარე – სახელწოდებით „სამხედრო სარდლობა“.

მაშინ, როცა კავკასიის ეგერთა პოლკი ბევრის მნახველი შოთა ქრესი



რინგის ხელმძღვანელობით პრეტენზიებისათვის არავითაურ ქულა  
ოზულ საბაბს არ იძლეოდა, თავისი გადაჭარბებული უხერხოშოთ და  
თავშეხელაღებული საქციელით პრუსის მოერიშეთა ბატალიონი  
სწორედ რომ თავს მატკივებდა. ამ ხალხს არ შეეძლო და არც სურდა  
გაეგო, რომ ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ საქართველოში სხვა  
მეთოდების გამოყენება იყო საჭირო, ვიდრე მტრულ ქვეყანაში. ჩე-  
მი ინსტრუქციებისა და ბრძანებების მიუხედავად, ოფიციალურად სა-  
სიკვდილო განაჩენები გამოიტანეს და აღასრულეს, კონტრიბუცი-  
ები დააწესეს და საცხოვრებლები გადაწვეს, ცალკეული სოფლე-  
ბიდან საქონელი გამორეკეს და სხვა ამგვარი. ასეთ საქმეებს მო-  
სახლეობის და საქართველოს მთავრობის მხრიდან მუდამ საჩივ-  
რები მოსდევდა.

აგვისტოს ბოლოს ენვერმა, ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა,  
გადაწყვიტა თურქეთის ჯარების გაყვანა უკანონოდ დაკავებული  
ახალციხისა და ახალქალაქის ოლქებიდან. 25 აგვისტოს საქარ-  
თველოს გავლით მე-10 თურქული დივიზიის ტრანსპორტირება  
უნდა დაწყებულიყო, მაგრამ – ჩანს, უამინდობის გამო – რკინიგ-  
ზაზე შეფერხებამ რამდენიმე დღით დააყოვნა ეშელონების მოძრა-  
ობის დაწყება.

სრულიად გაუგებარი და შეუსრულებადი იყო იმ დღეებში  
**OHL**-დან მოსული ბრძანება, რომ ბაქოსაკენ მხოლოდ ამუნიციი-  
თა და მასალებით დატვირთული ეშელონები გამეტარებინა და არა  
სამხედრო ნაწილებისა; ეს უკანასკნელი ალექსანდროპოლისა-  
კენ უნდა გამეგზავნა. არც საგარეო საქმეთა სამინისტროდან და  
არც **OHL**-დან არ მიმიღია პასუხი ჩემს შეკითხვაზე – გვერდა  
თუ არა გერმანიის ჯარების ბაქოზე შტურმში ჩართვის უფლება.  
კიდევ კარგი, სამაგიეროდ, **OHL**-დან მივიღე შეტყობინება, რომ  
საქართველოში ბავარიის საკავალერიო ბრიგადა გამოიგზავნებო-  
და და რამდენიმე დღის შემდეგ დეპეშით კვლავ მოვიდა ცნობა ინ-  
ფრანტერიის შერეული ბრიგადის ასევე ჩემს განკარგულებაში გად-  
მოცემის შესახებ. 9 სექტემბერს უნდა შემეტყო მხოლოდ ამ გამო-  
ცანის პასუხი და აფორიაქებული ფაციუსუცის ნამდვილი მიზანი.

ჰალილ-ფაშამ მე და ფრანკენშტაინს დაუინებით გვთხოვა, მას  
ერევანში ვხლებოდით, სადაც იგი ოფიციალური ვიზიტით სომხე-  
თის მთავრობასთან სტუმრობას გეგმავდა, რადგანაც სომხეთის მთა-



ვრობაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენს დასწრებას, რაღაც უსი-  
ამ წინათგრძნობისგან გულდამძიმებულებმა მგზავრობის თადაცი-  
რიგი დავიჭირეთ. სირცხვილის გრძნობამ იმის გამო, რომ ჩვენი  
ყველა მცდელობა, სომხებს დავხმარებოდით და ქრისტიანი ხალხი  
დაღუპვისაგან გვეხსნა, ამაო გამოდგა, ძალიან გაგვიძნელა ამ გა-  
დაწყვეტილების მიღება.

29 აგვისტოს საღამოს თბილისი დავტოვეთ. ჰალილმა ტე-  
ლეგრაფით გადასცა, რომ ალექსანდროპოლისაკენ, სადაც მისი მა-  
შინდელი მთავარი ბანაკი იმყოფებოდა — ჩვენი უსაფრთხო მგზავ-  
რობისთვის წინასწარ თადარიგი დაეჭირათ. მიუხედავად ამისა, საზ-  
ღარზე თურქეთის საგუშაგომ მთელ ოთხსაათნახევარს გაგვაჩერა.  
ამ უსიამოვნო ინცინდენტში ძალიან ცუდ გუნებაზე დაგვაყუნა, რაც  
ჩვენ ალექსანდროპოლში — უშნო აზიურ ქალაქსა და ციხესიმაგ-  
რეში — არ დაგვიმაღავს. ამ ამბავმა სულ მცირე ის ხეირი გვარგუ-  
ნა, რომ ჩვენი გულის მოგების სურვილით აღვსილი ჰალილი დი-  
დი თავგამოდებით ცდილობდა, თავაზიანი და დამთმობი ყოფილი-  
ყო. სიტყვა, რომელიც მან ერევანში ჩვეულებრივ დიდ ბანკეტზე  
წარმოსითქვა, სომხებისადმი მეგობრობის დადასტურებით და უხვი  
შეკირებებით გამოირჩეოდა. არ შემეძლო, საკუთარი თავისთვის  
მეღალატა და ჩემს გამოსვლაში სომხებისათვის ეს ამბავი გულ-  
წრფელად არ მიმელოცა, რადგან როცა ჰალილ-ფაშა — ერთ-ერთი  
დიდი თურქი მხედარითმთავარი და ენვერ-ფაშას უახლოესი ნათე-  
სავთაგანი — საზეიმო ვითარებაში იძლეოდა ასეთ დაპირებებს მო-  
კავშირე ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდას-  
წრებით, შეიძლებოდა, კაცს იმედი გქონდა, რომ სიტყვას რეა-  
ლური საქმეც მოჰყვებოდა. ვირწმუნე, — იგი დაპირებას შეასრუ-  
ლებდა და ყველაფერს გააკეთებდა, რაც შესაძლებელი იქნებოდა,  
რომ თურქეთის არმიისათვის სომხების მხრიდან მოსალოდნელი  
საფრთხის შესახებ მცდარი წარმოდგენები გაეძათილებინა კონ-  
სტანტინეპოლში და სომხებისადმი მტრულად განწყობილი თურქი  
გენერლების შეგნებულად დამახინჯებული რაპორტები უარესო.  
მის მცდელობას ამ მიმართულებით არავითარი პრაქტიკული წარ-  
მატება არ მოჰყოლია. თურქეთის მთავრობამ თუმცა გასცა განკარ-  
გულება, რომ ლტოლვილი სომხები სამშობლოში დაებრუნებინათ,  
მაგრამ ამ ბრძანების შესრულებაზე ჰასუხისმგებელი ესად-ფაშა



ლტოლვილთა დაბრუნებაზე ნებართვის გაცემისთვის კომისიუნი  
განცხადებასა და დოკუმენტს მოითხოვდა, რომ თურქეთში შეავა-  
რობდის მიერ ჩვენი ზეწოლით მიღებული დათმობები პრაქტიკულ  
ღირებულებას მოკლებული აღმოჩნდნენ. ფრანგენმტაინმა და მე,  
როცა ამის გამო ესადს განცხადებით მივმართეთ, ტყუილით მოგვ-  
იშორა თავიდან – ენვერმა სარდლობის პირობების შეცვლის გან-  
კარგულება გამოსცა და ამიტომ ეს საკითხი მეტად აღარ მეხებაო.

უკან დაბრუნებისას, თურქული მომსხაურე პერსონალის უყუ-  
რადღებობის გამო, ჩვენი მატარებელი კარაკლისის მიდამოებში ლი-  
ანდაგიდან გადავარდა. 36 საათი დასჭირდა, ვიდრე ორივე გადაბ-  
რუნებულ ლოკომოტივს ამოვათრევდით და გზის გაგრძელებას შე-  
ვძლებდით. საბედნიეროდ, სომხებმა ერევნიდან გამომგზავრების წინ  
ისე კარგად მოგვამარაგეს სურსათ-სანოვაგით, რომ არაფერი გა-  
ვჭირვებია.

ამასობაში თბილისში თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენ-  
ლად ჩამოვიდა სირიიდან ჩემთვის ჟარგად ნაცნობი გენერალი აბ-  
დულ ქერიმ-ფაშა – თავაზიანობით გამორჩეული, მაგრამ ძალიან  
უმნიშვნელო პიროვნება, რომელიც ყოველი მოლაპარაკების დროს  
იმას იშველიებდა, რომ თავისი მთავრობისაგან ისნტრუქციები არ  
მიუღია.

ამას გარდა, თბილისში ჩამოსული იყო ჩემთვის პალესტინი-  
დან ნაცნობი და ღრმად პატივცემული მოწყალების და ბრიგიტა  
პრინცესა ფონ როისი სხვა დებთან ერთად, რომ გერმანელ ჯარის-  
კაცთა სახლი მოეწყოთ. პალესტინის მსგავსად, იგი აქაც შესანიშ-  
ნავად ასრულებდა თავის მოვალეობას და მისი დაწესებულება დი-  
დი პოპულარობით სარგებლობდა. იგი შეამბოხე ჯარისკაცებზე უდა-  
ვოდ კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა და მე მასთან – ჭეშ-  
მარიტად კეთილშობილ და თავაზიან ქალბატონთან შეხვედრა ყო-  
ველთვის სიხარულსა და ბედნიერებას მგვრიდა. ომის დამთავრე-  
ბიდან რამდენიმე წლის შემდეგ იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ფილ-  
ტვების ტუბერკულოზით გარდაიცვალა და ვფიქრობ, ამ ავადმყო-  
ფობის მიკრობი სწორედ თბილისში ყოფნისას გადაედო.

გადამეტებული სამსახურებრივი გულმოდგინებისა და არას-  
წორად გაგებული მომჭირნეობის გამო თავის დიდ საქმიანობაში  
იგი უარს ამბობდა დაქირავებული თანამშრომლების დახმარებაზე



და ყველა გაფრთხილების მიუხედავად, ისეთ სამუშაოებს ასრულებდა, რისთვისაც მისი ძალები ხანგრძლივი დროის განმავლობში აღიარებული ში საკმარისი არ იყო.

შეიდ სექტემბერს პალილი განჯაში გაემგზავრა თავის შტაბთან ერთად, რათა იქ ბაქოშე ხელახალი შეტევისათვის საჭირო მოსამართებელი ღონისძიებანი გაეტარებინა. ორი დღის შემდეგ ბერლინიდან დეპეშა მივიღე, რომელიც, მართალია, განვიმარტავდა, რატომ გამოიგზავნა გერმანული ჯარების გაძლიერების მიზნით დამატებითი ნაწილები კავკასიაში და რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ თურქეთის ჯარები ბაქოს მიმართულებით გადაყვანილი, მაგრამ, იმავდროულად, იმის გასაოცარ დადასტურებასაც წარმოადგენდა, რომ სამშობლოში ჩემი და კონსტანტინეპოლის საელჩოს ყველა მოხსენების მიუხედავად, ძირეულად მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენთან არსებულ მდგომარეობაზე და თურქების დამოკიდებულებაზე კავკასიის საკითხისადმი. გერმანიამ ბრესტ-ლიტვისკის ხელშეკრულების დამატებით ხელშეკრულებაში, რომელიც 1918 წლის 27 აგვისტოს დაიდო, ვალდებულება იკისრა, არ დაეშვა თურქების მიერ ბაქოს ხელში ჩავდება. თუ ინგლისელები ბაქოს არ დაცლიდნენ, მაშინ გერმანიას და ბოლშევიკებს ერთობლივად უნდა დაეკავებინათ ქალაქი. ბაქო და მისი მიმდებარე ტერიტორიები რუსეთის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყვნენ და რუსებს ნავთობპროდუქტების ერთი მეოთხედი ნაწილი ცენტრალური სახელმწიფოებისათვის გადაეცათ. ვაღიარებ, ალბათ შეუძლებელი იყო მიღწეული დათმობების გარეშე ბაქოს დაკავებისათვის რუსების თანხმობის მიღება, მაგრამ როგორ წარმოედგინათ საგარეო საქმეთა სამინისტროში და OHL-ში ბაქოს საკითხში თურქების სრული გამოთიშვის შესაძლებლობა?

საერთოდ რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მუსლიმანურ სამყაროში თურქების პრესტიჟი მოითხოვდა მათ მიერ ოთხ აგვისტოს განცდილი მარცხისათვის რევანშის აღებას, ისინი არცთუ უმნიშვნელო ძალებით უკვე უშუალოდ ბაქოსთან ედგნენ. თუ აღიარებდნენ, რომ ბაქო რუსებს უნდა დარჩენოდა, მაშინ აზერბაიჯანელების ყოველგვარ სიმპათიებს დაკარგავდნენ, აზერბაიჯანელებისა, რომელთა ქვეყანა ბაქოს გარეშე არასიცოცლისუნარიანი იქნებოდა, მათი თურანისტული იდეები და იმედები დასამარდებოდა და



უამრავი გავლენიანი, ომით გამდიდრებული თურქი სპეციალუნტების იმედგაცრუებას ტალაათისა და ენვერის დამხობა მოჰკვერთიდან<sup>56</sup>. თვითონ ჩვენც აზერბაიჯანელებს სამკვდრო-სასიცოცხლო მტრებად გადავიკიდებდით; მათ შეეძლოთ რკინიგზების აყრით, ნავთობ-სადენის გადაკეტვით და პარტიზანული ომის გაჩაღებით საგრძნობლად გაეძნელებინათ ჩვენი ამოცანების შესრულება. კიდეც რომ მოგვეხერხებინა თურქეთის მთავრობაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენა, რომ იგი ბრესტ-ლიტვისკის დამატებითი ხელშექრულების დებულებებით დაკმაყოფილებულიყო, აზერბაიჯანში მათი ნაწილების მეთაური გენერლები კონსტანტინეპოლის ბრძანებებს მაინც არ შეასრულებდნენ. უაშეველია, შედეგად დიდი იყო საფრთხე, რომ ჩვენსა და თურქებსა და აზერბაიჯანელებს შორის საქმე შეიარაღებულ შეტაკებებამდე მისულიყო. ელჩი გრაფი ბერნსტორფიც<sup>57</sup> ხსენებული დამატებითი ხელშექრულებით შექმნილ მდგომარეობას ისევე სერიოზულად აფასებდა, როგორც მე. ჩემდამი გამოგზავნილ ძალიან შემაშფოთებელ დეპეშაში მან შიში გამოხატა, რომ კავკასიის საკითხზე ჩვენი კავშირი თურქეთთან შეიძლება დაშლილიყო.

მდგომარეობას კიდევ ისიც ართულებდა, რომ ფოთში ჩამომავალ გერმანულ ჯარებს არც ფული ჩამოპქონდათ და არც სურსათი, და რომ საქართველოს რკინიგზა ჩვანახშირის შახტებში გაფიცვების და სოციალ-დემოკრატ რკინიგზელთა უდისციპლინობის გამოკვლავ ცუდად მუშაობდა.

მთელ რიგ სადგურებზე „საცობები“ იყო შექმნილი, მატარებლები ფოთიდან თბილისამდე 14 საათის ნაცვლად 4 დღეს უნდებოდნენ გზას. ყოველთვიურად ჩვენ გვჭირდებოდა დაახლოებით 10 მილიონი რუბლი, ბერლინში მისი მარაგი მეტი აღარ პქონდათ და საქართველოს მთავრობასაც ჩვენთვის მეტად არ უნდოდა ფულის მოცემა, რადგან მისი – ჩემი აზრით, გამართლებული შეხედულებით, – ბერლინის მიერ დადგენილი კურსი 1 რუბლი – 80 პფენინგი 1 რუბლი – 1 მარკაზე უნდა აწეულიყო.

გერმანიასთან კავშირი კვლავაც ისე ცუდი იყო, რომ საცხებით გამოირიცხა ზემდგომ ინსტანციებთან აზრთა ურთიერთგაზიარება ამ საკითხზე. მალე ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რომ მელიც პალესტინაში გატარებულ ურთულეს დროს მაგონებდა.



მთელი ჩემი ენერგიისა და ოპტიმიზმის მოხმობა დამჭირდა, რათა უკიდურესად მხნეობა არ დამეკარგა. კურიერის მეშვეობით ჰალილს გადავჭირდით ზავნე ავისმომასწავებელი დეპეშის ასლი თხოვნით, თავი შეეკავებინა ბაქოზე შეტევისაგან, სანამ მითითებებს არ მიღებდა მისი მთავრობისაგან. გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ ჰალილი ასეთ მითითებებს არ დაელოდებოდა და ბაქოს სწრაფი აღებით Fait accompli-ს შექმნიდა.<sup>58</sup> ჩემს ვარაუდებში არც შევმცდარვარ: 15 სექტემბრის დღისას, როგორც ჩანს, არც თუ მნელი ბრძოლების შედეგად, თურქებმა ბაქო დაიკავეს, ინლისელებმა კასპიის ზღვით სპარსეთისაკენ უკანდახევით უშველეს თავს.

ბაქოს დაკავების შემდეგ, სამწუხაროდ, აზერბაიჯანელებმა და აშკარაა, თურქეთის ჯარის ნაწილებმაც, გაუგონარი საშინელებანი — ხოცვა-ულეტა და ყაჩაღობანი ჩაიდინეს. თურქ გენერლებს არ სურდათ და ალბათ არც შეეძლოთ უმთავრესად სომხების წინააღმდეგ მიმართულ საშინელებათა აღკვეთა.

ამ მოვლენების გამო სულის სიღრმემდე აღშფოთებული პოდოლკოვნიკ პარაქვინის უაღრესად ენერგიულ მცდელობებს, რომელიც ყოველმხრივ ხელში-მუდარის ალყაში მოექცა, — აეძულებინა ნური-ფაშა შეეწყვიტა ძარცვა და ხოცვა-ულეტა, — შედეგად მოჰყვა ის, რომ ჰალილ-ფაშამ თავისი ნაწილობი შტაბის უფროსი დაუყოვნებლივ გაათავისუფლა თანამდებობიდან და უკან — კონსტანტინეპოლში გაგზავნა.

ბაქოში მაროდიორთა თარეშის შედეგად ზოგიერთი გერმანელიც დაზარალდა, რამაც სასურველი საბაბი მომცა ნურისთვის მეცნობებინა, რომ გერმანელთა დაცვის მიზნით იქ ბატალიონს გავაგზავნიდი. ნურიმ მიპასუხა, რომ ბაქოში მდგომარეობის შესახებ ჩემამდე მოღწეული ცნობები არასწორი და გამონაგონია, იქ სრული სიმშვიდე სუფეს და ის თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევს გერმანელ მოქალაქეთა თავის საკუთარ თანამემამულეთა თანაბრად დაცვას და ამის გამო მთავაზობდა, ბაქოში ჩემს წარმომადგენლად, სხვათაშორის — საკმაოდ დიდი შტაბით, პოლკოვნიკი ბარონი ფონ დერ გოლცი გამეგზავნა, რათა ამ გზით მაინც მომეპოვებინა გარკვეული გავლენა ბაქოს მოლენებზე და უწინარეს ყოვლისა, ნავთობის სარეწებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების თვალსაზრისით. გოლცის აღგილზე ჯარების მეთაურად ამასობაში უკვე თბი-



ლისში ჩამოსული ბავარიის მსუბუქი საკავალერიო ბრიჯაფესტ მათური, პოლკოვნიკი ბარონი ფონ აიბი (Eyb) გავამწერ და ფონ დერ გოლცი თავის შტაბიანად 25 სექტემბერს განჯაში ჩავიდა, რკინიგზის რელსები აყრილი დახვდა და ჩვენი კეთილი მოკავშირენი მგზავრობის გაგრძელებაზე უარს ეუბნებოდნენ. მცდარი ინფორმაციის საფუძველზე, ნურიმ დაიჯერა, რომ საქმე ეხებოდა მის მიერ უარყოფილი გერანული ბატალიონის გადაყვანას და საქმის მოსაგვარებლად ხანგრძლივი მოლაპარაკებები გახდა საჭირო.

ბაქოში ფრანკენშტაინიც გაემგზავრა და იქაური მოვლენების თაობაზე ჩვენს მიერ მიღებული ცნობების სისწორე დაადასტურა. საქმის არსის არცოდნის გამო სომხები გვსაყვედურობდნენ, რომ თურქებს ჩვენ ხელი არ შევუშალეთ მათ წინააღმდეგ საშინელებათა ჩადენაში.

ჩემი ზემდგომი ინსტანციებიდან, საჭირო მითითებების ამაოლოდინის შემდეგ, როცა ბაქოს საქმე მოთავებული იყო, სხვადასხვა განკარგულებები და ბრძანებები მოვიდა ბოლშევიკებთან ერთად ბაქოს წინააღმდეგ ჩასატარებელი ოპერაციების შესახებ. კავკასიაში მოვლინებული ინფანტერიის შერეული ბრიგადა, რომლის პირველი რაზმი ფოთში იყო ჩამოსული, მაკედონიისაკენ შეაბრუნეს.

### ◆◆◆

ევროპის და აზიის სახმედრო მოქმედებათა არენაზე მიმდინარე მოვლენები, ბულგართის მარცხი,<sup>59</sup> პალესტინის და სირიის დაკარგვა, უიმედო მდგომარეობა ჩვენს დასავლეთ ფრონტზე და ამასთან ერთად — გერმანიაში პარლამენტარული სისტემის<sup>60</sup> შემოღება ჩვენს მდგომარეობაზე მოქმედებდა. თურქები, მართალია, შესამჩნევად მოკრძალებულნი და თვინიერნი გახდნენ, განსაკუთრებით, როცა 31 ოქტომბერს მათმა მთავრობამ დაზავებას მოაწერა ხელი,<sup>61</sup> მაგრამ დღითიდღე უარესდებოდა ჩვენი და საქართველოს მთავრობის ურთიერთდამოყიდებულება. მთავრობა და საპარლამენტო კომიტეტი დახურულ სხდომაზე იმ საკითხსაც კი განიხილავდნენ, მენარჩუნებულიყო გერმანული ორიენტაცია თუ მომხდარიყო შემობრუნება საგარეო პოლიტიკაში. ვინაიდან უკანასკნელი შეუძლებელი აღმოჩნდა, ორიენტაციის საკითხი ძველებურად დარჩა.

ქართველთა ცუდი განწყობილება, პირველ რიგში, შეიძლება 120



იმ მზარდი შეშფოთების ბრალი იყო, რომ ისინი სულ სხვა ცხენჭერებული ჩამოვიდნენ ფსონს და იმ იმედგაცრუებისაც, რომ გერმანია მათ სმდენ დახმარებას ვერ უწევდა, როგორსაც – სულ უსაფუძღლოდ – ელოდნენ. ის პირობები, რომლითაც გერმანიამ მათ პატარა სესხი გამოუყო, მართლაც ძალიან მკაცრი იყო. გასაგები მიშეზების გამო, გერმანიის დელეგაციის მხრიდან მეურვეობაც, რომელიც ასე დელიკატური ფორმით მიმდინარეობდა, მათთვის გარევეული დროის მერე მოსახეზრებელი გახდა, და ბოლოს, ჩვენდამი ცუდი განწყობილების გაძლიერებას, გარევეული დოზით, გერმანული ჯარის საქციელმაც შეუწყო ხელი. ომის ოთხმა მძიმე წელიწადმა გერმანიის ჯარების დისციპლინას და მორალს თავისი კვალი დააჩინა. ასე, მაგალითად, ბავარიის მსუბუქ კავალერიაშიც მოხდა ზოგიერთი გამოხდომა და ძალაუფლების გადამეტების შემთხვევა, მაგრამ ჩვენს ავტორიტეტს კველაზე მეტ ზიანს მაინც ის ხშირი ამბები აყენებდა, როცა მაგარ კავკასიურ ღვინოებს შეუჩვეველი გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მძიმე სიმთვრალე საყოველთაო უსიამოვნო აყალ-ძაყალს იწვევდა.

სხვათა შორის, როცა მოგვიანებით კავკასიაში ანტანტის ჯარები შემოვიდნენ, ეს ინცინდენტები და ძალაუფლების გადამეტების შემთხვევები, რაც გერმანელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ჩაიდინეს, ძალიან მალე დავიწყებას მიეცა. გერმანიის სამხედროთა და ანტანტის ჯარების ქადაგის შედარებისას უპირატესობა ერთმნიშვნელოვნად ჩვენს მხარეს იყო. განსაკუთრებით ინგლისელი და ფარნგი ოფიცრების მხეცურმა ქადაგებმა გამოიწვია ქართველების უკიდურესი უკმაყოფილება.

დელეგაციასთან ერთად მოვლინებულმა გერმანული მძიმე მრეწველობის წარმომადგენელმა დოქტორმა კინდმა ამასობაში მოახერხა საქართველოს მთავრობასთან ეკონომიკური ხასიათის მთელი რიგი ხელშეკრულებების ხელმოწერა, რომლებიც ერთნაირად მომგებიანი იყო ორივე ქვეყნისათვის. ამ ხელშეკრულების მიხედვით, გერმანულ-ქართულ შერეულ კომპანიებს, რომლებშიც გერმანული მრეწველობა 51%-ით იყო წარმოდგენილი და ხელმძღვანელობაც გარანტირებული ჰქონდა, ფოთის ნავსადგურის და ჭიათურისკენ მიმავალი რკინიგზის განშტოების რეკონსტრუქცია უნდა ჩაეტარებინათ, უწინარეს ყოვლისა – მარგანეცის ყველა შახტის



ტრესტირება, მოდერნიზაცია და რაციონალური დამუშავებულება უზრუნველყოთ. ჩვენი დამარცხების შედეგად, სამწუხაოოდ, ეს ხელშექრულებები ძალადაკარგულნი აღმოჩნდნენ.

როგორც აღვნიშნე, გერმანიასთან კაეშირი ძალიან ჭირდა და ისე ხდებოდა, რომ ჩვენ ვერაფერს ვეგებულობდით იმ ამბების თაობაზე, რომლებიც ნოემბრის პირველ დღეებში ხდებოდა იქ, სხვათა შორის, უორდანია ხშირად მეკითხებოდა, რა ცნობები მქონდა გერმანიიდან და შეშფოთებით ამბობდა: „ნეტავი, რევოლუცია არ იქნებოდეს გერმანიაში!“ მწარე იმედგაცრუება დამეუფლდა, როცა 9-დან 10 ნოემბრის ღამით ის-ის იყო მწყობრში ჩამდგარი დიდი სიმძლავრის რადიოსადგურიდან მორიგე უნტეროფიცერი ჩემს საწოლთან მოვიდა და ხმამაღლა წამიკითხა ებერტის პროკლამაცია – კაიზერის გადადგომისა და რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

მომდევნო დღეებში ჩვენამდე მოაღწია დაზავების<sup>62</sup> თაობაზე ცნობამ და პინდებურვის ბრძანებებმა ჯარისკაცთა საბჭოების შექმნის და კავკასიაში მყოფი გერმანიის ჯარების, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, სწრაფი ევაკუაციის თაობაზე.

ჯარისკაცები, მთლიანობაში, წესიერად იქცეოდნენ და უხეში ექსცესები არ ყოფილა. ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ მათვების უცხო ქვეყანაში აუცილებლად უნდა დამორჩილებოდნენ ოფიცრებს.

საქართველოს მთავრობამ თავაზიანი უარი განაცხადა ჯარისკაცთა საბჭოსთან მოლაპარაკებებზე, არადა, ვითარება უაღრესად არასასახარბიელო იყო. მე და უონ დერ გოლცი შევთანხმდით, ნებისმიერ შემთხვევაში თავიდან აგვეცილებინა უცხო ქვეყანაში ჩვენს ხალხს შორის აშკარა ამბოხი, ამის გამო ადამიანებთან დამოკიდებულებაში არსებული ვითარებისათვის ანგარიში გაგვეწია, სიჯიუტე და შეპასუხება გვეპატიიებინა – ის პოზიცია დაგვეჭირა, რომლის დაცვაც ზოგიერთი ახალგაზრდა ოფიცრის ხაზგასმული გამომწვეობის გამო არც ისე ადვილი საქმე გახლდათ.

ჩვენ გაგვიმართლა, რომ ჯარისკაცთა საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს განსაკუთრებულად პატივმოყვარე კაცი – ადრე თავადის სახლში კამერდინერად ნამსახური, მარკვედ მოლაპარაკე, რომელსაც სახელიც გაეთქვა, როგორც საზეიმო ორატორს კაიშერის დაბადების დღის თუ სხვა შემთხვევათა მიზეზით გამოსვლებისას. იმ

საბაბით, რომ ჯარისკაცთა საბჭო, მისი მაღალი თანამდებობების გამო, მას ოპოზიციურ თანამშრომლობას ავლდებულებს, იგი ფულადობთხოვა ცერთა ოტელში დავაბინავეთ და ამ გზით მასშე დიდი გავლენა შევინარჩუნეთ. მისი მეშვეობით დროულად ვღებულობდით ინფორმაციას ადამიანების განწყობილების, სურვილების და ზრახვების თაობაზე. ამხანაგები, რა თქმა უნდა, ნაკლებად კმაყოფილი იყვნენ მისი ამგვარი საქმიანობით, რისთვისაც ბევრჯერ მიტყებეს კიდეც. პირველი სურვილი, რომელიც ჩემამდე მოვიდა, ის იყო, რომ მათ ღვთისმსახურებაზე სიარული აღარ უნდოდათ. ამას მოჰყვა შემდეგი მოთხოვნაც, რომ გაგვეუქმებინა სამწყობრო მომზადება, ვინაიდან ომი უკვე დამთავრდა. სამაგიეროდ, სიამოვნებით მისდევდნენ სპორტს და მონაწილეობდნენ სასწავლო სროლებში.

საქართველოში ჩვენი ხალხი თუმცა ყოველნაირად კარგად გრძნობდა თავს და არც მანამდე უჭირდათ რაიმე კავკასიაში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების საყოველთაო სურვილმა ყველაფერს გადასძალა მათში. კეთილგანწყობილი ელემენტები თავიანთი ოჯახების და ავლა-დიდების ბედით იყვნენ შეწუხებულნი. ბოროტ-შრახველები შიშობდნენ, რომ სიმდიდრის საყოველთაო დანაწილებას დროშე ვერ მიუსწრებდნენ შინ. საჭირო სატრანსპორტო გემების უქონლობის გამო ევაკუაცია უფრო და უფრო ჭიანურდებოდა და ხალხსაც მეტი მოუთმენლობა ეტყობოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მათში ჭორიც გავრცელდა, რომ მე თითქოს კავკასიაში დიდი ტყის მასივები მქონდა ნაყიდი და ჩემი ქონების უსაფრთხოების მიზნით გერმანიის ჯარის აქ დატოვება მსურდა. ამასთან, თურმე, იმასაც ვცდილობდი, რაც შეიძლება ჩქარა მომეშორებინა თავიდან რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები. დეკემბრის დასაწყისში, ბოლოსდაბოლოს, მოხერხდა პირველი ნაწილების უფროდან ოდესისაკენ გამგზავრება. ესენი იყვნენ ელზას – ღოტარინგიელები და უფროსი წვევამდელი ასაკის წარმომადგენლები.

მძიმე შეიარაღება, მოწყობილობები და ცხენები ანტიანტის ხელში რომ არ ჩაგვეგდო, ქართველებს გადაუცით. ჯარების ევაკუაციის შესახებ ბრძანების მიღების შემდეგ საჩქაროდ გავეშურე უორდანიასთან და ავუხსენი, რომ გერმანიას მეტად აღარ აინტერესებდა თავისი დელეგაციის შემდგომი ყოფნა კავკასიაში და, თუმცა მე



მაინც სიამოვნებით ვიკისრებდი საგარეო საქმეთა სამინისტროსა—  
გან დელეგაციის შემდგომი დარჩენის ნებართვა გამომეთმოვლურული  
საქართველო ამის თაობაზე გამოკვეთილ ინტერესს გამოიჩინდა.  
ფორდანიამ დაუინებით მთხოვა, საქართველოს გულისათვის იმდენ  
ხანს დავრჩენილიყავი თბილისში, რამდენადაც ეს შესაძლებელი  
იქნებოდა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა, დელეგა-  
ცია თბილისში იმდენ ხანს დარჩენილიყო, რამდენადაც გარემოება-  
ნი ამის საშუალებას იძლეოდა. მოგვიანებით კვლავ შემატყობინეს,  
რომ სპაში ჩვენმა დაზავების კომისიამ დელეგაციისათვის თავისუ-  
ფალი გადადგილების ნებართვა მიიღო.

დეკემბრის დასაწყისში ანტანტის პირველი წარმომადგენლე-  
ბი თბილისში გამოჩნდნენ: ფრანგი პოდპოლკოვნიკი და ორი თუ  
სამი ინგლისელი მაიორი თუ კაპიტანი — ადამიანები, რომლებიც  
ადრე კავკასიაში წვრილი კომერსანტების სახით სავსებით მეორე-  
ხარისხოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ და ახლა, ყოველგვარ  
რწმუნებათა გარეშე, თავიანთი ქვეყნების წარმომადგენელთა როლს  
ირგებდნენ. მათ საქართველოს მთავრობას თავხედურად მოსთხოვ-  
ეს ყველა გერმანელის დაუყოვნებლივ გაძევება ქვეყნიდან, მაგრამ  
ეორდანიასგან, ჩვენდა სასიამოვნოდ, მტკიცე უარი მიიღეს. თავი-  
ანთი თვალშისაცემად გამომწვევი ქცევებით, ქედმაღლობითა და  
წარმოუდგენელი უტაქტობით ამ ბატონებმა საკუთარ მთავრობებს  
ძალიან ცუდი სამსახური გაუწიეს და ჩვენ, გერმანელებს კი — კარგი  
პროპაგანდა. რამდენიმე დღეში პრესაში და საზოგადოებრივ აზ-  
რში შესამჩნევი შემობრუნება მოხდა ჩვენს სასარგებლოდ. ქართვ-  
ელთა იმ მცირე რაოდენობამ, რომელიც აქამდე ჩვენ გულგრილად  
ანდა სრულიად უნდობლად გვეკიდებოდა, ასევე თვით ანტანტის  
მეგობრებმა და სომხებმა, ზურგი აქციეს ანტანტას და ჩვენი მხარე  
დაიჭირეს. სწორედ ამ დღეებში მოსახლეობის ყველა წრემ დაგვი-  
დასტურა ჩვენდამი გულდია სიმპათია.

დეკემბრის განმავლობაში ამიერკავკასიაში თანდათანობით ჩა-  
მოდიოდნენ ინგლისის ჯარები, მათ შორის — შავკანიანებიც. გერ-  
მანიისა და ინგლისის ჯარები თბილისში დროდადრო ერთმანეთის  
მეზობლად ცხოვრობდნენ ისე, რომ მათ შორის რაიმე გაუგებრობა  
ან ინციდენტი არ მომხდარა.

დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისის „პალას-პოტელი“, სა-



დაც მარტო გერმანელი ოფიციები ცხოვრობდნენ და შიგ დალეგა — ციის ოფიციები იყო განთავსებული — აღაბათ სომხებისაგან გაჩაჭრებისა ბული ხანძრის შედეგად — მთლიანად განადგურდა.

28 დეკემბერს კავკასიის ეგერთა პოლკ- მა, როგორც ბოლო გერმანულმა შენაერთმა, დატოვა საქართველოს დედაქალაქი, მეორე დღეს სომხეთის ძლიერმა ნაწილებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და თბილისის 40 კმ-ის მანძილზე მოუახლოვდნენ<sup>63</sup> — მათ ჩათვალეს, რომ დადგა ხელ-საყრელი დრო ქალაქ თბილისის დაუფლებისა და ინგლისელთა დახმარებით ამიერკავკასიაში საკუთარი ჰეგემონობის დამყარები-სათვის. გერმანულ კოლონია კატარინენფელდთან სომხებსა და სასწრაფოდ შეკრებილ ქართულ ჯარს შორის გაიმართა ბრძოლა, რომელშიც სომხებმა გადამწყვეტი დამარცხება განიცადეს. ქართველებს თავიანთი გამარჯვების გამოყენებაში ინგლისელებმა შეუშალეს ხელი. როცა უკვე საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, მე ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპეშა მივიღე, რომელიც სომხურ-ქართულ კონფლიქტში ყოველგვარ ჩარევას მიკრძალავდა.

მიუხედავად იმისა, რომ სომხების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერავითარი დახმარება ვერ გავუწიეთ, ქართველი ხალხის მხრიდან ჩვენდამი სიმპათია მაინც კიდევ უფრო გაიზარდა — ამას ჩვენ სომხების ცბიერებასა და არასაიმედობას უნდა ვუმაღლოდეთ. არა მარტო ფართოდ გავრცელდა სრულიად უსაფუძვლო მონაჭორი, თითქოს მე შემემუშავებინოს ქართველთა წარმატებული ოპერა-ციის გეგმა, არამედ, პირველ რიგში, თვით ქართველი ხალხის ფართო წრები მიხვდნენ, თუ როგორ დავშვრით მათი ქვეყნისათვის, როცა ჩვენ მათ მარქსისტულ მთავრობას ბიძგი მივეცით რეგულარული არმიის ჩამოყალიბებისათვის.

კავკასიაში ინგლისის ძალების ზრდის კვალობაზე უფრო თავ-დაჯერებული და გადამჭრელი ხასიათისა გახდა ინგლისელების გამოსვლა საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგოდ. იანვრის პირველ დღეებში თბილისში ინგლისელი გენერალი ჩამოვიდა და მოითხოვა, რომ გერმანიის დელეგაციას და დანარჩენ გერმანული ჯარის ნაწილებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ კავკასია. ინგლისელები პირადად მე არ მიკავშირდებოდნენ, თავიანთ სურვილებსა და მოთხოვნებს ყოველთვის საქართველოს მთავრობის მეშვეობით ავრ-



ცელებდნენ და გვამცნობდნენ. მე ჩუმ-ჩუმად კი მესმოდა მათი ზოგადი ხელის შესახებ, მაგრამ საქართველოს მთავრობისაგან ოფიციალურად არავითარი შეტყობინება არ მიმიღია.

4 იანვარს ჩემთან მოვიდა სამხედრო მინისტრის მოადგილე – გენერალი გედევანოვი, რომელთანაც განსაკუთრებულად კარგი და-მოკიდებულება მქონდა და სამხედრო მინისტრის დავალებით, ჩემს მხლებლებთან ერთად, გამოსამშეიდობებელ სადილზე მიმიწვია. აქე-თურ-იქეთურზე ხანგრძლივი საუბრის მერე მან გაამჟღავნა სიმარ-თლე – ინგლისელებს საქართველოსაგან ულტიმატუმის ფორმით მოეთხოვათ, რომ დელეგაციას ხუთი იანვრის საღამომდე თბილისი დაეტოვებინა. მე ჯერ მიპატიუებაშე უარი ვთქვი იმ მოტივით, რომ დრო ბევრად სერიოზული იყო ზემების გამართვისათვის, მაგრამ საბოლოოდ გედევანოვის თავაზიან და მეგობრულ დაეინებულ თხ-ოვნას მაინც დავყევი. სადილი შედგა არაჩეულებრივად გულითად ატმოსფეროში, გამოსამშეიდობებელი სიტყვების ურთიერთგაცვ-ლის მერე სამხედრო მინისტრმა, ქართული არმიის სახელით, მე ძვირფასი სამახსოვრო საჩუქარი გადმომცა – თანამედროვე ვერ-ცხლის ლანგარზე მოთავსებული ვერცხლისგან დამზადებული ჭე-დური ძველი ქართული საღვინე დოქი და ძველებური, ვერცხლით გაწყობილი ღვინის სასმისი.

როცა სამხედრო მინისტრი ჩვენ – გერმანელებს გვაცილებდა, მაშინ სხვა მინისტრები ინგლისელებს მიღების სადილს უმართავდნენ!

იმ ტრაგიკომედიის აღწერა, ჩვენს მიერ თბილისის მშვიდობი-ანად დატოვებამდე რომ ხდებოდა, ახლა შორს წაგვიყვანდა. ქარ-თველებს უაღრესად უეხერხულებოდათ, რომ ჩვენთვის თავიანთი ქვეყნის დატოვება მოეთხოვათ; მეორემ მხრივ, მათზე ინგლისელე-ბის მხრიან ზეწოლა უფრო ძლიერდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთან აშკარად და პატიოსნად ელაპარაკათ, ყველა შესაძლო გზით და სულელური ინტრიგებით ცდილობდნენ იძულებას, რომ მათი ქვეყანა ნებით დაგვეტოვებინა. განსაკუთრებით მოუხეშავად და უწე-სოდ იქცეოდა საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი, რომელიც, მისი ბერლინში ვიზიტის მერე, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, აშკარად გერმანელთა მოძულე გახდა. მე მზად ვიყავი, დაუყოვნებ-ლივ დამეტოვებინა კავკასია. ჩვენთვის არა მარტო ნათელი იყო,



რომ დიდხანს თბილისში მაინც ვერ გავჩერდებოდით, არამედ სრუტერებულიად შორს გახლდით იმ აზრისაგან, რომ ქართველებისათვის საკუთრივი იმე სირთულე შემექმნა.

თანაც ეშიშობდი, თუ ინგლისელების მოთხოვნას წინააღმდეგ გობას გაუწევდი, გავაუარესებდი კავკასიაში დარჩენილი გერმანელების და ჩვენს ლაშარეთში მყოფი 150 ავადმყოფის მდგომარეობას. ამის მიუხედავად, მე მოვითხოვე, რომ ჩვენი წასვლა იმ ფორმით მომხდარიყო, როგორც ეს რაიხის დიპლომატიურ მისიას შეეფერებოდა.

7 იანვრის საღამოს დაახლოებით 100 კაციანმა გერმანულმა დელეგაციამ საგანგებო მატარებლით დატოვა ქალაქი თბილისი. ამ დღეს სადილობამდე უორდანია და გეგეჭვორი მეწვივნენ გამოსამშვიდობებელი ვიზიტით, რომელმაც საკმაოდ ცივად ჩაიარა. ჩვენს გასაცილებლად სადგურზე არცერთი მინისტრთაგანი არ გამოცხადდა. სამხედრო მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა თავიანთი მოადგილები (სტატს მდივნები) გამოგზავნეს. სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობდი, სპარსეთის გენერალურ კონსულს გადასცეს და მანვე დალუქა. ჩვენი აქტები შესანახად ერთ ნდობით აღჭურვილ პირს გადავეცით.

9 იანვარს ჩვენი დელეგაცია ფოთში ჩავიდა, სადაც მას ქართული სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი გულითადი თავაზიანობით მიესალმნენ. ინგლისელების დაპირების მიუხედავად, ჩვენს წასაყვანად არცერთი გემი არ მოვიდა და რადგანაც შეუძლებელი იყო ჩვენი მოთავსება პატარა ქალაქში, საცხოვრებლად ჩვენსავე მატარებელში დავრჩით. 9 და 10 იანვარს ქართველებმა დიდ საზეიმო სუფრაზე დაგვპატიჟეს და 11 იანვარს ფოთის ერთ-ერთ ოტელში მეც გავმართე სადილი.

4 იანვრიდან ფოთში გადმომსხდარ ინგლისურ ბატალიონს საცხოვრებლად ნავსადგურში განლაგებული შენობები ეკავა. ახლო მეზობლობის მიუხედავად, „ტომისა“<sup>64</sup> და ნავსადგურში მდგარ გემ „ვარნაზე“ მოთავსებულ ჩვენს ჯარისკაცებს, შორის არავითარ შეხლა-შემოხლა და ინციდენტი არ მომხდარა. მათ შორის ძალიან მაღე გაცხოველებული ვაჭრობაც კი გაიმართა. ინგლისელი ჯარისკაცები ხანგრძლივი დროის მანძილზე გემზე მხოლოდ ორცხბილათი იკვებებოდნენ და ახლა განსაკუთრებულად დაესარბენ ჩვ-

ენს პურს, სანაცვლოდ ისინი თუთუნს, შოკოლადსა და კარტისტული ებს იძლეოდნენ.

790 კაცის ტევადობის ორთქლმავალ „ვარნაზე“ საშინელ სივიწროვეში 1450 კაცი იყო შეჭუჭკული. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ინგლისელები გემს დიდი ხნის განმავლობაში არ აძლევდნენ გასვლის ნებართვას და მხოლოდ 6 თებერვალს უნდა გადგომდა იგი კონსტანტინეპოლისაკენ გზას.

რაკი 13 იანვრამდე ჩვენი ევაკუაციისათვის ფოთში არცერთი ინგლისური გემი არ შემოვიდა, ჩვენ ამავე დღეს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, ქუთაისისაკენ – საქართველოს ძევლი დედაქალაქისაკენ გავუდექით გზას, რათა იქ მოვლენათა შემდგომ განვითარებას დავლოდებოდით.

ქუთაისში მოსახლეობაც და ხელისუფლებაც ზრდილობიანად და სტუმართოყვრულად შეგვხვდა, განსაკუთრებული ხელგაშლილობით კი ჩვენ ბ-ნმა დადიშიძემ<sup>65</sup> მიგვიღო.

პატარა და არქაულ ქალაქს მდინარე რიონზე ძალზე ლამაზი მდებარეობა უჭირავს და წლის კარგ დროს სანახაობრივი თვალსაზრისით უაღრესად მომზიბელები უნდა იყოს. მე შესანიშნავად მოვეწყვე სასტუმროში. სამკვირიანი არდადეგები, რომლებიც ჩვენ ქუთაისში გავატარეთ, ქალაქის შემოგარენში რამდენიმე ძალიან ლამაზი და საინტერესო ექსკურსიისათვის გამოვიყენეთ. სხვათაშორის, მოწამეთისა და გელათის უძველესი მონასტრებიც მოვინახულეთ. უაღრესად საინტერესო იყო საავტომობილო მგზავრობა ონისაკენ – ოსეთის სამხედრო გზაზე. მე დავრწმუნდი, თუ რარიგ ნაკლებგამოსადეგია სამხედრო მიზნებისათვის ალაგ-ალაგ უფსკრულივით დავიწროებულ რიონის ხეობაში მიმავალი ეს მეტად ვიწრო გზა ვიწრო მოსახვევებით, დიდი აღმართებით და მცირე რაოდენობის სათადარიგო განშტოებებით.

საინტერესო სტუმრობა გვქონდა ქართულ საქველმოქმედო სკოლაში, რომელიც მიუნხენელი პროფესორის და ცნობილი პედაგოგის კერძენშტაინერის<sup>66</sup> მოწაფე ქალბატონმა მისი პრინცების მიხედვით მოაწყო და ხელშესახები წარმატებითაც ხელმძღვანელობდა.

19 იანვარს ქუთაისში ქართული ჯარის სარდალმა საზეიმო ღვთისმსახურებაზე, რომელიც ქრისტეს ნათელდების აღსანიშნა-



ვად უნდა გადაეხადათ და ამის შემდეგ გათვალისწინებულ წყლის კურთხევაზე, სამხედრო პარადსა და საღილზე მიგვიწვია. საზოგადოებრივი მოღვაწეთა დღეობის მსახურება დიდი საეკლესიო ცერემონიალით და ბრწყინვალებით ჩატარდა, სხვა უამრავ მაღალ სასულიერო მოღვაწეთა გვერდით სამი ეპისკოპოსი ასრულებდა წირვას და ყველანი მდიდრული ტანსაცმლით იყვნენ შემოსილნი. უამრავ მორწმუნეთა ჭედვა და აღტკინება, რომელთაც რიონის ნაკურთხ წყალს ასხურებდნენ და რიონში განათლული ჯვრის ამბორი სურდათ, საცნაურს ხდიდა, რომ ქართველი ხალხის მასა ჯერაც უაღრესად მორწმუნებდნენ თავის ეკლესიის ერთგული იყო. სოციალ-დემოკრატი სამოქალაქო ხელისუფალნი ამ ზემისაგან დემონსტრაციულად შორს იჭერდნენ თავს, მაშინ, როცა სამხედროები აქტიურად მონაწილეობდნენ.

ქართული გაშეოთის არასწორი ინფორმაცია, რომ მე თითქოს ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ქართული ჯარების პარადი მივიღე, გახდა საბაბი, რომ ინგლისელებმა ხელახლა მოითხოვეს ჩვენი გამგზავრება საქართველოდან. საქართველოს მთავრობასთან ნამდვილად არასასიამოვნო მოლაპარაკებების შემდეგ, რომელსაც ამ შემთხვევაშიც აკლდა გულახდილობა და პატიონსნება, 3 თებერვალს, ნაშაუაღლევს, ქუთაისი დავტოვეთ და ბათუმისაკენ გავემგზავრეთ. ხელისუფლებამ და ქუთაისელმა მეგობრებმა ჩვენი გამგზავრებისას გულუხვი თავაზიანობა გამოიჩინეს – ამ დღეს განსაკუთრებულად სანაქებო ტაქტითა და უდიდესი გულისხმიერებით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული ქალაქში.

გაზაფხულის შესანიშნავი ამინდი იყო, მივემგზავრებოდით ბუნების სიმშვენიერის მხრივ უაღრესად მომხიბვლელი ადგილების გავლით, რომელთა მცენარეული საფარი თითქმის ტროპიკულს ჰგავდა. ბათუმში ჩვენდამი დაპირებული თავისუფალი გადადგილების სანაცვლოდ, როგორც ტყვევებს, ისე მოგვექცნენ და პატარა სასტუმროში, საზიზდარ პირობებში მოგვათავსეს, გრძელი ხიშტების გარდა ყველა იარაღი ჩამოგვართვეს და საღამოს 8 საათიდან დილის 10 საათამდე შენობის დატოვება აგვიკრძალეს. ბათუმში ინგლისელთა სარდალი გენერალი კუპ-კოლისი, როცა მას ვეწვე, წარმოუდგენლად უტიფურად და არარაინდულად იქცეოდა. ინ-



გლისელთა ჯარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა — კარგი მირადი შემადგენლობა, ლამაზი საჯდომი ცხენები, საოცარი ჯორეჭულებისა და უნიფორმა და აღჭურვილობა. რიგითი შემადგენლობა ჩვენ, გერმანელებს, თავისუფლად გვეპყრობოდა, ხოლო ინგლისელ ოფიცერთა საქციელი უაღრესად უტიფარი და შეუფერებელი, დამარცხებული მტრის მიმართ ყოველგვარ რაინდულობას მოკლებული ჩანდა — ამგვარ დამკიდებულებას არა მარტო ბათუმში, არამედ კონსტანტინეპოლისა და პრინკიპოში<sup>67</sup> ყოფნისასაც ვაწყდებოდით.

8 თებერვალს, კოკისპირული წვიმისას, როგორც იქნა, გემებში ჩაგვსხეს: მამაკაცები პატარა, ჰუჭყიან და ცარიელ სატვირთო გემზე მოვთავსდით, ქალები და ბავშვები კი, მოზრდილ სამხედრო ტვირთოან ერთად, უფრო წესიერ დიდ სამგზავრო გემზე. კონსტანტინეპოლისაკენ ოთხდღიანი მგზავრობის განმავლობაში ჩვენ ცხელი კვება არ გვქონია, მარტო ჩაის, დაკონსერვებულ მარილიან ხორცისა და პურს მივირთმევდით. პატარა სალონი ჭამის დამთავრების შემდეგ სასწრაფოდ უნდა გაგვეთავისუფლებინა. ზღვა ძალზე მშეოთვარე, ამინდი ქარიშხლიანი და წვიმიანი იყო. ზელსაყრელი მოსაცდელი ადგილის უქონლობის და ნაწილობრივ — ზღვის ავადმყოფობის გამო, მგზავრობის დროის უდიდესი ნაწილი საკუთარ ნარებზე დაწოლილებმა გავატარეთ. ქარბუქისა და ნისლის გამო ბოსფორში შესვლამდე ღუზაზე დგომაშ მოგვიწია. 11 თებერვალს, შუადღის 2 საათისათვის, კონსტანტინოპოლში ჩავედით და თავდაპირველად ღუზა ჩავუშვით პეროსის კოშკის ახლოს. პირველად ვხედავდა თოვლით დაფარულ კონსტანტინეპოლს. მომდევნო დღეებში კვლავ მშევნიერი გაზაფხულის ამინდი დადგა და ნავსადგურშიც გაცხოველებული მოძრაობა გაჩაღდა.

13 თებერვალს, ნაშუადღევს, საშინლად ჰუჭყიანი და მოუხერხებელი თურქული გემის „ტირ-ი-მივიგენ“-ის ბორტზე გადაგვიყვანეს, სადაც კვლავ შევხედით ჩვენი დელეგაციის ქალებსა და ბავშვებს.

ინგლისელებმა ჩვენს მიმართ ზედამხედველობისა და მომსახურეობის განხორციელება თურქებს გადააბარეს. ინგლისური სატვირთო გემიდან პატარა სანავსადგურო გემზე გადასხდომისას, რომელსაც თურქულ გემამდე უნდა მივეყვანეთ, კვლავ ერთი აღმაშეოთებელი დამცირების გადატანაშ მოგვიწია — მათი ოფიცერ-



ბის თვალწინ და ტაშის გრიალში, შორიახლო მდგომ დიდ სამგზავროება კულტურული კურსების და სწავლის მიზანის მიხედვით გამოიყენება. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ პისტოლეტები წინასწარ ჩამოგვართოვეს და უიარალონი ვიყავით.

შვედეთის დესპანი, რომელსაც გერმანელთა ინტერესების დაცვა ჰქონდა დაკისრებული, სამწუხაროდ, ავადმყოფობდა და ჰოსპიტალში იწვა, ხოლო მისი მოადგილე – შვედეთის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ალგრენი, რომელიც თავის დროზე მიუნშენში ჩემი ბიძაშვილის ფრიცის მეთაურობით ქვეითთა ლეიბგვარდიის პოლკში მსახურობდა (მაშასადამე, ჩემი სახელი მაშინ მისთვის ნაცნობი იყო), ჩვენზე არათუ საერთოდ არ ზრუნავდა, თვალითაც არც დამინასავს.

18 თებერვალს დელეგაციასთან ერთად მომავალი გერმანელი სამოქალაქო პირები სამშობლოში გასამგზავრებლად გემ „კორკოვადოზე“ გადასხეს – მათთან ერთად მოხვდა ჩემი აღიუტანტი როტმისტრი ფონ ლერსნერიც, რომელმაც პოლანდიელი დესპანის შუამავლობით მიაღწია ამ შეღავათს. სამხედროები და ორივე მოწყალების და ზღვის დელეგისას გადაგვიყვანეს კუნძულ პრინკიპოზე. ჩვენი დაცვა და მომსახურეობა თურქ პოდპოლკოვნიკს – ქემალ-ბეის ჰქონდა დავალებული. ის ამ დავალებას მოსაწონი ტაქტითა და დიდი წესიერებით ასრულებდა – ნება გვეძლეოდა, კუნძულზე თავისუფლად გვემორავა.

